საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური შვებულება


ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2010

№230 (13218) ფასი 60 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბრუნდება მახარაძე?

გვ. 2



# ტორპედომაც დააგემოვნა

გვ. 2-3

გუშინ ვაკეში. სპარტაკი-ტორპედო 1:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



რუბინი-ბარსელონა. ინიესტასთან შეხება სალუქვაძეს პენალტად დაუჯდა

# რუბინის კომპლექსი

## ანუ როგორ იქცა ბარსა კოპენჰაგენის მდევრად

ჩემპიონთა ლიგა

გვ. 5

29.09. რუსთავი. ფოლადი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 3 |
| სამტრედია | 0 |

1:0 მოდებაძე (17), 2:0 მოდებაძე (20-პენ), 3:0 მოდებაძე (27)

| ოლიმპი 4-2-3-1 | სამტრედია 4-2-3-1 |
|---|---|
| ბათიაშვილი | ჯინჭარაძე |
| ლონლაძე | სოსელია |
| ქემოკლიძე | ხუმარაშვილი |
| რეხვიაშვილი | გოგია |
| ჯაფარიძე | ჩხიკვაძე |
| ქავთარაძე | ქებაძე |
| დობროვოლსკი | ი. შალიკაშვილი |
| მოდებაძე | დ. კირკიტაძე |
| დ. ბოლქვაძე | ჩომახიძე |
| გენაძე | პავლიაშვილი |
| ბერიაშვილი | ბაკარანძე |
| მწვრთნელები ა. ჯელაძე ი. გაბისკირია | მწვრთნელი გ. სანაია |

**ოლიმპი**

13. გენაძე - **გ. ქელიძე**
46. დობროვოლსკი - **ყაზაიშვილი**
60. ბერიაშვილი - **ახალკაცი**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ა. კვახაძე, რაზმაძე, უგულავა*

**სამტრედია**

46. ჩომახიძე - **გურჩა**
46. ქებაძე - **ბაკურაძე**
46. პავლიაშვილი - **კაკალაძე**
*სათადარიგოები: ძაგანია, ეცადეიშვილი, დვალიშვილი, ნინუა*

გაფრთხილება: ჯინჭარაძე (20), სოსელია (45), ქავთარაძე (75), ხუმარაშვილი (90)
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# მოდებაძე-შოუ

წინა შეხვედრაში, ფოთის „კოლხეთთან" განცდილი კატასტროფული მარცხის მერე „ოლიმპის" შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები რომ მოხდებოდა, ამ ტურის წინათქმაშიც ვივარაუდეთ. ასეც მოხდა: მასპინძელთა შემადგენლობაში **გრიგოლ ბედიაშვილის, ალექსანდრე კვახაძისა** და **ლუკა რაზმაძის** ნაცვლად **ზურაბ ბათიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე** და **დენის დობროვოლსკი** გამოჩნდნენ. თუმცა, ცვლილებები ამით არ ამოწურულა: „სამტრედიასთან" მატჩში „ოლიმპს" მწვრთნელთა „დუეტი" - **იური გაბისკირია** და **არმაზ ჯელაძე** ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება გუნდის მთავარ მწვრთნელს **თემურ მახარაძეს**, კლუბის ხელმძღვანელთა ინფორმაციით გამოცდილ მწვრთნელს ორი ტურით დასვენება უთხოვია...

...მასპინძლების არ იყოს, წინა ტურისგან აშკარად სახეშეცვლილი შემადგენლობით იასპარეზეს სტუმრებმა. თუმცა ყოველივე ამას შედეგი არ მოუტანია. მაშინ როცა „ოლიმპმა", ფაქტობრივად, პირველ ტაიმშივე მოამთავრა საქმე და ეს, უპირველეს ყოვლისა, **ირაკლი მოდებაძის** დამსახურებაა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უკრაინიდან საქართველოში დაბრუნებულ თავდამსხმელს სეზონის დასაწყისიდან მართლაც ფატალურად არ უმართლებდა: ევროტურნირებიდან დაწყებული წინა ტურით დამთავრებული, თითქმის ყველა შეხვედრაში ხელსაყრელი მომენტები ექმნებოდა, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გაჰქონდა. და აი, წინა ტურში ჯერ „კოლხეთს" გაუტანა, გუშინ კი მართლაც ბენეფისი მოიწყო!

...მატჩის საწყისი 10 წუთი მშვიდი თამაში მიმდინარეობდა, შემდეგ კი „მოდებაძე-შოუ" დაიწყო: მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე მოასპარეზე ფორვარდმა ორჯერ საშუალო მანძილიდან სცადა გოლის გატანა, მერე კი მის გამჭოლ გადაცემას „სამტრედიის" ფეხბურთელის ავტოგოლი კინაღამ მოჰყვა. და აი, მეოთხე ცდა შედეგიანი გამოდგა: მოდებაძემ, დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა - 1:0! სამიოდ წუთში კი სტუმართა მეკარემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: **დავით ბოლქვაძემ** მოხდენილი პასით გარღვევაზე **თემურ ლონლაძე** გაიყვანა, რომელიც მეტოქის მეკარემ აკრობატული ილეთით შეაჩერა. პენალტი დაზარალებულმა შეასრულა: მართალია, დარტყმის წინ საკმაოზე მეტი პაუზაც გააკეთა, მაგრამ არბიტრს წესების დარღვევა არ დაუფიქსირებია და მოდებაძემ „დუბლიც" მიითვალა.

„სამტრედიას" ძალიან მალე მიეცა ერთი ბურთის გაქვითვის შანსი: არბიტრმა **არსენ ნონიკაშვილმა** პენალტი ამჯერად მასპინძელთა კარში დანიშნა, მაგრამ **ლაშა ქებაძის** დარტყმული მშვენიერ ნახტომში ზურაბ ბათიაშვილმა მოიგერია. სხვათა შორის, „ოლიმპის" მეკარემ თავისი გუნდი იმ ეპიზოდშიც იხსნა, როცა **შოთა ჩომახიძის** მშვენიერი პასის შემდეგ **პაატა ბაკარანძე** მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ ბათიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.


ირაკლი მოდებაძე

მხოლოდ ორჯერ დაარტყეს სტუმრებმა შეხვედრის პირველ ტაიმში მასპინძელთა კარში - ნებავთ, კარის მიმართულებით, მაშინ როცა „სამტრედიის" კართან მომენტი-მომენტს ცვლიდა. გოლის გატანა **გიორგი ქავთარაძესაც** შეეძლო და დავით ბოლქვაძესაც, თუმცა ხან მეკარე **კახა ჯინჭარაძე** ყოჩაღობდა, ხანაც „სამტრედიის" კარის ხარიხა თუ ძელი „ერეოდა საქმეში". „ოლიმპმა" მაინც შეძლო ერთი გოლის გატანა, თანაც, გოლსაც ხომ გააჩნია! შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი ქელიძემ** ეფექტური დრიბლინგით ორი მეურვე ჩამოიცილა, ეფექტურადაც დაარტყა, მაგრამ ჯინჭარაძემ ბურთი ნახტომში მოიგერია. თუმცა, ეს ეპიზოდი ამით არ დასრულებულა: გადმოვარდნილ ბურთს პირველი ირაკლი მოდებაძე დაუხვდა და საკმაოდ მახვილი კუთხიდან, უძლიერესი დარტყმით ეფექტურზე ეფექტური გოლი გაიტანა - ესეც ჩემპიონატის პირველი „ჰეთ-თრიკი"!

მეორე ტაიმზე კი სალაპარაკო ბევრი არც არაფერია; უბრალოდ, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანდა, თუ როგორ ანიავებდნენ ერთი მეორეზე უკეთეს მომენტებს მასპინძლები; ჯერ მარტო გიორგი ქელიძეს, სულ მცირე, სამჯერ შეეძლო გოლის გატანა, ერთ ეპიზოდში ბოლქვაძე იყო ახლოს მიზანთან, მატჩის მიწურულს კი მოდებაძეს „პოკერის" შესრულებაც შეეძლო. აი, „სამტრედია" კი მხოლოდ ორჯერ, ისიც, ცოტა არ იყოს, „მორიდებით" გადავიდა მეტოქის ნახევარზე და ორივეჯერ სტუმართა ჭაბუკი ნახევარმცველის **დავით კირკიტაძის** აქტიურობის შედეგად. თუმცა, ორივეჯერ ზურაბ ბათიაშვილმა იყოჩაღა, განსაკუთრებით კი მეორე ეპიზოდში - როცა „სამტრედიის" გამოცდილ ფორვარდს **მიხეილ კაკალაძეს** ბურთის გატანა არ დაანება.

ამ წარმატებით „ოლიმპმა" „ხასიათიც" ცოტა გამოიკეთა და, რაც მთავარია, სატურნირო ცხრილშიც მეორე ადგილზე გადავიდა.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

● [illegible] შვებულება

### ზურაბ ჯაფარიძე:
# მახარაძე ორი მატჩით წავიდა
## ოლიმპის ვიცე-პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ ოლიმპში ბუნტი არ არის

ფოთის „კოლხეთთან" გამანადგურებელი მარცხის (1:5) შემდეგ რუსთავის „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ გუნდი დატოვა. მის შემცვლელად ქუთაისის „ტორპედოდან" წასული რამაზ მუმლაძე სახელდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მახარაძე გუნდში არ დაბრუნდება. თურმე, ასეც შეიძლება მოხდეს...

ერთ-ერთი ინფორმაციით „ოლიმპში" სხვა პრობლემებიცაა. მოგეხსენებათ, გუნდში დაბრუნდა ვეტერანი მეკარე გია ჭანტურია, რაც გია ბედიაშვილის სკამზე დასმას უნდა უკავშირდებოდეს. ეს უკანასკნელი კი ნაკრებშია გამოძახებული და თანაგუნდელთა მხარდაჭერითაც სარგებლობს...

მოკლედ, ვითარებაში გასარკვევად „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ ჯაფარიძეს დავუკავშირდით...

**- ბატონო ზურაბ, თემურ მახარაძე ვარჯიშებზე აღარ ჩანს. მართლა დატოვა „ოლიმპი" მთავარმა მწვრთნელმა?**

- მახარაძემ ორი თამაშით დასვენება ითხოვა.

**- დასვენება სეზონის მსვლელობისას?**

- მას ხომ ზაფხულში ფაქტობრივად არც დაუსვენია. ორი წელია ამ რეჟიმში მუშაობს, ეტყობა დაიღალა და ფოთში ნაგების შემდეგ დასვენება გადაწყვიტა. კაცი სტრესულ მდგომარეობაშია და ეს კარგად გვესმის...

**- მანამდე „ოლიმპს" ვინ ავარჯიშებს?**

- ჯერჯერობით, გუნდი მახარაძის ასისტენტების - იური გაბისკირიასა და არმაზ ჯელაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

**- თუმცა ამბობენ, „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად „ტორპედოდან" წასული რამაზ მუმლაძე მიიწვიესო. ეს მართალია?**

- მახარაძე „ოლიმპში" მუშაობს, დეკემბრამდე კონტრაქტი აქვს და სად უნდა წავიდეს?! არა, რა თქმა უნდა კონტრაქტის გაწყვეტაც არ არის პრობლემა, მაგრამ ოფიციალურად ის გუნდიდან არ წასულა და სხვასთან მოლაპარაკებას ხომ არ დავიწყებდით?!

**- ისიც ითქვა, მეკარე გია ბედიაშვილის სკამზე დასმის გამო გუნდი აბუნტდა და პროტესტის ნიშნად „სამტრედიასთან" ბიჭები თავს არ მოიკლავენო...**

- არა, რომელ ბუნტზეა ლაპარაკი?! ბიჭები ბაზაზე არიან და არანაირი ბუნტი თუ სახალხო მღელვარება „ოლიმპში" არ არის! დამიჯერეთ, არაფერს ვმალავ.

**- თავად თუ გაქვთ მახარაძის დაბრუნების სურვილი?**

- უკვე გითხარით, რომ კაცს კონტრაქტი აქვს; ორი მატჩით გავათავისუფლეთ, არსად გაგვიშვია! უბრალოდ, ასეთი საკითხები ნაჩქარევად არ წყდება და ჩვენც ვერიდებით მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს...

**მერაბ მამულაშვილი**

29.09. თბილისი. მ. მესხი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ტორპედო | 2 |

0:1 ქემუხტაშვილი (28. საბანაძის პასით), 0:2 ქემუხტაშვილი (73. დილმელაშვილის პასით), 1:2 მგელაძე (90. ვ. ბოლქვაძის პასით)

| სპარტაკი 4-4-2 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| გრიშიკაშვილი | მიგინეიშვილი |
| ჭაფოძე | ფოფხაძე |
| გოიომო | ს. თოდუა |
| მგელაძე | ფარულავა |
| კორსანტია | ჩიკვილაძე |
| ჩალაძე | გ. დათუნაიშვილი |
| შონია | დილმელაშვილი |
| ხაჭვანი | მ. გიგაური |
| შ. კაშია | თ. თარხნიშვილი |
| ღეკანოიძე | საბანაძე |
| კლოვისი | ქემუხტაშვილი |
| მწვრთნელი გ. ჩიძოვანი | მწვრთნელი გ. გიგატაძე |

**სპარტაკი**

46. ხაჭვანი - **ვ. ბოლქვაძე**
46. კლოვისი - **ბუზალაძე**
58. კორსანტია - **დაუშვილი**
*სათადარიგოები: აქუბარდია, ცინცაძე, სარალიძე, მაისურაძე*

**ტორპედო**

75. ქემუხტაშვილი - **ცნობილაძე**
75. მ. გიგაური - **გურული**
83. საბანაძე - **ლ. კირკიტაძე**
*სათადარიგოები: ქვილითაია, ნ. კვასხვაძე, ზ. ხაჭიპერაძე, როსტიაშვილი*

გაფრთხილება: კორსანტია (31), ჩალაძე (32), ცნობილაძე (90),
გაძევება: გრიშიკაშვილი (58), ვ. ბოლქვაძე (90)
არბიტრი: ლ. სილაგავა

# ქემუხტაშვილის მუხტი


ქემუხტაშვილის (№20) გოლებმა ტორპედოს პირველი გამარჯვება მოუტანა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

» მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი

VIII ტური

# კვეკვესკირი, დარტყმა, არის!

29.09. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 1300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 2 |
| კოლხეთი | 1 |

0:1 სიჭინავა (18), 1:1 მეგრელაძე (71), 2:0 კვეკვესკირი (81)

| ბაია | კოლხეთი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-1-1 |
| ზუხბაია | შენგელია |
| კვეკვესკირი | ქითანავა |
| ჭიჭვეიშვილი | მახვილაძე |
| კვესეიშვილი | გვალია |
| რ. ონიანი | გველესიანი |
| წურწუმია | სილაგავა |
| კ. ჩხეტიანი | თედიაშვილი |
| გოგობერიშვილი | ჯოჯუა |
| შ. ლომია | სიჭინავა |
| ახალაია | ციცხვაია |
| მეგრელაძე | ჯიქია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | ბ. შეროზია |

**ბაია**

64. ლომია - **გ. დოლიძე**
75. წურწუმია - **გუგუჩია**
82. ახალაია - **სიხარულია**

*სათადარიგოები: ზარქუა, აკობია, ხიდეშელი, ეხვაია*

**კოლხეთი**

83. ჯიქია - **ცხვიტარია**
85. სილაგავა - **ექონია**
90. გვალია - **წიქარიშვილი**

*სათადარიგოები: სტურუა, ბუკია, ლემონჯავა, გოგონაია*

გაფრთხილება: წურწუმია (55), ჭიჭვეიშვილი (62), გველესიანი (69), მახვილაძე (73), შენგელია (89), მეგრელაძე (89), გუგუჩია (90)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია



ნიკა კვეკვესკირი — ლაშა ჯიქიას ფოტო

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ზუგდიდში მეგრული დერბიც შედგა. „ბაია"-„კოლხეთის" შეხვედრა იმ მხრივაც საინტერესო იყო, რომ „ბარიკადების" სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ არც თუ დიდი ხნის წინ ერთად მომუშავე მწვრთნელები - **ელგუჯა ქომეთიანი** და **ბესიკ შეროზია.** მატჩის დასრულებისთანავე „ბაიას" მწვრთნელმა თავის კოლეგას ხუმრობით უთხრა - ჩვენ შორის „დუელზე" ოდესმე თუ გიფიქრიაო?

მოლოდინი იმისი, რომ მატჩი დაძაბული და სანახაობრივი იქნებოდა, გამართლდა. მასპინძელთა შემტევ სათამაშო ტაქტიკას შეროზიამ ოდნავ ფრთხილი სქემა დაუპირისპირა. დაპირებისამებრ, ქომეთიანმა ძირითად შემადგენლობაში კორექტივები შეიტანა - **გუგუჩია-აკობიას** გამორჩეული ტანდემი **ლომია-ახალაიათი** ჩაანაცვლა, რითიც შეტევებს მეტი ეფექტი მისცა და ამან მეორე ტაიმში გამოიღო ნაყოფი...

პირველივე წუთებიდან ორმხრივი იერიშები გაჩაღდა. ფოთელებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ ანგარიშის გასახსნელად - **ციცხვაია-სიჭინავას** კომბინაცია ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმითა და ლამაზი გოლით დაასრულა.

სტუმართა სწრაფ გოლს ყველაზე ნაკლებად მასპინძლები ელოდნენ. ზუგდიდელები შეტევაზე გადავიდნენ. მეკარე **შენგელიასთან** პირისპირ დარჩენილ **ლომიას** სიზუსტე არ ეყო, შემდეგ შორიდან დაარტყა გოგობერიშვილმა, რასაც კოლხთა მეკარემ სწრაფი რეაქცია დაუპირისპირა.

ზუგდიდელთა მწვავე შეტევების ორგანიზატორი **წურწუმია** გახლდათ. თუმცა მეგრელაძემ მისი გადაცემებით ვერ ისარგებლა - შენგელიამ ჯერ მისი თავური მოიგერია, ხოლო ცოტა ხანში ბურთი სანტიმეტრებში ასცდა ხარიხას. „ბაიას" უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ ფოთელებმა სცენარი კინაღამ საპირისპიროდ შეატრიალეს - **სილაგავამ** ზუსტად გამოიცნო ფოთელთა გამორჩეული ფორვარდის **სიჭინავას** მოძრაობა და კარგადაც გადააწოდა, მაგრამ მეკარე **ზუხბაიამ** ბურთი „ცხრიანიდან" მოხსნა.

პირველი ტაიმის მიწურულს კვლავ წურწუმიამ სცადა ინდივიდუალურად ვითარების შეცვლა - ორ მეურვეს გასცდა და მეგრელაძეს ზუსტად გადააწოდა, მაგრამ „ბაიას" ფორვარდმა ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხა...

სამაგიეროდ, მან ეს 71-ე წუთზე შეძლო, როცა „კოლხეთს" ეფექტური გოლი გაუტანა. ამან სათამაშო სურათიც მთლად მასპინძელთა სასარგებლოდ შეცვალა. სტუმრებს ცენტრზე კონტროლი მთლიანად დაკარგეს. თამაშის დასალაგებლად „კოლხეთს" ვერც დაცვის ხაზის გამაგრებამ უშველა, თუმცა უკანახაზელებს „ბაიას" მეორე გოლში ვერავინ დაადანაშაულებს - საბოლოო წერტილი საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა, 18 წლის **ნიკა კვეკვესკირმა** დასვა, თან - საუცხოო გოლით (მისთვის პირველია ამ სეზონში), როცა დაახლოებით 35 მეტრიდან შენგელიას აულებელი დაურტყა და თავისიანებს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**მატჩის შემდეგ**

**ბესიკ შეროზია (კოლხეთი):** „ვიცოდი, რომ რთული შეხვედრა იქნებოდა და ბიჭებს გარკვეული დავალებები მივეცი, რაც პირველ ნახევარში უნაკლოდ შეასრულეს და ეს შედეგშიც აისახა. მეორე ნახევარში „ბაია" თამაშს რომ გაამწვავებდა, ეჭვგარეშე იყო და მასპინძლებმა ტერიტორიული უპირატესობა, ფაქტობრივად, წაგვართვეს. გვქონდა მომენტები, მაგრამ ეს უკვე ალარაფერს ცვლის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მაყურებელმა დღეს სანახაობრივი ფეხბურთი იხილა".

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** „დავეთანხმები კოლეგას და ვიტყვი, რომ საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა. პირველი ტაიმი ცოტა ჩაგვივარდა და ვერ გამოვასწორეთ სათამაშო სურათი, თუმცა მთლიანობაში დღევანდელი შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია".

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 8 | 6 | 0 | 2 | 17 | 7 | 18 |
| 2 | ოლიმპი | 8 | 5 | 1 | 2 | 12 | 8 | 16 |
| 3 | დინამო | 8 | 5 | 1 | 2 | 11 | 6 | 16 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 1 | 3 | 10 | 10 | 13 |
| 5 | ბაია | 8 | 3 | 3 | 2 | 10 | 8 | 12 |
| 6 | კოლხეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 10 | 8 | 11 |
| 7 | სიონი | 8 | 2 | 4 | 2 | 5 | 8 | 10 |
| 8 | ტორპედო | 8 | 1 | 3 | 4 | 4 | 7 | 6 |
| 9 | სპარტაკი | 8 | 1 | 2 | 5 | 8 | 14 | 5 |
| 10 | სამტრედია | 8 | 1 | 1 | 6 | 8 | 17 | 4 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მეგრელაძე (ბაია) | 6 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 4 |

| მომდევნო ტური | | |
|---|---|---|
| 2 ოქტომბერი, შაბათი | | |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | | |
| 25 სექტემბერი, შაბათი | | |
| კოლხეთი (ფ)-სპარტაკი | | |
| სამტრედია-ბაია | | |
| სიონი-ოლიმპი | | |
| ტორპედო-დინამო | | |

# ქემუხტაშვილის მუხტი

« მე-2 გვერდიდან

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ ქუთაისის „ტორპედოს" 8 მატჩი დასჭირდა საიმისოდ, რომ პირველი გამარჯვება მოეპოვებინა. თამაშს თვალს ადევნებდა ახლახან გუნდიდან წასული **რამაზ მუმლაძე,** რომელმაც ნამატჩევს სტუმართა გასახდელს მიაშურა და ყოფილ ფეხბურთელებს მოგება მიულოცა...

აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთათურებმა პირველი გამარჯვება სწორედ მუმლაძის მიერ „ავაზადან" აყვანილი, 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ **ლაშა ქემუხტაშვილის** დუბლის წყალობით მოიპოვეს. გუშინ პირველად მოხდა ისიც, რომ „ტორპედომ" ერთ მატჩში 2 გოლი გაიტანა...

„ტორპედოს" ტრავმირებული ფორვარდი **ვახტანგ კვარაცხელია** აკლდა. სტუმართა რიგებში მყოფი მცველი **დაჩი ფოფხაძე** და ნახევარმცველი **თორნიკე თარხნიშვილი** გასულ სეზონში „სპარტაკში" თამაშობდნენ და ყოფილი გუნდის ძლევაში თავიანთი წვლილიც შეიტანეს.

ქუთათურებმა დამსახურებულად მოიგეს. მათ თავიდანვე მოიპოვეს ტერიტორიული უპირატესობა, ტაიმის შუაწელში კი უკვე სრულად დომინირებდნენ. მათი პირველივე მწვავე შეტევა გოლით დასრულდა. 28-ე წუთზე **საბანაძემ** ქემუხტაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ამ უკანასკნელის ოსტატურ დარტყმას **გრიშიკაშვილი** ვერ შესწვდა და ანგარიშიც ასე გაიხსნა - 0:1.

გოლმა მასპინძლები გამოაცოცხლა. მათ თამაში მოედნის ცენტრში გადაიტანეს. ტაიმის ბოლო ათ წუთში კი ისევ იმერლებმა იძალეს და მეორე ბურთის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ... საბანაძის დარტყმული ხარიხას მოხვდა. ათ წუთში საბანაძე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში და სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ცხინვალელთა კარს. ტაიმის ბოლოს, ქემუხტაშვილმა გადააწოდა **მერაბ გიგაურს,** რომლის თავურზე გრიშიკაშვილმა იმარჯვა.

„სპარტაკის" თავკაცმა **გოჩა ჩიქოვანმა** შეცვლებით სცადა გუნდის გამოცოცხლება. შემტევი პოტენციალი მან ნახევარმცველ **ვალერი ბოლქვაძითა** და თავდამსხმელ **ილია ბუზალაძით** გააძლიერა, მაგრამ მასპინძლებს ამანაც ვერ უშველა. მეორე ტაიმის სტარტზე ქუთათურებმა სწრაფ გოლზე გააკეთეს აქცენტი. 47-ე წუთზე **გიორგი დათუნაიშვილის** პირველ დარტყმას (ქემუხტაშვილის პასის შემდეგ) გრიშიკაშვილი გადაეფარა, დამატებაზე ყველას თავად დაასწრო, მაგრამ მცირედით ააცილა...

იმერლებმა მასირებული შეტევები გააგრძელეს და... მეტოქეს მეკარე შეაცვლევინეს. 58-ე წუთზე წუთზე ქემუხტაშვილმა მეკარეს ბურთზე ფეხი წაუკრა და საჯარიმოს გარეთ გასული გრიშიკაშვილი იძულებული გახადა, ხელით ეთამაშა. არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** „სპარტაკის" მეკარე გააძევა, რომლის ნაცვლად კარში სარეზერვო გოლკიპერი **ნიკა დაუშვილი** ჩადგა.

ამან „ტორპედო" უფრო მაღაზე მოიყვანა. მე-60 წუთზე ჩიკვილაძის დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა. დათუნაიშვილს კი დაუშვილმა აუღო. თავის მხრივ, „სპარტაკმაც" შეაწუხა მეტოქე, მაგრამ ბოლქვაძის დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს.

იმერლებმა მეორე გოლი მოამწიფეს და სხვაობაც გაზარდეს. 73-ე წუთზე ქემუხტაშვილმა კვლავ ოსტატურად „მოჭრა" ბურთი და ანგარიში ორამდე გაზარდა. სტუმრებს კიდევ ორი კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ჩიკვილაძის დარტყმული ამჯერად მეკარემ აილო, **გურულს** კი მცირედით უმტყუნა მიზანმა. მატჩის მიწურულს „სპარტაკმა" მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა - ბოლქვაძის ჩაწოდებას **მგელაძის** თავური მოჰყვა - 1:2.

„ტორპედომ" ამ მოგებით ქულები გააორმაგა, „სპარტაკს" გაუსწრო, ბოლოდან მერვე ადგილზე აღზევდა და ქართულ „ელ კლასიკოში" „დინამოს" ამაღლებული განწყობით დაუხვდება.

**მატჩის შემდეგ**

**გოჩა ჩიქოვანი (სპარტაკი):** „მეტოქემ გვაჯობა და დამსახურებულად მოიგო. პირველ ტაიმში სუსტად წარმოვჩნდით, მეორე ნახევარში უკეთ ავთამაშდით, მაგრამ კაცნაკლულები დავრჩით. მიუხედავად ამისა, ერთი გოლი მაინ გავიტანეთ. მომდევნო მატჩებში უკეთ თამაში გვმართებს".

**გია გიგატაძე (ტორპედო):** „ამდენი ხანია, პირველ მოგებას ველით და როგორც იქნა, ნავსი გატყდა. თამაში მოვიგეთ და მჯერა, წარმატებები კიდევ მოვა. ალალად გეტყვით, ეს მოგება ჩემი დამსახურება არ არის. ამ გამარჯვებას რამაზ მუმლაძემ ჩაუყარა საფუძველი".

**დავით ცაბაძე**

ტორპედო

# სოსო ფხაკაძე: ჯერ გიგატაძე, მერე ვნახოთ...

„ტორპედოს" ან უკვე ყოფილ თავკაც რამაზ მუმლაძის გადადგომის შემდეგ გუნდი დუბლების მწვრთნელ გია გიგატაძეს ჩააბარეს, რომლის ხელმძღვანელობით ქუთაისელებმა მიმდინარე სეზონის პირველი გამარჯვება გუშინ მოიპოვეს. თუმცა მოარული ხმების მიხედვით, კლუბის მეპატრონე „ვისოლის" ხელმძღვანელობა გუნდისთვის მაღალი დონის მწვრთნელს ეძებს. კანდიდატურებიც დასახელდა - გიორგი დარასელია, ასევე გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის ტანდემი. სხვა გვარებმაც გაიჟღერა...

გუშინ ქუთათურებმა გია გიგატაძის ხელმძღვანელობით პირველად მოიგეს და საინტერესოა, რა აზრისაა „ტორპედოს" შეფი მწვრთნელის საკითხზე. გუშინდელი მატჩის გარდა, კლუბის პრეზიდენტ სოსო ფხაკაძეს ამ თემაზე გავესაუბრეთ.

- ნავსი გატყდა და ჩვენმა გუნდმა მიმდინარე სეზონში პირველად მოიგო. აბსოლუტურად ობიექტურად გეტყვით, მოგებას წინა მატჩებშიც ვიმსახურებდით, მაგრამ იღბალი არ იყო ჩვენს მხარეს... გუნდის ჩამოყალიბებას და სათანადოდ ათამაშებას დრო სჭირდება. ჩვენ დიდი ხნით ვართ „ტორპედოში" მისულები და ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი სტრატეგიული ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

**- ცხრილში ბოლო ადგილს ამ მოგებით მოსწყდით. მიმდინარე სეზონში რა მიზნისთვის იბრძოლებს „ტორპედო"?**

- ჩვენი მიზანია მოწინავეთა შორის ვიყოთ და „ტორპედო" ღირსეული ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა იყოს. მართალია პირველად მერვე ტურში მოვიგეთ, მაგრამ, სამ წრეზე მეტი წინ არის და ცხრილში უფრო ზემოთ უნდა ავინაცვლოთ.

**- პროგრამა-მინიმუმი და მაქსიმუმი ხუთეული და სამეულია?**

- ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენი მიზანია ლიდერთა მარაქაში ვიყოთ.

**- გუნდს გია გიგატაძე ხელმძღვანელობს. ისევ აგრძელებთ მუშაობას მაღალი დონის მწვრთნელის მოსაწვევად?**

- გია დარჩება და მუშაობას გააგრძელებს, დანარჩენს კი ვითარება გვიჩვენებს. ჩვენი მიზანია, „ტორპედოს" წარმატების ისტორია გავაგრძელოთ.

**- თუ გქონდათ საუბარი გიორგი დარასელიასთან ან გიორგი კიკნაძესთან?**

- ჯერჯერობით, გია გიგატაძე ხელმძღვანელობს გუნდს და ვეცდებით, მასთან ერთად მივაღწიოთ წარმატებას.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

# დევდარიანიც გამოგვაკლდა

## ეროვნულს კლიმიაშვილი დაემატებაო...

მალტასთან და ლატვიასთან 8 და 12 ოქტომბრის მატჩებისთვის ეროვნულ გუნდის თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობა უკვე დაასახელა. სიაში 24 ფეხბურთელი იყო. გუშინ გაცნობეთ, რომ ტრავმის გამო გუნდს თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი **მათე ვაწაძე** გამოაკლდა. სამწუხაროდ დანაკლისი კიდევ გაიზარდა. ჩვენი ინფორმაციით, ოქტომბრის მატჩებში ნაკრებს დანიური „ორჰუსის" შემტევი ნახევარმცველი **დავით დევდარიანიც** ვერ დაეხმარება. დაკლებული ორი მოთამაშის სანაცვლოდ ქეცბაიას შემადგენლობისთვის ჯერ არავინ დაუმატებია. როგორც გავიგეთ მწვრთნელები სანაკრებო შემადგენლობას ერთ ფეხბურთელს დაამატებენ, „ვიტ ჯორჯიას" შემტევ ნახევარმცველ **ირაკლი კლიმიაშვილს.**

ჩვენი ნაკრები მოსამზადებელ შეკრებას ორშაბათს, 4 ოქტომბერს დაიწყებს. გუნდი უწინდელივით სასტუმრო „ბომონდში" დაბინავდება და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშებს. მატჩის წინა დღეს კი ქეცბაია ეროვნულ არენაზე ჩაატარებს წვრთნას. გავიგეთ ისიც, რომ მეტოქე მალტა ჩვეულზე ადრე, 5 ოქტომბერს გამთენიისას გვეწვევა. **ჯონ ბუტიგეგის** გუნდი სამი დღის განმავლობაში თბილისში, „მიხეილ მესხზე" ივარჯიშებს.

დაბოლოს, 8 ოქტომბერს საქართველოსა და ისრაელის ეროვნული ნაკრებების მატჩი 21 საათზე დაიწყება, თამაშზე დასასწრები ბილეთები 3, 5, 10 და 15 ლარი ეღირება.

**დავით ცაბაძე**



ირაკლი კლიმიაშვილი

## ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ

### დავით მუჯირი

# აზერბაიჯანში წასვლას, საქართველოში უხელფასოდ თამაში მირჩევნია

კლასი და გამოცდილება ბევრს ნიშნავს - მოსკოვის „ლოკომოტივი-დან" 8 თვის წინ გაშვებული დავით მუჯირი თბილისის „დინამოში" ფორმიდან აშკარად ამოვარდნილი მივიდა და საუკეთესო კონდიციებისთვის დღემდე არ მიუღწევია. ამის მიუხედავად, ეროვნული პირველობის ერთ-ერთ ლიდერ „ვიტ ჯორჯიასთან" „დინამოს" სწორედ მისი მონაწილეობით შექმნა ყველა სახიფათო მომენტი - ჯერ მარტო დონალდ ჯუსის მეკარესთან ოთხჯერ დატოვა პირისპირ, გია კვარაცხელიას კი მთლად საგოლე გადაცემა გაუკეთა...

32 წლის ნახევარმცველმა „დინამოსთან" კონტრაქტი დეკემბრამდე გააფორმა, თუმცა უფრო ხანგრძლივი ვადით დარჩენასაც არ გამორიცხავს...



დავით მუჯირი

**- თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში დიდი ხნის პაუზის შემდეგ თამაშეთ...**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ „ვიტ ჯორჯიასთან" გამარჯვებამ ძალიან გამახარა. ორმაგად ბედნიერი ვარ, თბილისის „დინამოს" ძირითადში თამაშით, რადგან თითქმის ერთწლიანი იძულებითი შესვენება მქონდა.

**- „ვიტ ჯორჯიასთან" რამდენჯერმე გამოიჩინეთ თავი, მაგრამ საუკეთესო ფორმაში ჯერ ნამდვილად არ ხართ. უგუნდობის პერიოდში არ ვარჯიშობდით?**

- გაჩერებული არ ვყოფილვარ, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიში საკმარისი არ არის. ბედნიერი ვარ, მთავარმა მწვრთნელმა „ვიტ ჯორჯიასთან" ძირითადში ჩემი დაყენება საჭიროდ რომ ჩათვალა. ვფიქრობ, გუნდის წარმატებაში წვლილი მეც შევიტანე. რა თქმა უნდა, იდეალური ფორმისგან შორს ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი თამაში მაინც მაკმაყოფილებს. საქმე ისაა, რომ ფორმის ასაღდგენად მცირე დრო მქონდა, თანაც, ეს თამაშისა და გუნდთან ერთად ვარჯიშის გარეშე წარმოუდგენელია. ალბათ, ძირითადში დაყენება ვარჯიშებისადმი ჩემი დამოკიდებულებითაც დავიმსახურე. მსურს, რაც შეიძლება მალე აღვიდგინო ფორმა. სამი კვირის განმავლობაში ამას „დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვცდილობდი... ვეცდები, უახლოეს მატჩებს უკეთეს მდგომარეობაში შევხვდე.

**- „დინამო" თქვენთვის დროებითი გაჩერება?**

- ვერ ვიტყვი, რომ აქ დროებით ვთამაშობ. „დინამოს" ხელმძღვანელობას შევხვდი და ამ თემაზე ველაპარაკე... 8 თვე გამიცდა და ამხელა შესვენების შემდეგ „დინამოს" მესვეურებმა ჩემს შესაძლებლობებში უნდა დამერწმუნებინა. 2010 წელს საერთოდ არ მითამაშია და ფორმაში ვერანაირად ვერ ვიქნებოდი. „დინამოსთან" ხანმოკლე ხელშეკრულებაც იმიტომ გავაფორმე, რომ პირველ რიგში თავად დავრწმუნდე ჩემს შესაძლებლობებში. კლუბის ხელმძღვანელობას ამიტომაც განვუცხადე - წლის ბოლომდე უხელფასოდ ვითამაშებ-მეთქი.

**- ეს თემა უყურადღებოდ დარჩა და აუცილებლად უნდა გკითხოთ - გასაგებია, რომ უხელფასოდ თამაში ერთგვარი ჟესტია, მაგრამ ფეხბურთელი ტამისა და ფულისთვის თამაშობს...**

- ცხადია, „დინამოს" ხელმძღვანელობამ გარკვეული ანაზღაურება შემომთავაზა, მაგრამ უხელფასოდ თამაში ჩემი ინიციატივა იყო. ნახავენ, რამდენად გამოვადგები „დინამოს" და თუ თანამშრომლობის გაგრძელება ორივესთვის მისაღები იქნება, შესაძლოა, იანვარში ახალ ხელშეკრულებაზეც დავილაპარაკოთ.

**- უცხოეთში წასვლის იმედი დაკარგეთ?**

- ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. დასამალი არაფერი მაქვს, ბუბა ტყავაძესაც ვუთხარი, რომ არასაფეხბურთო ქვეყნებიდან შეთავაზებები მქონდა, მაგრამ არ წავედი და არც წავალ.

**- ალბათ, აზერბაიჯანში გიწვევდნენ...**

- კი, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაშიც, მაგრამ მაინც საქართველოს ჩემპიონატში უხელფასოდ თამაში ვამჯობინე. რაღაც პრინციპები ხომ არსებობს? ტყავაძეს ვუთხარი - თუ საინტერესო წინადადება მექნება, ჩემი წასვლა საწყენი არ უნდა იყოს-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ამას გაგებით მოეკიდებიან. თუმცა იმას შევპირდი, რომ „დინამოდან" არასაფეხბურთო ქვეყანაში არ წავალ.

**- კიდევ რომელ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში გიწვევდნენ?**

- მენეჯერები მთავაზობდნენ, ბელარუსში თუ ნახვალი, მოლდოვაში შეხვდე ვეტყვით და ასე შემდეგ... რუსეთის პირველი ლიგის კლუბიდანაც დამიკავშირდნენ, მაგრამ მე ასეთ ლიგებში წასვლა არ მსურდა. დღეს ეს სიტუაციაა, მაგრამ რა იქნება ზამთარში, ვერაფერს გეტყვით. კლავ ანალოგიური შემოთავაზებები თუ იქნა, რა თქმა უნდა, არჩევანს ისევ „დინამოს" სასარგებლოდ გავაკეთებ.

**მერაბ მამულაშვილი**

● პრობლემა

# მალტამდე უკეთესი საფარი გვექნებაო...

ეროვნული ნაკრების თამაშამდე დიდი დრო არაა დარჩენილი - 8 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები თბილისში მალტას უმასპინძლებს. ემზადება ეროვნული სტადიონიც. გეხსომებათ, ისრაელთან მატჩის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ სტადიონის ბალახის საფარს „ყანა" უწოდა...

**რა შეიცვალა 7 სექტემბრის შემდეგ და რა კეთდება საფარის გასაუმჯობესებლად? ამის თაობაზე კიდევ ერთხელ დაველაპარაკეთ კომპანია „გრინტექსის" დირექტორ დავით ენდელაძეს, რომელიც საფარის ხარისხზეა პასუხისმგებელი...**

**- ბატონო დავით, რა გაკეთდა საფარის ხარისხის ასამაღლებლად?**

- დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ საფარი ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია და მჯერა, მატჩისთვის მაქსიმალურად კარგ კონდიციებში იქნება. დრო ჩვენზე მუშაობს. მართალია, ნაკრების შეხვედრის შემდეგ ეროვნულმა სტადიონმა კიდევ სამ მატჩს უმასპინძლა, მაგრამ მოედანს ვუვლით, საჭირო სამუშაოები ჩავატარეთ და ვიზუალურადაც კი ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია. ვერ ვიტყვი, რომ ხარისხი იდეალურია, მაგრამ ბალახის სიხშირემ მოიმატა და ფერის ინტენსივობაც გაზრდილია. „დინამო"-„ვიტ ჯორჯიას" მატჩის შემდეგ ნაკრების თამაშამდე სტადიონი დაიხურა, საფარს დავასვენებთ, შესაბამისად, სამუშაოებისთვის საკმაო დრო გვრჩება. მთავარია, ხელის შემშლელი პირობები არ იყოს.

**- საფარის შეცვლა ხომ არ იგეგმება?**

- იგეგმება. მოედანი ხუთი წლისაა და შესაცვლელია, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიებით საფარის გამოკეთება შესაძლებელია. ეგ არის, ასეთი სამუშაოები ყოველდღიურად უნდა ჩაატარო. აი, მაშინ კი ისრაელთან თამაშის წინ შექმნილი პრობლემები აღარ განმეორდება.

**- საერთოდ, საფარს წელიწადში ორჯერ ცვლიან. თავად ამბობდით, ეროვნული სტადიონის ბალახის საფარი ლანდშაფტური ტიპისაა და არა - სპორტული მოედნისაო. სპეციალური საფარის მოსაყვანი მეურნეობის ჩამოყალიბებაც ხომ არ იგეგმება?**

- საერთოდ, ჩვენნაირ კლიმატურ პირობებში საფარს წელიწადში ერთხელ ცვლიან. ჩვენთან ახლა ამის არც საჭიროებაა და არც - საშუალება. რაც შეეხება დამხმარე მეურნეობას, უკვე დავიწყეთ ამაზე მუშაობა და ვფიქრობ, გაზაფხულისთვის სპორტული ტიპის ბალახიც გვექნება, რომელიც ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. სასურველი იქნებოდა, მსგავსი ტიპის მეურნეობა ფეხბურთის განვითარებით დაინტერესებულ ორგანიზაციას ჰქონდეს, მაგრამ რთულია და ამას ვერავის მოსთხოვ. არადა, ეს ძალზე მომგებიანი ბიზნესია და მიკვირს, საქართველოში დღემდე რატომ ვერ განვითარდა. ალბათ, მიზეზი სტადიონებია, რომლებიც ძვირადღირებული პროდუქციის უფრო ინტენსიურად ასათვისებლად მზად არ არიან. არადა, საფარზე მოთხოვნის გაზრდა ბაზარს განავითარებს და ერთი კი არა, რამდენიმე მეურნეობა გვექნება.

**- ისრაელთან მატჩის შემდეგ თუ შეხვდით თემურ ქეცბაიას და თუ შეგიძლიათ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება?**

- თემურს არა, მაგრამ მის ასისტენტ სოსო ჭედიას კი შევხვდით, როცა საფარის შესამოწმებლად იმყოფებოდა. ვუთხარით, რაც შეიცვალა ისრაელთან მატჩის შემდეგ. ცხადია, ნაკრების ხელმძღვანელობის აზრი გვაინტერესებს და ჩვენც ვეტყვით, რა შეგვიძლია შევცვალოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამწვრთნელო საკითხი

# უხმაუროდ წამოსვლა



რამაზ მუმლაძე

**ახალ სეზონში პირველი სამწვრთნელო ცვლილება VII ტურის შემდეგ მოხდა: რამაზ მუმლაძემ ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა. გამოცდილი სპეციალისტის ეს ნაბიჯი, ერთი შეხედვით, მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: სამწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „ტორპედო" უამრავი ახალწვეულით გაძლიერდა, რომელთა მიწვევის ინიციატორი ასევე ახალი მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძე გახლდათ. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ „ტორპედოს" პატრონობა სოლიდურმა კომპანია „ვისოლმა" გადაწყვიტა: ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ქუთათურთა გუნდს ფინანსურად დალხენილი ცხოვრება ელოდა. ამას გარდა, კეთილმოეწყო და გარემონტდა ქუთაისის სტადიონი და „ტორპედოს" საწვრთნელი ბაზაც... მოკლედ, ყველა წინაპირობა შეიქმნა იმისათვის, რომ „ტორპედოს" სერიოზული ამბიციები გასჩენოდა და დიდ ფეხბურთს მონატრებული ქუთაისელი ქომაგების ოპტიმიზმი ქართულ სპორტულ მედიასაც „გადაედო"...**

ჰო, არ დავმალავთ: სეზონის დაწყების წინ თითოეული გუნდის შანსებს რომ ვაფასებდით, „ტორპედოს"... საჩემპიონო რბოლაში ჩართვა ვუწინასწარმეტყველეთ! ოღონდ, ესეც დავძინეთ: რახან ახალი გუნდია და ახალწვეულებს ერთმანეთში შესათამაშებლად გარკვეული დრო სჭირდებათ, პროგრამა-მაქსიმუმად.... ჩემპიონობა „დავუსახეთ", ხოლო პროგრამა-მინიმუმად - ევროტურნირების ერთ-ერთი საგზურის მოპოვება!

და აი, 7 ტურის მერე აბსოლუტურად განსხვავებული სურათი მივიღეთ: უმაღლეს ლიგაში ასეთი „ხმაურით" დაბრუნებული „ტორპედო" ერთადერთ გუნდად რჩებოდა, ჩემპიონატში გამარჯვება რომ არ ჰქონდა მოპოვებული. ჰოდა, ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდებში ნამუშევარი **რამაზ მუმლაძისთვისაც**, ალბათ, მიუღებელი უნდა ყოფილიყო სატურნირო ცხრილის გამოკვეთილ აუტსაიდერი გუნდის თავკაცობა და ამიტომაც დატოვა „ტორპედო". არადა, მართლაც ბედის ირონიაა, გნებავთ, უბრალო დამთხვევა დაარქვით: „ტორპედოდან" მუმლაძე... თავის ყოფილ გუნდთან წაგების მერე წავიდა; სამწუხაროდ, სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩი გამოდგა ის „ბოლო წვეთი", ამ სპეციალისტს ასეთი გადაწყვეტილება რომ მიეღო.

არადა, სწორედ „ვიტ ჯორჯიაში" ნაყოფიერი მუშაობით მოიპოვა მუმლაძემ წარმატებული სპეციალისტის სახელი; ჯერ ერთი, ამ კლუბის რეკორდს, ალბათ, კარგა ხნის განმავლობაში ვერც ერთი კოლეგა ვერ გააუმჯობესებს: „ვიტ ჯორჯიას" 12-წლიან ისტორიაში ერთადერთი სწორედ რამაზ მუმლაძე გახლდათ, გუნდში „გადაბმულად" 4 წელიწადი რომ იმუშავა! აღარაფერს ვამბობთ შედეგებზე: ამ 4 წლის განმავლობაში „ვეტერინარები" ერთხელ ჩემპიონები გახდნენ, ორჯერ ვერცხლის პრიზიორები და მხოლოდ ერთი სეზონი იყო, გუნდი V ადგილზე რომ გავიდა.

...კიდევ ერთი უცნაური დამთხვევა: წინა ჩემპიონატში პირველი სამწვრთნელო ცვლილება წლევანდელთან შედარებით უფრო ადრე, III ტურის შემდეგ მოხდა; უცნაური კი ის იყო, რომ პირველი „მსხვერპლი" მაშინაც ... მუმლაძე გახლდათ: „ვიტ ჯორჯიამ", ბევრისთვის მოულოდნელად, „გაგრასთან" დიდი ანგარიშით (0:4) წააგო და მთავარი მწვრთნელიც გუნდიდან წავიდა. ასეთი კვალიფიციური სპეციალისტი უმუშევარი დიდხანს არ დარჩენილა და მალე ერთობ საინტერესო სამსახურშიც „ჩადგა": მეორე ლიგაში მოასპარეზე „ავაზა-ვისოლის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

» მე-5 გვერდზე

● სამწვრთნელო საკითხი

# უხმაუროდ წამოსვლა

« მე-4 გვერდიდან

რა თქმა უნდა, პერსპექტივაზე გათვლილ ახალ კლუბში მისვლა მთლად უკან გადადგმული ნაბიჯი არ იყო, მაგრამ ასეთი დონის სპეციალისტი... II ლიგისთვის მაინც არ გვემეტებოდა. ამიტომაც მოველოდით განსაკუთრებული იმედით წარმატებული სპეციალისტის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას, თანაც, ახალ და ამბიციურ „ტორპედოსთან" ერთად. აქვე, ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: ჩვენი აზრით, ქუთაისური გუნდის ესოდენ წარუმატებელი სტარტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არასწორი სელექციაც იყო. ის ფაქტი, რომ პირველ ლიგაში გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა გარკვეულწილად შეიცვლებოდა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდებოდა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უმაღლეს ლიგაში (მერე რა, რომ... საქართველოა) განსხვავებული მოთხოვნებია და, ელემენტარულად, პირველთან შედარებით უფრო მაღალი დონეა.

ანუ, წინა სეზონის შემადგენლობიდან „ტორპედოში" ერთეულებილა დარჩნენ: **ომარ მიგინეიშვილი, გიორგი გურული, გივი ჩხეტიანი, თეიმურაზ ფარულავა, ირაკლი ცნობილაძე, ლევან კირკიტაძე, რევაზ კვერნაძე, ვაჟა ლომაშვილი**; თანაც, ამ 8 ფეხბურთელიდან მუმლაძე მეტ-ნაკლებად მხოლოდ გურულს, ჩხეტიანსა და ფარულავას ენდობოდა, თუმცა შვიდივე მატჩი არც ერთს ჩაუტარებია...

ახლა კი ახალწვეულებზეც ვთქვათ: საქართველოს სხვადასხვა გუნდიდან მუმლაძემ „ტორპედოში" მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები მიიწვია: **მაქსიმე ქვილითაია, სევასტი თოდუა, ნოდარ მაჭავარიანი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი დათუნაიშვილი, თორნიკე თარხნიშვილი, ნიკოლოზ კვასხვაძე, ზაურ ხაჭიპერაძე**; უკვე ჩემპიონატის მსვლელობისას, 3 ყოფილი შეგირდიც დაიმატა: **დავით დიღმელაშვილი, მიხეილ როსტიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია**; ამათ გარდა, ჯერ კიდევ საკონტროლო მატჩებში თამამად ენდობოდა ასევე თავისავე მიყვანილ ჭაბუკ ფეხბურთელებსაც: 19 წლის **ნიკოლოზ საბანაძეს**, 18 წლის **ლაშა ქემუხტაშვილსა** და 17 წლის **მერაბ გიგაურს**.

...I ტურში ჩემპიონ „ოლიმპთან" ნათამაშებ ფრეზე „ტორპედოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ვინ უსაყვედურებდა. მერე, „ბაიასთან" დამარცხება იყო, მაგრამ პანიკის საფუძველი არც მაშინ ყოფილა - ზუგდიდური გუნდიც ხომ სოლიდურად გაძლიერებული შეხვდა ახალ სეზონს. თუმცა, მომდევნო ორ ტურში მოპოვებულმა ერთადერთმა ქულამ უკვე ბევრი ჩააფიქრა: „ტორპედომ" შინ ვერ მოუგო „კოლხეთს", ხოლო სტუმრად თავისზე ბევრად სუსტ (ყველანაირ ასპექტში) „სამტრედიასთან" დამარცხდა!

აი, ამის მერე კი უკვე ლიად ალაპარაკდნენ „ტორპედოს" კრიზისზეც და ფეხბურთელთა ერთმანეთში შეუთამაშებლობაზეც; ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ გუნდი საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდა დამაგვირგვინებელ ფაზაში და გოლის გამტანი ფორვარდის პრობლემა „ვიტ ჯორჯიადან" „სასწრაფოდ" შეძენილ **ვახტანგ კვარაცხელიას** უნდა გადაეჭრა. სამწუხაროდ, კვარაცხელიამ ახალი გუნდის მაისურით მხოლოდ 2 არასრული მატჩი ჩაატარა (ტრავმა მიიღო), შემდეგ გიორგი დათუნაიშვილიც დაშავდა, ცალკე უიღბლობაც დაემატა („ზესტაფონთან" გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთზე გაუშვეს) და „ტორპედოც" ნელ-ნელა კი არა, უკვე მყარად დამკვიდრდა... ცხრილის ბოლო საფეხურზე.

სწორედ ეს აღმოჩნდა მიუღებელი „ტორპედოს" ერთგული, მაგრამ ამასთან, ზედმეტად მომთხოვნი ქომაგთათვის: VI ტურის მატჩის (ბოლნისის „სიონთან") დროსაც და შეხვედრის დასრულების შემდეგაც ყოვლად მიუღებელი ობსტრუქცია რომ მოუწყვეს საკუთარი გუნდის მთავარ მწვრთნელს. უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვა წინა ტურებშიც ხდებოდა - ერთი-ორჯერ „ტორპედოს" საწვრთნელ ბაზაზეც მიუვარდნენ ქომაგები და მწვრთნელ-ფეხბურთელებისგან... ახსნა-განმარტებებს ითხოვდნენ.

რა თქმა უნდა, „გარედანაც" კარგად ჩანდა, რომ „ტორპედოს" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა სელექციაში გარკვეული შეცდომები დაუშვა; ჯერ ერთი, საქართველოში კი არა, ყველგან გვხვდება მსგავსი შემთხვევები, როცა ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკლებად ამბიციურ, გნებავთ, პროვინციულ გუნდში ბრწყინავს, მაგრამ, როგორც კი ბევრად სოლიდურ გუნდში გადავა, საკუთარ შესაძლებლობებს ველარ ავლენს ხოლმე. „ტორპედოს" ზოგიერთ ახალწვეულს სწორედ ასე დაემართა, ზოგმა - იმედები ვერ გაამართლა, ზოგმა - ტრავმა მიიღო, ზოგს - ძირითადში დამკვიდრება გაუჭირდა და ამის გამოც იყო, მუმლაძემ ბოლო ტურებში ხშირ როტაციას რომ მიმართა.

თუმცა არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე, ისე, როგორც არაფერი გამოვიდა „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ „თავის მიყვანილი" ფეხბურთელების დაყენებისგან. არადა, როგორი საქმეა: ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული გუნდი ცხრილის ბოლო ადგილზეა, გულშემატკივრები ობსტრუქციას (კიდევ ვიმეორებთ, ყოვლად მიუღებელსა და დაუშვებელს) გიწყობენ, ნანატრი გამარჯვებისათვის „რალაც" უნდა მოიფიქრო და ასეთი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფმა მუმლაძემ ძირითადში სამი ჭაბუკი დებიუტანტი (გიგაური, საბანაძე, ქემუხტაშვილი) დააყენა, კიდევ ერთი კი შეცვლაზე (**თემურ სანიკიძე**) შეიყვანა.

სამწუხაროდ, ვერც ამ სარისკო გადაწყვეტილებებმა მოიტანა შედეგი - მეტოქისგან განსხვავებით, „ვიტ ჯორჯიამ" ბევრად უფრო „დალაგებული" და ორგანიზებული ფეხბურთი ითამაშა; ეგ კი არა, მეტოქე თავის შანსებს უმოწყალოდ (ერთი-ორ ეპიზოდში, ცოტა არ იყოს, საეჭვოდაც) რომ ანიავებდა, „ვეტერინარებმა" პირველივე და, ფაქტობრივად, ერთადერთი სახიფათო შეტევა **ბესიკ ჩიმაკაძის** ულამაზესი გოლით დააგვირგვინეს!

ისე, მეტოქის კართან მომენტების „საეჭვოდ" განიავება თუ საკუთარ საჯარიმოში მოწინააღმდეგე ფეხბურთელთა „გატარება-გამოტარება" ფეხბურთში ყოველთვის იყო, არის და იქნება, თან, არა მხოლოდ - საქართველოში; უბრალოდ, ჩვენთან ხომ, ყველაფერ უბედურებასთან ერთად, „ლამაზად შეფუთვაც" არ იციან; რა თქმა უნდა შორს ვართ იმ აზრისგან, რომ კონკრეტული მწვრთნელის (ამ შემთხვევაში, მუმლაძის) გათავისუფლებისათვის კლუბის ხელმძღვანელები სხვა ვერაფერს მოიფიქრებდენ, გარდა... ფეხბურთელთა გარკვეული ჯგუფისთვის „გარკვეული" დავალების მიცემისა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ მსგავსი სიტუაცია ჩვენთან არაერთხელ მომხდარა და, დიდი ალბათობით, კიდევ შესაძლოა ძალიან მალე მოხდეს (თუ უკვე არ არის მომხდარი...); მაგრამ ეს უფრო ხშირად ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა წინა პლანზე ფინანსები გამოდის და კლუბის ხელმძღვანელსა და მწვრთნელს შორის სერიოზული დაპირისპირებაა. მუმლაძისა და „ტორპედოს" შეფებს შორის კი აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა: ბოლოს და ბოლოს, სწორედ „ვისოლის" ხელმძღვანელებმა მიიწვიეს მუმლაძე ჯერ „ავაზაში", მერე კი ერთად შეეცადნენ „ტორპედოს" აღორძინებას.

ეგეც რომ არ იყოს, მუმლაძე-მწვრთნელს ქართულ ფეხბურთში... სკანდალი თუ „ხმაური" არასდროს ახასიათებდა: „ვიტ ჯორჯიადანაც" „უხმაუროდ" წამოვიდა და აი, ახლა უკვე „ტორპედოდანაც". ამას გარდა, ალბათ, თვითონაც ხვდება, სად რა შეცდომა დაუშვა: აქამდე სადაც უმუშავია, ფაქტობრივად, „გამზადებულ" გუნდში მიდიოდა; ახლა კი, თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ რომ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას, ალბათ, ბევრად უკეთესი სელექციის ჩატარებაც შეეძლო. თუმცა, მწვრთნელის ხვედრი ხომ ყველგან ერთი და იგივეა: თუ გუნდი იგებს, ფეხბურთელების დამსახურებაა, წარუმატებლობის შემთხვევაში კი...

დაბოლოს, ერთსაც ვიტყვით: „ტორპედოში" გატარებული წარუმატებელი პერიოდის მიუხედავად, არა გვგონია, რამაზ მუმლაძის სამწვრთნელო კვალიფიკაცია თუნდაც მცირეოდენი ეჭვის ქვეშ დადგეს...

**გია ტუხაშვილი**

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური




ინტერი-ვერდერი 4:0. ეტოოს და მის თანაგუნდელებს ხუმრობისთვისაც ეცალათ

# რუბინის სინდრომი

## ანუ როგორ იქცა ბარსა კოპენჰაგენის მდევრად

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე დღე უხვგოლიანი აღმოჩნდა - 8 მატჩში 21 გოლი გავიდა. ყველაზე მეტი 4-4 გოლი ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა „ინტერმა" და „ტოტენჰემმა" გაიტანეს. **რაფა ბენიტესის** ბიჭებმა ოთხი მშრალი გოლით დაასაჩუქრეს ბრემენის „ვერდერი". ოთხიდან სამი **სამუელ ეტოომ** გაიტანა, ერთიც **სნეიდერმა**. ამავე ჯგუფში „ტოტენჰემმა" „ტვენტე" გაანადგურა - 4:1. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ვან დე ვაარტი** გააძევეს, ალბიონელებმა სწორედ ამის შემდეგ გაიტანეს ორი გოლი. ჰოლანდიის ჩემპიონის რბევა სწორედ ვან დერ ვაარტმა დაიწყო, ერთი გოლი „მამლებს" **გარეთ ბეილმა** შეაშველა, **პავლიუჩენკომ** დუბლი შეასრულა. ცხრილს სათავეში ორი გამოკვეთილი ფავორიტი - „ინტერი" და „ტოტენჰემი" უდგას.

„ჰაპოელმა" ვერც შინ შეძლო ქულის მოპოვება. თელავიველებმა მხოლოდ იმით დაგვამახსოვრეს თავი, რომ „ლიონის" 3 გოლს, მეკარე **ენიემას** მიერ გატანილი პენალტით უპასუხეს. „შალკემ" პირველი გამარჯვება მიითვალა, **ფარფანისა** და **ჰუნტელაარის** გოლებით „ხუმარებმა" „ბენფიკას" სძლიეს და ქულებით გაუთანაბრდნენ. B ჯგუფში ორი მოგებით „ლიონი" ლიდერობს. „შალკეს" და „ბენფიკას" 3-3 ქულა აქვთ.

C ჯგუფში დიდ ინტერესს იწვევდა „ვალენსია"-"მანჩესტერის" დაპირისპირება. სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებს გაუჭირდათ, მაგრამ **ერნანდესის** გოლით მაინც მოიგეს. სხვათა შორის, ეს ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა „გამოაცხვეს". მოედანზე ერთი წუთის შესულმა **ფედერიკო მაკედამ** მექსიკელს ასისტენტობა გაუწია. ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაშიც ერთი გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი - „რეინჯერსმა" თურქეთის ჩემპიონი „ბურსა" დაამარცხა.

**ლაშა სალუქვაძის** „რუბინი" „ბარსელონასთვის" მოუგებელ ბარიერად იქცა. საქართველოს ნაკრების მცველმა 90 წუთი იასპარეზა, ის მე-40 წუთზე გააყვითლეს. **დავიდ ვილიამ** სწორედ ის პენალტი აქცია გოლად, რომელიც სალუქვაძემ „დაიმსახურა". „კოპენჰაგენმა" მეორე მატჩიც მოიგო, დანიელებმა „პანათინაიკოსი" ელადაზე ორი მშრალი ბურთით დაამარცხეს და ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

**დავით ცაბაძე**

### A ჯგუფი

**ინტერი-ვერდერი 4:0**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი (46. კასტელაცი) - მაიკონი, კორდობა, ლუსიო (62. სანტონი), კივუ - სტანკოვიჩი (80. ობი), კამბიასო - ბიაბიანი, სნეიდერი, კოუტინიო - ეტოო.

**ვერდერი:** ვიზე - ვესლი, მერტეზაკერი, პრიოდლი, სილვესტრი - ბარგფრედე, იენსენი - მარინი (63. ჰუნტი), ბოროვსკი (46. პასანენი), არნაუტოვიჩი - ალმეიდა (78. ვაგნერი).

**გოლები:** 1:0 ეტოო (21), 2:0 ეტოო (27), 3:0 სნეიდერი (34), 4:0 ეტოო (81)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ინტერი
**პირველი კუთხური:** ვერდერი
**პირველი ჯარიმა:** ვერდერი
**პირველი გაფრთხილება:** ვერდერი

| | | |
|---|---|---|
| 17 (9) | დარტყმა | 13 (5) |
| 13 | ჯარიმა | 19 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

**ტოტენჰემი-ტვენტე 4:1**

**ტოტენჰემი:** გომეში - ჰატონი, ბასონგი, კინგი, ასუ-ეკოტო - ვან დერ ვაარტი, ჰადლსტოუნი, მოდრიჩი (82. ლენონი) - პავლიუჩენკო (89. კინი) - კრაუჩი (65. ჯენასი).

**ტვენტე:** მიჰაილოვი - როსალესი, დუგლასი, ვისგერჰოფი, კუიპერი - ბრამა, იანსენი, რუისი, ლანდზაატი (69. დე იონგი), ბაჰრამი (28. ჩადლი) - იანკო.

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (46), 2:0 პავლიუჩენკო (50. პენ), 2:1 ჩადლი (56), 3:1 პავლიუჩენკო (64), 4:1 ბეილი (85)

**გაძევება:** ვან დერ ვაარტი (61)

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** ტერი ჰაუგე (ნორვეგია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ტვენტე
**პირველი კუთხური:** ტოტენჰემი
**პირველი ჯარიმა:** ტოტენჰემი
**პირველი გაფრთხილება:** ტვენტე

| | | |
|---|---|---|
| 16 (9) | დარტყმა | 27 (6) |
| 13 | ჯარიმა | 25 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 0 | გაფრთხილება | 3 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| 2. ტოტენჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-3 | 4 |
| 3. ტვენტე | 2 | 0 | 1 | 1 | 3-6 | 1 |
| 4. ვერდერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-6 | 1 |

### B ჯგუფი

**ჰაპოელი-ლიონი 1:3**

**ჰაპოელი:** ენიემა - ბონდარვი, დუგლასი, ბადეერი, ბენ დაიანი - როკი (59. შივონი), იადინი, ვერმუთი, ზეჰავი (59. აბუტბული) - საჰარი (76. ტამუზი), შეხტერი.

**ლიონი:** ლორისი - რეველიერი, დიაკატე, ლოვრენი, სისოხო - ტულალანი - კალსტრიომი, გურკუფი (77. პიანიჩი) - ბრიანი, მიშელ ბასტოსი (89. გონალონსი) - გომისი (63. პიდი).

**გოლები:** 0:1 ბასტოსი (8. პენ), 0:2 ბასტოსი (36), 1:2 ენიემა (79. პენ), 1:3 პიანიჩი (90).

**მაყურებელი:** 12 500

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ლიონი
**პირველი კუთხური:** ჰაპოელი
**პირველი ჯარიმა:** ლიონი
**პირველი გაფრთხილება:** ჰაპოელი

| | | |
|---|---|---|
| 9 (7) | დარტყმა | 19 (7) |
| 12 | ჯარიმა | 9 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 4 | გაფრთხილება | 3 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

**შალკე-ბენფიკა 2:0**

**შალკე:** ნოიერი - უჩიდა (58. სარპეი), პაპადოპულოსი, მეტცელდერი, შმიტცი - მატიპი - ფარფანი, რაკიტიჩი (66. ჯონსი) - ხურადო (78. კლუგე) - ჰუნტელაარი, რაული.

**ბენფიკა:** რობერტო - მაქსი პერეირა, ლუიზაო, დავიდ ლუიში, სეზარ პეიშოტო - ხავი გარსია - გაიტანი (46. სალვიო), კარლუშ მარტინში, ფაბიო კოენტრაუ - სავიოლა (63. აიმარი), კარდოსო (71. ალანი).

**გოლები:** 1:0 ფარფანი (73), 2:0 ჰუნტელაარი (85).

**მაყურებელი:** 50 436

**არბიტრი:** ჯანლუკა როკი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** შალკე
**პირველი კუთხური:** ბენფიკა
**პირველი ჯარიმა:** ბენფიკა
**პირველი გაფრთხილება:** შალკე

| | | |
|---|---|---|
| 15 (3) | დარტყმა | 8 (1) |
| 12 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 9 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

» მე-8 გვერდზე

# უცხოური ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა

### ჯგუფური ეტაპი. II ტური

« მე-5 გვერდიდან

#### C ჯგუფი

**ვალენსია–მანჩესტერი 0:1**

**ვალენსია:** სესარ სანჩესი - მიგელი, დავიდ ნავარო, მადურო, მატიო - ალბელდა (86. თოფალი), ტინო კოშტა (75. ფერნანდესი) - პაბლო ერნანდესი, დომინგესი (59. ადურიცი), მატა - სოლდადო.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი - რაფაელი (90. ოში), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ფლეტჩერი, ქერიკი, ანდერსონი (77. ერნანდესი) - ნანი, ჯი სუნ პარკი - ბერბატოვი (84. მაკედა).

**გოლი:** 0:1 ერნანდესი (85)

**მაყურებელი:** 38 500

**არბიტრი:** ვიქტორ კაშაი (უნგრეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ვალენსია

**პირველი კუთხური:** ვალენსია

**პირველი ჯარიმა:** ვალენსია

**პირველი გაფრთხილება:** ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| 10 (1) | **დარტყმა** | 8 (2) |
| 16 | **ჯარიმა** | 10 |
| 6 | **კუთხური** | 3 |
| 1 | **გაფრთხილება** | 0 |
| 53% | **ბურთის ფლობა** | 47% |

**რეინჯერსი–ბურსასპორი 1:0**

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი - ბუგერა, უეირი, პაპაჩი - ვაიტაკერი, ბროუდფუტი - სენტ დევისი, მაკკალოჰი, ედუ, ნეისმიტი - მილერი (87. ლაფერტი).

**ბურსასპორი:** ივანკოვი - თანდოღანი, ერდოღანი, სტეპანოვი, ვედერსონი - სვენსონი, ერგიჩი (39. ინსუა) - შენი, ბატალია (72. ნუნიესი), ოზანი - ილდირიმი (72. თურღაი).

**გოლი:** 1:0 ნეისმიტი (18)

**მაყურებელი:** 49 000

**არბიტრი:** სერჟ გუმიენი (ბელგია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბურსასპორი

**პირველი კუთხური:** რეინჯერსი

**პირველი ჯარიმა:** ბურსასპორი

**პირველი გაფრთხილება:** ბურსასპორი

| | | |
|---|---|---|
| 13 (2) | **დარტყმა** | 15 (3) |
| 13 | **ჯარიმა** | 22 |
| 3 | **კუთხური** | 4 |
| 1 | **გაფრთხილება** | 3 |
| 44% | **ბურთის ფლობა** | 56% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 2. რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 3 |
| 4. ბურსასპორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

#### D ჯგუფი

**პანათინაიკოსი–კოპენჰაგენი 0:2**

**პანათინაიკოსი:** ცორვასი - მარინოსი, სარიეგი, ჟილბერტო სილვა, ვინტრა - სიმაო, კაცურანისი (46. კარაგუნისი), ნინისი (58. პლესისი), ლეტო - ლუის გარსია (47. სპიროპულოსი), სისე.

**კოპენჰაგენი:** ვილანდი - პოსპეხი, იორგენსენი, ანტონსონი, ვენდტი - ბოლანოსი (58. ნიორეგაარდი), კვისტი, კლაუდემირი (80. დელანეი), ვინგაარდი - გრონკიაერი - ნდოიე (77. სანტინი).

**გოლები:** 0:1 ნდოიე (29), 0:2 ვინგაარდი (38)

**გაძევება:** ჟილბერტო სილვა (49)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** უილიამ კოლუმი (შოტლანდია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** პანათინაიკოსი

**პირველი კუთხური:** პანათინაიკოსი

**პირველი ჯარიმა:** კოპენჰაგენი

**პირველი გაფრთხილება:** კოპენჰაგენი

| | | |
|---|---|---|
| 14 (4) | **დარტყმა** | 9 (2) |
| 10 | **ჯარიმა** | 13 |
| 6 | **კუთხური** | 2 |
| 1 | **გაფრთხილება** | 2 |
| 50% | **ბურთის ფლობა** | 50% |

**რუბინი–ბარსელონა 1:1**

**რუბინი:** რიჟიკოვი - კალეშინი, სალუქვაძე, სესარ ნავასი, ბოკეტი, ანსალდი - რიაზანცევი, მურავსკი, ნობოა (88. ნატხო) - ქარადენიზი (64. მარტინსი), კორნილენკო (62. სიბაია).

**ბარსელონა:** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, მაქსველი - მასკერანო (61. მესი) - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, ვილია (86. კრკიჩი).

**გოლები:** 1:0 ნობოა (29. პენ). 1:1 ვილია (60. პენ)

**მაყურებელი:** 20 000

**არბიტრი:** ჩუნეთ ჩაქირი (თურქეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბარსელონა

**პირველი კუთხური:** ბარსელონა

**პირველი ჯარიმა:** რუბინი

**პირველი გაფრთხილება:** რუბინი

| | | |
|---|---|---|
| 8 (2) | **დარტყმა** | 17 (4) |
| 19 | **ჯარიმა** | 15 |
| 2 | **კუთხური** | 10 |
| 3 | **გაფრთხილება** | 2 |
| 19% | **ბურთის ფლობა** | 81% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| 3. რუბინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური

# რეალი ინტერი არ არის, ჟოზე!

## ესპანეთში მუშა რეალის ფენომენის პერსპექტივა არ ხიბლავთ...

**გერმანიის რეკორდმაისტერმა შვეიცარიის რეკორდმაისტერს მოუგო; „რომამ“ და „რეალმა“ მუშა გამარჯვებები მოიპოვეს; „ჩელსიმაც“ დაახლოებით „ასეთ სტილში“ დაატოვებინა „მარსელს“ სამი ქულა; კარპინმა ჯანო ანანიძე ისევ არ ათამაშა, „სპარტაკი“ კი ასპროცენტიანია; „ბრაგას“ ფეხბურთელებს კი ურჩევნიათ, ჩემპიონთა ლიგა კომპიუტერში ითამაშონ...**

**განცდები და რეაქციები სამშაბათის მატჩების მიმოხილვაში...**

#### E ჯგუფი

**ბაზელი–ბაიერნი 1:2**

**გოლები:** 1:0 ფრაი (18), 1:1 შვაინშტაიგერი (56-პენ), 1:2 შვაინშტაიგერი (89)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** შერდან შაქირი (ბაზელი)

„ბაზელი“ შვეიცარიისთვის იგივეა, რაც „ბაიერნი“ გერმანიისთვის - ექსბაიერნელ **ტორსტენ ფინკის** მიერ გაწვრთნილი გუნდი შვეიცარიის „მარადმწვანე ჩემპიონია“. ჰოდა, ორი რეკორდმაისტერის დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა. მიუნხენურმა გიგანტმა „ზანკტ იაკობ პარკზე“ პირველ ტაიმში ზუსტად ისე ითამაშა, როგორც გასულ უქმეებზე „მაინცთან“ - ნორმალურად დაიწყო, ორი-სამი კარგი შანსი ჰქონდა, უაზრო გოლი გაუშვა და ამ ყველაფერთან ერთად, **ლუის ვან გაალის** ბიჭები ყველა პოზიციაზე შეცდომებს უშვებდნენ. „ბაიერნი“ ისევ არ ჩანდა იმის შემძლე, რომ მეტოქეზე კონტროლი დაემყარებინა - მიუნხენელთა შეტევები მეტწილად მხოლოდ სტატიკური იყო, ფლანგებზე კი **ტონი კროოსი** და **ჰამით ალთინთოფი** ფაქტობრივად არაფრად ვარგოდნენ. ამის დასტურად თუნდაც იმის თქმაც კმარა, რომ ფლანგის მცველებს, **ფილიპ ლამს** და **დანიელ პრანიჩს** პასების უკან გაკეთება უწევდათ. ვან გაალის გუნდის დაცვის ხაზმა კრიტიკას ვერც „ბაზელთან“ თამაშში გაუძლო: **დანიელ ვან ბუიტენმა** „მაინცთან“ დაწყებული „საქმე“ შვეიცარიაშიც გააგრძელა. „ბაზელის“ ფორვარდებს, **შტრელერსა** და **ფრაის** ვან ბუიტენი და **ბადშტუბერი** ხშირად ცენტრიდან გამოჰყავდათ, რასაც იდეალურად იყენებდნენ **შტოკერი, შაქირი** და **ინკომი**.

მეორე ტაიმში ვან გაალმა ტაქტიკური სქემა ორჯერ შეცვალა. **მარიო გომესის** გამოჩენის შემდეგ, მიუნხენელები 4-4-2-ზე გადაერთვნენ, **კლოზეს** გასვლის შემდეგ კი, შვაინშტაიგერი გამთამაშებლის პოზიციაზე დადგა, ზურგს **ტიმოშჩუკი** უმაგრებდა. ამ ცვლილებამ კი შედეგი გამოიღო. ამრიგად, ორ ტურში ექვსი ქულით, ბავარიული გრანდი მერვედფინალთან უკვე საკმაოდ ახლოსაა. თუმცა ეს „ბაიერნი“ შარშანდელი „ბაიერნისგან“ ჯერ ძალიან შორსაა.

მიუხედავად დუბლისა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად არა შვაინშტაიგერს, არამედ „ბაზელის“ ტალანტ შერდან შაქირის ვასახელებთ. 18 წლის უნიჭიერესმა მოთამაშემ დაგვარწმუნა, რომ უკვე ჩამოყალიბებული, სრულყოფილი ფეხბურთელია - ბურთის უნაკლო ფლობა, მეტოქის კარისკენ სწრაფვა, უზადო ჩაწოდებები და თუ საჭიროა, ორთაბრძოლებშიც ვაჟკაცურად შესვლა. ფაქტია, მას დიდი მომავალი აქვს...

**რომა–კლუჟი 2:1**

**გოლები:** 1:0 მექსე (69), 2:0 ბორიელო (71), 2:1 რადა (77)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფილიპ მექსე (რომა)

გვეგონა, „ინტერის“ დამარცხებით შეგულიანებული „რომა“ „კლუჟს“ შავ დღეს დააყრიდა, მაგრამ არაფერიც - რომაელებმა თამაში ისე დაიწყეს, ვიფიქრეთ, რომ **კლაუდიო რანიერის** გუნდს ჩემპიონთა ლიგა ფეხებზე ჰკიდია. „კლუჟი“ ვაჟკაცურად უტევდა და მომენტებიც შექმნა. მეტიც: რომ არა **ტრაორეს** აბსოლუტურად არალოგიკური და საშინლად ეგოისტური გადაწყვეტილება, როცა ის და მისი თანამებრძოლი „ჯალორროსის“ კიპერთან პირისპირ დარჩნენ, „კლუჟი“ ანგარიშს გახსნიდა და კაცმა არ იცის, შეძლებდა თუ არა მერე „რომა“ სასურველი ანგარიშის დაფიქსირებას. ტრაორემ კი, ნაცვლად იმისა, რომ თანაგუნდელისთვის ცარიელ კართან პასი მეცა, თვითონ მოინდომა რომის „ოლიმპიკოზე“ თავის გამოჩენა და... „კოვზი ნაცარში ჩაუვარდაც“ რბილი ნათქვამია!

მერე და მერე „რომა“ აზრზე მოვიდა და საწადელსაც მიაღწია. **ტოტი, ვუჩინიჩი** და **ადრიანო** უმაქნისები იყვნენ - ანგარიში მცველმა **ფილიპ მექსემ** გახსნა და გულახდილად ვთქვათ, რომ მან ეს გოლი დაიმსახურა, რადგან მოედანზე საუკეთესო იყო. შვიდ წუთში კი **ბორიელომ** იშვიათი სილამაზის გოლი შეაგდო: 50-მეტრიანი პასი „კლუჟის“ კარში ერთი შეხებით გადაგზავნა.

*„მუშა სამი ქულა მოვიპოვეთ, ანგარიშს კი მნიშვნელობა არ აქვს. „ინტერთან“ ომის შემდეგ საკმაოდ გადაღლილები ვიყავით და თავი ამიტომაც აღარ მოვიკალით. მთავარი შედეგია,“* - ასეთი იყო რანიერის ანალიზი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. კლუჟი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

#### F ჯგუფი

**ჩელსი–მარსელი 2:0**

**გოლები:** 1:0 ტერი (7), 2:0 ანელკა (28-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბრანისლავ ივანოვიჩი (ჩელსი)

პირველი შვიდი წუთის განმავლობაში „სტემფორდ ბრიჯის“ პუბლიკამ „ჩელსის“ ფეხბურთელები „ნიუკასლთან“ და „მანჩესტერ სიტისთან“ წაგებების გამო მწარედ დასაჯა: ბურთის ფლობის დროს, ფანები საკუთარი გუნდის მოთამაშეებს მაგრად უსტვენდნენ. მაგრამ როცა **ჯონ ტერიმ** კუთხურისას, **შეირუს** შეცდომით ისარგებლა და ბურთს მიმართულება „მარსელის“ კარის ახლო კუთხისკენ წარმატებით შეუცვალა, გულშემატკივრები ლონდონელ ფეხბურთელებს შეურიგდნენ.

მოედანზე მიმდინარე მოვლენებისთვის ზედგამოჭრილი იყო ის, რომ **ნიკოლა ანელკამ** მეორე გოლი საკმაოდ საეჭვო თერთმეტმეტრიანით გაიტანა - „არისტოკრატები“ მთელი მატჩის განმავლობაში „ოლიმპიკზე“ ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ და უფრო დიდი ანგარიშით მოგება არც დაუმსახურებიათ.

**სპარტაკი–ჟილინა 3:0**

**გოლები:** 1:0 არი (34), 2:0 არი (61), 3:0 იბსონი (89)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** არი (სპარტაკი)

არანაირი წინა პირობა არ არსებობდა საიმისოდ, რომ ეს მატჩი მაინცდამაინც საინტერესო და სანახაობრივი ყოფილიყო, რადგან „სპარტაკი“ არ თამაშობს თვალსასეირო ფეხბურთს და თანაც, არც „ჟილინაა“ ის გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ვინმეს კონკურენციას გაუწევს. რაც მთავარია, მოსკოველებმა ფავორიტის სტატუსი გაამართლეს, მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს და თანაც, რამდენიმე მართლაც საინტერესო კომბინაცია გაითამაშეს - სულ ეს იყო. „ჟილინას“ მცველებს განსაკუთრებით „სპარტაკის“ გარემარბები, **მაკგიდი** (მარჯვენიდან) და **კომბაროვი** (მარცხნიდან) აწიოკებდნენ. ჩვენ კი ისევ ამაოდ ველოდით **ჯანო ანანიძის** დებიუტს ჩემპიონთა ლიგაში - **ვალერი კარპინმა** ქართველ ტალანტს კვლავ სათადარიგოთა სკამი ახეხვინა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: მაკგიდი და კომბაროვი იმდენად კარგად თამაშობდნენ, რომ კარპინი ჯანოს მოედანზე მხოლოდ სამადლოდ თუ შეუშვებდა...

მოკლედ, „ჟილინა“ ახლოსაა იმასთან, რომ ჩემპიონთა ლიგის ყველა ანტირეკორდი გააუმჯობესოს. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის სტანდარტებს აკმაყოფილებს, მეკარე **დუბრავკაა**...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3. მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 4. ჟილინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

#### G ჯგუფი

**ოსერი–რეალი 0:1**

**გოლი:** 0:1 დი მარია (80)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ადამა კულიბალი (ოსერი)

დიახ, დიახ, დიახ! **ჟოზე მოურინიომ** მადრიდის „რეალს“ თავისი ხელი და ტვინი უკვე დაატყო: „სამეფო გუნდს“ ძალიან შეუყვარდა მინიმალური ანგარიშით მოგებები... მადრიდელებმა „ოსერთანაც“ ისე ითამაშეს, როგორც „ლევანტესთან“, განსხვავება კი მხოლოდ ის იყო, რომ ამჯერად 1:0 მოიგეს, გასულ უქმეებზე კი 0:0 ითამაშეს. როგორც ვვარაუდობდით, ჟოზეს **მესუთ იოზილი** ძირითად შემადგენლობაში აღარ გაუმწესებია და მის ნაცვლად, **გონსალო იგუაინის** უკან **ქარიმ ბენზემა** ათამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ფლობის მხრივ მადრიდელებს უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ, შეტევაში სახეიროს მაინც ვერაფერს ქმნიდნენ. ამიტომაც იყო, **კრისტიანო რონალდო** ბურთის ფლობის უპირატესობის ანგარიშში ასახვას შორეული დარტყმებით რომ ცდილობდა. უნიათობისა და კრეატივის არქონის მიზეზი ისიც იყო, რომ მოურინიომ სასტარტო შემადგენლობაში ერთდროულად სამი ჩამშლელი ნახევარმცველი, **ხედირა, ჩაბი ალონსო** და **ლასანა დიარა** გაამწესა. შესაბამისად იგუაინი, რონალდო და ბენზემა თავისთვის იყვნენ.

მეორე ტაიმში კი ჟოზე მიხვდა, რომ მეტი კრეატივი სჭირდებოდა და მოედანზე ჯერ იოზილი შეუშვა (ბენზემას ნაცვლად), მერე კი **ანხელ დი მარიაც** (ლასანა დიარას ნაცვლად). აი, მაშინ კი გაცოცხლდა მადრიდელთა შეტევები და ის ერთადერთი გოლიც, მოურინიო ასე რომ გაახარა, დი მარიას ანგარიშზეა - არგენტინელმა „ოსერის“ მცველების ერთადერთი შეცდომა გამოიყენა. დი მარიას გოლამდე ცოტა ხნით ადრე, მადრიდელთა მცველმა **პეპემ** კინაღამ ავტოგოლი გაიტანა და რომ გაეტანა (ბურთი **კასილიასის** კარის ძელს მოხვდა), კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს თამაში „რეალისთვის“.

*„ათასჯერ ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩემთვის მთავარი შედეგია. ჩვენ მოვიგეთ და ამით ყველაფერია ნათქვამი,“* - ტრადიციულად მკაცრი იყო მოურინიო მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, როცა ჟურნალისტებმა „რეალისთვის“ დამახასიათებელ ლამაზ ფეხბურთზე ჩამოუგდეს სიტყვა...

**აიაქსი–მილანი 1:1**

**გოლები:** 1:0 ელ ჰამდაუი (23), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (37)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ეიონ ენო (აიაქსი)

აქეთ ახალგაზრდა „აიაქსი“, იქით „ბებერი“ „მილანი“ - „ამსტერდამ არენაზე“ ერთმანეთს ორი უკიდურესობა დაუპირისპირდა და თეორია „როცა თაობები კამათობენ, შვილები ყოველთვის მართლები არიან“ ამჯერად არ გამართლდა: ფრე ასი პროცენტით ლოგიკური შედეგია. ისე, ჭკვიანი კაცი მატჩის სცენარს წინასწარაც იოლად გაწერდა: ამსტერდამელები უფრო დიდი სიამოვნებით დარბოდნენ და ანგარიშიც დამსახურებულად გახსნეს, „მილანს“ კი **კლარენს ზეედორფის** ერთი მაღალი კლასის მოძრაობა ეყო იმისთვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინა. 34 წლის კლარენსმა შესანიშნავი პასით მოძებნა **იბრაჰიმოვიჩი**, რომელმაც ბურთი კარში შეტენა (როგორც არაერთხელ შეუტენია). სხვათა შორის, „ამსტერდამ არენის“ პუბლიკამ ღვაწლმოსილი ზეედორფი გრანდიოზული ტაშით გააცილა - კლარენსს „აიაქსის“ წინაშე დიდი დამსახურება აქვს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. ოსერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

#### H ჯგუფი

**პარტიზანი–არსენალი 1:3**

**გოლები:** 0:1 არშავინი (15), 1:1 კლეო (33-პენ), 1:2 შამახი (71), 1:3 სკილაჩი (82)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარუან შამახი (არსენალი)

**სესკ ფაბრეგასის** გარეშე დარჩენილი „არსენალი“ დიდხანს წვალობდა და მატჩის ბედი მხოლოდ ბოლო ოც წუთში გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი საათის განმავლობაში მოედანზე მეტნი იყვნენ, ლონდონელებს სერბების კართან საგოლე მომენტების შექმნა ძალიან უჭირდათ - „პარტიზანი“ „ბრაგა“ არ აღმოჩნდა. „მეთოფეები“ გამარჯვების გზაზე **მარუან შამახმა** დააყენა, რომელსაც ვასახელებთ კიდეც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად - არა მარტო გოლის, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ ლონდონელთა მხრიდან ყველაზე მობილიზებული ფეხბურთელი იყო. გერმანელმა მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** სამი პენალტი დანიშნა, რომელთაგან მხოლოდ ერთი (**კლეოს** მიერ) იქნა გამოყენებული - იმავე კლეომ და **ანდრეი არშავინმა** კი პენალტები ვერ გამოიყენეს.

**ბრაგა–შახტარი 0:3**

**გოლები:** 0:1 ლუის ადრიანო (56), 0:2 ლუის ადრიანო (72), 0:3 დუგლასი (90-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლუის ადრიანო (შახტარი)

ვისაც ეგონა, რომ „ბრაგა“ მეორე ტურში მაინც გაამართლებდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას, სასტიკად შეცდა: პორტუგალიურმა კლუბმა ისევ ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და ამჯერად საკუთარ მოედანზე განადგურდა - ახლა უკვე დონეცკის „შახტართან“. უკრაინული გუნდის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მთავარი შემოქმედი კი **ლუის ადრიანო** იყო. პორტუგალიელებმა დაცვაში ისევ ბავშვური შეცდომები დაუშვეს და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ამ ჯგუფიდან მერვედფინალში „არსენალი“ და „შახტარი“ უპრობლემოდ გავლენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| 2. შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3. პარტიზანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 4. ბრაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**


ხედირას და ნდინგას ორთაბრძოლა

ზიძინა ზარიათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. აპერტურა

## ველესის საუკუნე და 3 უპასუხო



ველეს სარსფილდი 100 წლისაა

**VIII ტური**

**ველესი-ოლიმპო 3:0**
გოლები: 1:0 მარტინესი (22), 2:0 მორალესი (27), 3:0 დომინგესი (72)

**ინდეპენდიენ.-ხიმნასია 1:0**
გოლი: 1:0 ლეონელ გალეანო (27)

**არხენტინოსი-ბანფილდი 1:0**
გოლი: 1:0 გონსალო ვარგასი (32)

**ესტუდიანტესი-ბოკა 1:0**
გოლები: 1:0 მარკოს როხო (1)

**ლანუსი-ოლ ბოისი 1:0**
გოლები: 1:0 სანტიაგო ოიოსი (44)

**კოლონი-სან ლორენსო 2:0**
გოლები: 1:0 დამიან დიასი (35), 2:0 ხოაკინ ლარივეი (91)

**არსენალი-ნიუელსი 0:0**

**ურაკანი-გოდოი კრუსი 1:1**
გოლები: 0:1 ხაირო კასტილიო (43), 1:1 მაჩინი (45)

**რივერი-კილმესი 1:1**
გოლები: 1:0 პავონე (48), 1:1 კანეო (90)

**ტიგრე-რასინგი 0:0**

კვირამდე გამართული 6 მატჩიდან ყველა მასპინძლებმა მოიგეს, თან ისე, რომ საკუთარ კარში ერთი გოლიც კი არ გაუშვიათ.

27 სექტემბერს „ველეს სარსფილდმა“ 100 წლის იუბილე იზეიმა. სალამოზე გაიხსენეს კლუბის ისტორიის შემქმნელები - **მანუელ ჯუდიჩეს** მიერ შეკრებილი 1968 წლის ჩემპიონები **ისელინ სანტოს ოვეხერო, ხოსე ლუნა, ომარ ვებე, ხოსე სოლორსანო, დანიელ ვილინგტონი, კარლოს ბიანკი**, რომელმაც მოგვიანებით გუნდს მწვრთნელის როლშიც მოაგებინა ჩემპიონატი და კოპა ლიბერტადორესი. იმ თაობიდან ზეიმს ესწრებოდნენ: ფანტასტიკური პარაგვაელი მეკარე **ხოსე ლუის ჩილავერტი, ომარ ასადი, ტურუ ფლორესი, კრისტიან ბასედასი, რობერტო პომპეი, ვალტერ პიკო, ფერნანდო პანდოლფი, რაულ კარდოსო.** სტუმრებს ჩილედან მიესალმა **მარსელო ბიელსაც**...

გაიხსენეს კლუბის ლეგენდარული პრეზიდენტი **ხოსე ამალფიტანიც**, „დონ პეპე“, რომლის სახელსაც ატარებს კლუბის სტადიონი, სადაც „ველესმა“ „ოლიმპოს“ განადგურებით გახსნა აპერტურას მე-8 ტური. 22-ე წუთზე **მაქსი მორალესმა** და **ხუან მანუელ მარტინესმა** შეტევის მარცხენა ფრთიდან აიკლეს „ოლიმპოს“ მთელი დაცვა, ბოლოს მაქსიმ ბურთი პარტნიორს გაატანა, ის კი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ახლო კუთხეში დაურტყა - 1:0. 5 წუთში მორალესმა თვითონ გაიტანა, როცა საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილმა ისეთი ძალით დაარტყა, კინალამ ხელები მოსტეხა მეკარეს - 2:0.

მეორე ტაიმში **კრისტიან ფარაონიმ** სტუმრებს გაუძევა **კრისტიან ვილანუევა (57)** და **ედუარდო კასაისი (62)**, 10 წუთში კი მესამე გოლი **სებასტიან დომინგესმა** გაიტანა - სწრაფი კონტრშეტევის დროს სტუმართა საჯარიმოში „ველესის“ 6 ფეხბურთელი აღმოჩნდა მეტოქის, მეკარის წინ კი სამნი დარჩნენ - 3:0.

პირველად მოიგეს „არხენტინოსმა“ და „ინდეპენდიენტემ“, რომელსაც ამჯერად დროებითი მწვრთნელი **რიკარდო პავონი** (70-იანი წწ. ლეგენდარული გუნდის მცველი) მოძღვრავდა. „ხიმნასიას“ ერთადერთი გოლი **ლეონელ გალეანომ** გაუტანა, როცა საჯარიმოში საოცარი სიმშვიდით გაუსწორდა 2 მცველს. საუკეთესო მოთამაშედ კი ყველამ ერთხმად აღიარა გამარჯვებულთა მეკარე **ილარიო ნავარო**, რომელმაც ყველაფერი მოიგერია, რაც კი კარის მიმართულებით მიფრინავდა.

ანალოგიური ანგარიშით გაიმარჯვა „არხენტინოსმაც“. „ბანფილდმა“ მას 77-ე წუთამდე გაუძლო, მერე კი **ჩირო რიუსის** რეიდი და ურუგვაელი **გონსალო ვარგასისათვის** მიწოდებული საგოლე პასი გაეპარა - 0:1.

ერთი გოლი ეყო მოსაგებად „ლანუსსაც“. ზედიზედ განცდილი ორი მტკივნეული მარცხის მერე **ლუის სუბელდიას** შეგირდებმა კარგად გათამაშებული კუთხურისა და **სანტიაგო ოიოსის** თავურით მოუგეს „ოლ ბოისს“ - 1:0.

პირველსავე წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა ტურის ცენტრალური შეხვედრის ბედი. **ხუან ვერონის** მიერ შეტევაში ჩართულმა 20 წლის ცაცია **ფაუსტინო როხომ** „ბოკას“ საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან დაარტყა აუღებლად ცხრიანში - 1:0.

კიდევ ერთი მწვრთნელგამოცვლილი გუნდი დარჩა გამარჯვებული. ვიდრე სანტა ფეში გადაწყვეტენ, ვის ჩააბარონ „კოლონის“ თავკაცობა, ფეხბურთელებს **მარიო სკიაკუა** ავარჯიშებს. ლიდერ „სან ლორენსოსთან“ თამაშის 35-ე წუთზე კარში ჯერ **ესტებან ფუერტესმა** დაარტყა, მერე **ფედერიკო იგუაინმა**, ბოლოს კი **დამიან დიასმა** გაიტანა - 1:0. მსაჯის წამატებულ დროში კი უკვე **ხოაკინ ლარივეის** ჯერი დადგა. მაღალი ბურთისთვის ბრძოლა აქაც ფუერტესმა მოიგო, ლარივეიმ კი თითქმის ნულოვანი კუთხიდან დაარტყა - 2:0.

მასპინძლები არც საკვირაო მატჩებში დამარცხებულან, თუმცა არც მოუგიათ - ოთხივე თამაში ფრედ დასრულდა, ორი კი სულაც უგოლოდ. „არსენალმა“ „ნიუელსთანაც“ გაიმეორა წინა ტურის შედეგი - 0:0. „რასინგმა“ ამავე ანგარიშით დაასრულა გასვლითი პაექრობა „ტიგრესთან“, რითაც მეტოქეს არ მისცა ზედიზედ მესამედ გამარჯვების შანსი, თვითონ კი აპერტურაში პირველი ფრე გაიფორმა.

თითო გოლი გაიტანეს დანარჩენ წყვილებში მოხვედრილმა გუნდებმა.

„ურაკანი“, რომელიც პირველ შეხვედრას ატარებდა, ახალი მწვრთნელის, **მიგელ ანხელ ბრინდისის** ხელმძღვანელობით, „გოდოი კრუსთან“ საშინაო მატჩის დებიუტშივე მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა - მე-15 წუთზე წითელი ბარათების დარიგების მოყვარულმა მსაჯმა **დიეგო აბალმა** სტუმრებს **დავიდ რამირესი** გაუძევა. მაგრამ ანგარიში სწორედ კაცნაკლულმა სტუმრებმა გახსნეს. 42-ე წუთზე აბალმა **ესეკილ ფილიპეტოს** უხეშობა პენალტით დასაჯა, **გასტონ მონსონმა** კოლუმბიელ **ხაირო კასტილიოს** 11-მეტრიანი კი აუღო, მაგრამ მისსავე დამატებულს ველარ მისწვდა - 0:1. 3 წუთში **გასტონ მაჩინმა** თავურით გაათანაბრა, მაგრამ ეს გოლი მეკარე **ნელსონ იბანიესის** იმდენად სულელურ შეცდომას მოჰყვა, რომ Ole-მ მას 2 ქულა დაუწერა!!! მეორე ტაიმში კი აბალმა მაჩინიც გააგდო.

„რივერმა“ უგოლო პირველი ტაიმის მერე პირველივე შეტევა გოლით დაასრულა - **არიელ ორტეგას** ჩაწოდებულ კუთხურს „ბეტისიდან“ დაბრუნებული „ტანკი“ **მარიანო პავონე** გამოეხმაურა - 1:0. მატჩი ასეც მთავრდებოდა, მაგრამ 91-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ჯარიმას მეკარის საჯარიმოში მარტოდ მიტოვებულმა **მიგელ კანეომ** შეაგება თავური - 1:1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 8 | 5 | 2 | 1 | 10-4 | 17 |
| 2. ესტუდიანტესი | 7 | 5 | 1 | 1 | 9-3 | 16 |
| 3. სან ლორენსო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-8 | 15 |
| 4. არსენალი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-5 | 14 |
| 5. რივერი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-6 | 14 |
| 6. ბანფილდი | 8 | 3 | 4 | 1 | 10-5 | 13 |
| 7. ნიუელსი | 8 | 3 | 4 | 1 | 8-5 | 13 |
| 8. გოდოი კრუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 14-10 | 12 |
| 9. ლანუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-11 | 12 |
| 10. ტიგრე | 8 | 3 | 2 | 3 | 9-7 | 11 |
| 11. რასინგი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-8 | 10 |
| 12. ბოკა | 8 | 3 | 1 | 4 | 11-11 | 10 |
| 13. ოლ ბოისი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-9 | 10 |
| 14. კოლონი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 15. ურაკანი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-12 | 9 |
| 16. არხენტინოსი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-10 | 6 |
| 17. ინდეპენდიენტე | 8 | 1 | 3 | 4 | 6-12 | 6 |
| 18. ოლიმპო | 8 | 2 | 0 | 6 | 5-13 | 6 |
| 19. ხიმნასია | 7 | 1 | 2 | 4 | 3-6 | 5 |
| 20. კილმესი | 8 | 0 | 5 | 3 | 6-12 | 5 |

● ბრაზილია. სერია A

## ფეხბურთი ყოველდღე

**XXIV ტური**

**სან პაულუ-გუარანი 2:1**
გოლები: 1:0 მარლოში (14), 1:1 ბაიანო (45), 2:1 ოლივეირა (63)

**გრ. პრუდენტე-პალმეირასი 0:1**
გოლი: 0:1 არაუჟო (60)

**კრუზეირო-სეარა 2:0**
გოლები: 1:0 ვალტერ მონტილიო (83-პენ), 2:0 ერნესტო ფარიასი (90)

**გოიაში-ატლე. გოიანენსე 1:3**
გოლები: 0:1 ელიაში (6), 1:1 ამარალი (26), 1:2 ჟილსონი (49), 1:3 ჟუნინიო (84)

**ვასკო-ბოტაფოგო 2:2**
გოლები: 1:0 რამონი (13), 2:0 ლუიში (36), 2:1 გერმან ერერა (54), 2:2 აბრეუ (90-პენ)

**გრემიო-ფლამენგო 2:2**
გოლები: 1:0 დუგლასი (6), 1:1 კლებერსონი (33), 2:1 ჟონასი (54), 2:2 პეტკოვიჩი (86)

**ატლ. პარანენსე-ინტერნასიონ. 1:0**
გოლი: 1:0 ბაიერი (43)

**სანტოსი-კორინთიანსი 2:3**
გოლები: 1:0 დურვალი (1), 1:1 იარლეი (8), 2:1 ნეიმარი (26), 2:2 ელიაში (42), 2:3 ანდრე (69)

**ფლუმინენსე-ატლ. მინეირო 5:1**
გოლები: 1:0 ეუზებიო (11), 1:1 დანიელ კარვალიო (20), 2:1 კარლინიოში (36), 3:1 გუმი (65), 4:1 კარლინიოში (76), 5:1 მარკინიო (90)

**ვიტორია-ავაი 3:0**
გოლები: 1:0 ჟუნიორი (3), 2:0 ელკესონი (60), 3:0 დიაში (77)

**XXV ტური**

**გუარანი-ვასკო 1:0**
გოლი: 1:0 ბაიანო (80-პენ)

**ატლ. გოიანენ.-გრ. პრუდენტე 3:0**
გოლები: 1:0 აუენორი (24), 2:0 ფელტრი (59), 3:0 მარკაო (61)

**სან პაულუ-გოიაში 0:3**
გოლები: 0:1 ალბერტო (23), 0:2 რაფაელი (35), 0:3 რაფაელი (45)

**სანტოსი-კრუზეირო 4:1**
გოლები: 1:0 მარსელი (55), 2:0 დრასენა (69), 2:1 რიბეირუ (80), 3:1 სანდრო (88), 4:1 ნეიმარი (90)

**ფლამენგო-პალმეირასი 1:3**
გოლები: 0:1 კლებერი (19), 0:2 კლებერი (29), 1:2 პეტკოვიჩი (79-პენ), 1:3 ლინკოლნი (89)

**ბოტაფოგო-ატლ. პარანაენსე 1:1**
გოლები: 1:0 რობერტო (22), 1:1 მენდეში (90)

**ვიტორია-ფლუმინენსე 1:2**
გოლები: 0:1 დარიო კონკა (57-პენ), 1:1 ენრიკე (62), 1:2 როდრიგინიო (63)

**ინტერნასიონ.-კორინთიანსი 3:2**
გოლები: 1:0 ტინგა (29), 1:1 ენრიკე (64), 2:1 ალეშანდრო (77), 3:1 ანდრეზინიო (90), 3:2 სეზარი (90)

**ავაი-სეარა 5:0**
გოლები: 1:0 რუდნეი (5), 2:0 დავი (9), 3:0 ჯეფერსონი (17), 4:0 ჯეფერსონი (32), 5:0 დავი (58)

**ატლ. მინეირო-გრემიო 1:2**
გოლები: 0:1 ჟონასი (1), 0:2 გაბრიელი (14), 1:2 დიეგო ტარდელი (29)

ბრაზილიაში თითქმის ყოველდღე თამაშობენ - კვირაში 2-2 ტური იმართება და ახლაც, როცა ამ წერილს კითხულობთ, უკვე მორიგი ტურია დაწყებული.

25 ტურის შემდეგ პირველობა კვლავ „ფლუმინენსემ“ დაიბრუნა. „ატლეტიკო მინეიროსა“ (სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სტუმრებს **ალე** და **სოუზა** გაუძევეს) და „ვიტორიას“ ზედიზედ დამარცხებით გუნდმა თავისი აქტივი 48 ქულამდე გაზარდა და 1 ქულით გაუსწრო „კორინთიანსს“. ამ შეხვედრებში ძალიან კარგად ითამაშეს **კარლინიოშმა** (2 გოლი), **როდრიგინიომ** (1 გოლი +1 პასი) და არგენტინელმა **დარიო კონკამ** (1 გოლი +3 პასი), რომელიც ორჯერ მოხვდა „ლანსენეტის“ სიმბოლურ ნაკრებში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პოპულარულ ჟურნალ „პლაკარში“ ბრაზილიელთათვის სრულიად მიუღებელი თემაც კი გაჟღერდა - კონკას მოქალაქეობა შევუცვალოთ და „სელესაოში“ ვათამაშოთო! ეს თემა მაშინვე აიტაცეს მეზობელ არგენტინაში და „ოლემ“ კონკას ყვითელმაისურიანი ფოტოც კი დაბეჭდა.

მართალია, „კორინთიანსი“ „ფლუს“ ჩამორჩა, მაგრამ 1 თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. უკანასკნელ 2 ტურში **რონალდომ** და კომპანიამ 2 ურთულესი შეხვედრა გამართეს - ჯერ სტუმრად აჯობეს „სანტოსს“ 3:2, შემდეგ კი ასეთივე ანგარიშით წააგეს პორტუ ალეგრიში „ინტერნასიონალთან“. სტუმრებს პირველ შემთხვევაშიც გაუჭირდათ, ისინი ორჯერ აგებდნენ და „სანტოსის“ ამომავალ ვარსკვლავ **ნეიმარს** რომ ცოტა ზუსტად ეთამაშა, უთუოდ წააგებდნენ. ასე კი, ჯერ ვეტერანი **იარლეის** და **ელიაშის** (ორივემ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა) გაათანაბრეს, მეორე ტაიმის შუაწელში კი **ანდრეს** გოლით მოიგეს კიდეც. სხვათა შორის მატჩს ესწრებოდნენ „იუვენტუსის“ სკაუტები, რომლებსაც ნეიმარისა და მისი მოწინააღმდეგე **ჟუსილეის** საქმეში ხილვა სურდათ.

ანალოგიურად ორჯერ გაათანაბრა „ტიმაომ“ („კორინთიანსის“ მეტსახელი) პორტუ ალეგრიშიც. არგენტინელი **ანდრეს დ'ალესანდროს** 2 საგოლე პასით ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა **ტინგამ** იხეირა, მერე კი **ალექსანდრომ** (თავურით), მაგრამ ჯერ **ენრიკემ**, უკანასკნელ წუთზე კი **ანდრეზინიომ** (პენალტით) ანგარიში საყაიმო გახადეს.

ბოლო წუთები ნამდვილ ტრილერად იქცა: საპენალტე ეპიზოდს წინ უსწრებდა **ნეის** აკრობატული ნახტომი, ცხრიანიდან ბურთის ხელით გამოტანა და ლოგიკური გაძევება. თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ მასპინძელთა ცენტრიდან დაწყებული იერიში საჯარიმოსთან **ანდრემ** შეაჩერა, მორიგი წითელი ბარათი, **ცეზარის** საჯარიმო - რიკოშეტი და 3:2!!! „ინტერნასიონალს“ 24 მატჩში 41 ქულა აქვს აღებული, ცხრილში მეოთხეა და ჯერაც არ კარგავს ჩემპიონობის იმედს. აქვე გეტყვით, რომ ეს 2 კლუბი ბრაზილიაში ყველაზე სტაბილურ ბიზნესპროექტებად გამოცხადდა. საკონსულტაციო ფირმა „კროუ ხორვატის“ ცნობით, „კორინთიანსის“ შემოსავალმა 181 მილიონი რეალი (78 მილიონი ევრო) შეადგინა, „ინტერნასიონალისამ“ კი 176 მლნ. რეალი(76 მლნ. ევრო).

მესამეზეა „კრუზეირო“ (44 ქულა), რომელმაც ჯერ ბელუ ორიზონტიში მოუგო არგენტინული დუბლით (**ვალტერ მონტილიო, ერნესტო ფარიასი**) „სეარას“, მერე კი სტუმრად „დაეცა“ კაცნაკლულ „სანტოსთან“ (გააძევეს **ედუარდო** 64) - 1:4. ამჯერად, ნეიმარმა შესანიშნავად ითამაშა, თვითონაც გაიტანა და სხვებსაც ჩამოურიგა საგოლე პასები. „სანტოსი“ ახლა მეექვსეა (38 ქ.) და მასაც 1 მატჩი აქვს თადარიგში.

მაღალი ადგილებისთვის მებრძოლმა „ბოტაფოგომ“ ორჯერ ითამაშა ფრედ. „ვასკოსთან“ დერბიში იგი 0:2 აგებდა და მხოლოდ არგენტინელი **გერმან ერერას** (გოლიდან 5 წუთში გააძევეს) და ურუგვაელი **სებასტიან აბრეუს** გოლებით (პენალტი ბოლო წუთზე) გადაირჩინა თავი. სრულიად საპირისპიროდ წარიმართა მისი მატჩი ცხრილში მეზობელ „ატლეტიკო პარანაენსესთან“ - ამჯერად, უკანასკნელ წუთზე მეტოქემ გაათანაბრა.

კვლავ ცუდად თამაშობს ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბი „ფლამენგო“. მართალია, მან შეძლო „გრემიოსთან“ გასვლაზე ქულის აღება, მაგრამ იქვე წაიფორხილა და შინიდან 3 ქულა გაატანა „პალმეირასს“ (1:3), რომელმაც იქამდე „გრემიო პრუდენტესაც“ მოუგო. „ფლას“ შემადგენლობაში ისევ ვეტერანი სერბი **დეიან პეტკოვიჩი** თუა ქების ღირსი - გოლები მაინც გააქვს, აი პალმეირასელი **კლებერი** კი ბოლო ტურის გმირად მონათლეს და საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

ბოლო ტურებში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მიიქცია ყურადღება. „გრემიოს“ ფორვარდმა **ჟონასმა** ორივეჯერ გაიტანა და ლეგენდარული თანაკლუბელი **ჟარდელის** მიღწევა გაიმეორა - „გრემიოში“ პირადი ანგარიში 65 გოლამდე აიყვანა (მე-12 შედეგი) და კიდევ ერთ რეკორდს დაუმიზნა. 1995 წლის სეზონში ჟარდელმა 46 გოლი გაიტანა, ჟონასის სადღეისოდ 34 ბურთია, ტურნირის ბოლომდე კი 13 მატჩი დარჩა. გაცილებით იოლი იქნება **რონალდინიოს** დაწევა (38 გოლი 2000 წელს).

და ბოლოს, „ლანსენეტის“ მიერ შედგენილი ტურის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება (4-4-2): **ჰარლეი (გოიაში), ტიაგო ფელტრი, ჟილსონი (ორივე ატლეტიკო გოიანენსე), ედუ დრასენა (სანტოსი), პატრიკი (ავაი), კარლოს ალბერტო (გოიაში), ტინგა, დ'ალესანდრო (ორივე ინტერნასიონალი), დარიო კონკა, როდრიგინიო (ორივე ფლუმინენსე), კლებერი (პალმეირასი).**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 25 | 14 | 6 | 5 | 47-26 | 48 |
| 2. კორინთიანსი | 24 | 14 | 5 | 5 | 45-27 | 47 |
| 3. კრუზეირო | 25 | 12 | 8 | 5 | 34-26 | 44 |
| 4. ინტერნასიონ. | 24 | 12 | 5 | 7 | 31-24 | 41 |
| 5. ბოტაფოგო | 25 | 10 | 10 | 5 | 39-29 | 40 |
| 6. სანტოსი | 24 | 11 | 5 | 8 | 40-31 | 38 |
| 7. ატლ. პარანენსე | 25 | 11 | 5 | 9 | 30-33 | 38 |
| 8. პალმეირასი | 25 | 8 | 11 | 6 | 28-27 | 35 |
| 9. სან პაულუ | 25 | 9 | 7 | 9 | 32-34 | 34 |
| 10. გრემიო | 25 | 8 | 9 | 8 | 34-31 | 33 |
| 11. გუარანი | 25 | 8 | 9 | 8 | 28-33 | 33 |
| 12. ვიტორია | 25 | 7 | 10 | 8 | 32-33 | 31 |
| 13. ვასკო | 24 | 6 | 12 | 6 | 23-24 | 30 |
| 14. სეარა | 25 | 7 | 9 | 9 | 19-27 | 30 |
| 15. ავაი | 25 | 7 | 7 | 11 | 36-39 | 28 |
| 16. ფლამენგო | 25 | 6 | 10 | 9 | 24-28 | 28 |
| 18. ატლ. გოიანი | 25 | 7 | 5 | 13 | 33-36 | 26 |
| 18. გოიაში | 25 | 6 | 6 | 13 | 28-43 | 24 |
| 19. ატლ. მინეირო | 25 | 7 | 3 | 16 | 30-47 | 21 |
| 20. გრემიო პრუდ. | 25 | 4 | 8 | 13 | 21-36 | 20 |

ესპანური ამბები

# თურმე, სულ ტყუილად გაუძევებიათ



ელიზეუ წითელ ბარათს აპროტესტებს

ორშაბათს, „ლა როსალედაზე" „ვილიარეალთან" მატჩში მსაჯმა „მალაგას" პორტუგალიელი ნახევარმცველი **ელიზეუ** გააძევა, მაგრამ ის მორიგი ტურის მატჩს არ გამოტოვებს. ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა ელიზეუს წითელი ბარათი ყვითლად „გადაუკეთა". I ტაიმის მიწურულს ელიზეუს, რომელმაც მანამდე „ელ სუბმარინოს" კარში გოლი შეაგდო, სტუმართა მსოფლიოს ჩემპიონი მცველი **კარლოს მარჩენა** ეუხეშა, რითაც აღშფოთებული პორტუგალიელი მარჩენას მიეჭრა და შეუტია. მსაჯმა ელიზეუ მეტოქისთვის თავის დარტყმის გამო გააძევა, თუმცა მაშინვე გამოჩნდა, რომ მარჩენამ ყველაფერი ოსტატურად გააფორმა. კომიტეტმა დადგინა, რომ ელიზეუ საერთოდ არ შეხებია მეტოქეს თავით, ყვითელი ბარათი კი ძალაში აგრესიის გამოხატვის გამო დაუტოვა. ანდალუსიური კლუბის ჩივილმა გაამართლა. სხვათა შორის, ეს მეორე შემთხვევაა წლევანდელ ლა ლიგაში, როცა ფეხბურთელს წითელი ბარათი გაუუქმეს.

სამართალმა ბოლოს პური კი ჭამა, მაგრამ სწორედ ამ გაძევების გამო „მალაგამ" შინ 2:3 წააგო „ვილიარეალთან". ბუნებრივია, ანდალუსიელებს დაკარგულ ქულებს არავინ აუნაზღაურებს. 26 წლის სწრაფ ვინგერს არ გასჭირვებია „მალაგასთან" შეწყობა, ის ხომ 2 სეზონის განმავლობაში (2007-2009) აქ თამაშობდა, სანამ მილიონ ევროდ რომის „ლაციოში" გადაბარგდებოდა. ელიზეუ თავიდანვე „მალაგას" სასტარტო შემადგენლობის უცვლელი წევრი გახდა. შეგახსენებთ, რომ ელიზეუმ შარშანდელი სეზონის მე-2 ნახევარი იჯარით „სარაგოსაში" გაატარა.

სხვათა შორის, ამავე კომიტეტში ბილბაოს „ატლეტიკმაც" იჩივლა, რადგან ბასკური კლუბი მიიჩნევდა, რომ **ფერნანდო ამორებიეტაც** ტყუილ-უბრალოდ გააძევეს „ბარსელონასთან" მატჩში. კომიტეტმა, ამ შემთხვევაში, კლუბის სარჩელი არ დააკმაყოფილა, თუმცა ბასკი მცველი მხოლოდ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას დააჯერა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ესპანიოლი: მაურისიო საჩვენო კაცია



მაურისიო პოჩეტინიო კლუბში 2012 წლამდე რჩება

„ესპანიოლის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გაუხანგრძლივა არგენტინელ მთავარ მწვრთნელ **მაურისიო პოჩეტინოს**. ახლა 38 წლის არგენტინელი 2012 წლის ივლისამდე ბარსელონური კლუბის თავკაცია.

*„შეთანხმებას ძალიან ადვილად მივაღწიეთ, რადგან ურთიერთობის გაგრძელება ორივე მხარეს ძალიან გვსურდა. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რომ „ესპანიოლი" დიდ კლუბად ვაქციოთ. ვფიქრობ, სწორ გზას ვადგავართ. სპორტული თვალსაზრისითაც მე და ჩემს სამწვრთნელო ჯგუფს ძალიან დაგვეხმარება ეს ახალი კონტრაქტი, სტაბილურობის შეგრძნება გაგვიმყარდა და შეგვიძლია, მხოლოდ საქმეზე ვიფიქროთ და არა ხვალინდელ დღეზე"*, - განაცხადა მაურისიო პოჩეტინომ.

არგენტინელმა სპეციალისტმა „ესპანიოლი" 2008-09 წლების სეზონის ბოლოს ჩაიბარა, მაშინ მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სადაც ჩადებული იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით უნდა გაგრძელებულიყო. სწორედ ეს პუნქტი ამოქმედდა გუშინ.

მაურისიო პოჩეტინიო არგენტინის ნაკრების ყოფილი მცველია, რომელმაც 1994-2000 წლებში „ესპანიოლში" ითამაშა და ამ კლუბის მაისურით 216 მატჩში 11 გოლი გაიტანა. პოჩეტინიო შემდეგ ფრანგულ კლუბებში („პარი სენ ჟერმენი" და „ბორდო") გამოდიოდა, 2004 წელს კი ბარსელონაში დაბრუნდა. ორი წლის მერე მან კარიერა აქვე დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# სპორტინგი ფეხზე დგება

„სპორტინგის" თავკაცმა **მანოლო პრესიადომ** შვებით ამოისუნთქა - გუნდის ლაზარეთი ცარიელდება, ხიხონელთა ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა, **კარმელომ** და **აიოსემ** უკვე გუნდთან ერთად განაახლა ვარჯიში და ტრავმები ბოლომდე მოიშუშა. ერთიც და მეორეც შაბათს „სარაგოსასთან" დაპირისპირებისთვის მზად იქნება. განსაკუთრებით აიოსე დატანჯა ტრავმებმა, სხვადასხვა დაზიანების გამო მას ჯერ ერთხელაც არ უთამაშია ასტურიულ კლუბში.

აიოსე გარსია 24 წლის მარცხენა მცველია, ის პრიმერადან გავარდნილი „ტენერიფედან" გადავიდა „სპორტინგში" სამწლიანი ხელშეკრულებით. 27 წლის შემტევი ნახევარმცველი კარმელო გონსალესი 2008 წლიდან იცავს „სპორტინგის" ღირსებას. ორივე ფეხბურთელი წარმოშობით კანარის კუნძულებიდანაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




იუვენტუსი

# კიელინის ახალი კონტრაქტი

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს დღეებში „იუვენტუსის" მესვეურები **ჯორჯო კიელინისთან** ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენ, რომელიც ხუთ წელზე იქნება გათვლილი. ერთი ხანობა, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, თუმცა ბოლო ცნობებით, მხარეები კომპრომისზე წავიდნენ და ყველაფერი მოგვარდა. ამასთან დაკავშირებით კომენტარი „ბიანკონერის" სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** გააკეთა:

*„კიელინი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მასთან განშორება აზრადაც არ მოგვსვლია. იყო გარკვეული სირთულეები მოლაპარაკებების დროს, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და უახლოეს დღეებში, ხელშეკრულებას გავაფორმებთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ასეც მოხდებოდა, რადგან შეთანხმების მიღწევით ორივე მხარე დაინტერესებული იყო. ჯორჯო სიმბოლოა ჩვენი გუნდის და მართალია ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ კარიერა სწორედ „იუვეში" უნდა დაასრულოს".*

თავად კიელინიმაც გამოთქვა კმაყოფილება მიღწეული შეთანხმებით და დასძინა, „იუვედან" აბარგება ჩემს ინტერესებში არ შედისო. ჯერჯერობით არ ხმაურდება ხელშეკრულების ფინანსური დეტალები, მაგრამ ალბათ „ბიანკონერის" გულშემატკივრებისთვის ეს ყველაზე ნაკლებად საინტერესოა.

**ლაშა წიკლაური**

სატრანსფერო

# ინტერი მარინით დაინტერესდა

„ინტერი"-„ვერდერის" სალიგო პაექრობის წინ იტალიურ პრესაში მეტად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის თანახმადაც მილანური გრანდის მესვეურები ბრემენელთა შემტევი ნახევარმცველით, **მარკო მარინით** არიან დაინტერესებულნი. აპენინელთა ვარაუდით, **მასიმო მორატი** მარინის გადაბირებას ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შეეცდება. ამასთან დაკავშირებით კითხვებმა წინასამატჩო პრესკონფერენციაზეც გაიჟღერა. ჯერ **რაფაელ ბენიტესის** სიტყვას გაგაცნობთ, შემდეგ კი **თომას შააფსაც** მოვუსმინოთ:

*„მარინი ძალიან კარგი ფეხბურთელია და სიამოვნებით ვიხილავდი ჩემს გუნდში, მაგრამ მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ნამდვილად არაფერი მსმენია. მარკოს პოზიციაზე ჩვენთან ვესლი სნეიდერი ირჯება და სიმართლე გითხრათ, მისი თამაშით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. ასე რომ, მიუხედავად მარინისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, მისი გადაბირება აზრადაც არ მოგვსვლია".*

თომას შააფის თქმით, მარინთან განშორების სურვილი არ აქვს, თუმცა შესაძლოა ასეთი რეალობის წინაშე დადგეს: *„მარინი შესანიშნავად ასპარეზობს და არ მიკვირს, რომ მისი გადაბირება არაერთ გუნდს სურს. სიმართლე გითხრათ, „ინტერის" შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ ვერც ვერაფერს უარვყოფ. მარკო შესანიშნავი ფეხბურთელია, ბუნდესლიგაში და გერმანიის ეროვნულ გუნდში წარმატებით ასპარეზობს და საქმე საქმეზე თუ მიდგა, დარწმუნებული ვარ, თავს არც იტალიაში შეირცხვენს. თუმცა, რა დასამალია და მასთან განშორების სურვილი არ მაქვს".*

**ლაშა წიკლაური**

ევროპის ლიგა

ჯგუფური ეტაპი. II ტური

## დღეს

### A ჯგუფი

23:05 ლეხი-ზალცბურგი
23:05 მანჩესტ. სიტი-იუვენტუსი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. ლეხი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 3. იუვენტუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 4. ზალცბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### B ჯგუფი

23:05 ატლეტიკო-ლევერკუზენი
23:05 რუსენბორგი-არისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 2. არისი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ატლეტიკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. რუსენბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

### C ჯგუფი

23:05 გენტი-ლილი
23:05 სპორტინგი-ლევსკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევსკი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 2. სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. გენტი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 4. ლილი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

### D ჯგუფი

23:05 პაოკ-დინამო ზ
23:05 ვილიარეალი-ბრიუგე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო ზ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 2. პაოკ | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3. ბრიუგე | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. ვილიარეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### E ჯგუფი

23:05 ბატე-ალკმაარი
23:05 შერიფი-დინამო კ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. ბატე | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 3. დინამო კ | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 4. შერიფი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

### F ჯგუფი

21:00 ცსკა მ-სპარტა
23:05 პალერმო-ლოზანა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა მ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. სპარტა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 3. პალერმო | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 4. ლოზანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### G ჯგუფი

21:00 ჰაიდუკი-ანდერლეხტი
21:00 ზენიტი-აეკ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 2. აეკ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3. ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 4. ჰაიდუკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

### H ჯგუფი

21:00 ოდენსე-შტუტგარტი
21:00 იანგ ბოისი-ხეტაფე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტუტგარტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. ხეტაფე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. ოდენსე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. იანგ ბოისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### I ჯგუფი

21:00 მეტალისტი-ეინდჰოვენი
21:00 სამპდორია-დებრეცენი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 3 |
| 2. სამპდორია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3. ეინდჰოვენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. დებრეცენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |

### J ჯგუფი

21:00 ბორუსია-სევილია
21:00 პსჟ-კარპატი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-3 | 3 |
| 2. პსჟ | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. კარპატი | 1 | 0 | 0 | 1 | 3-4 | 0 |
| 4. სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

### K ჯგუფი

21:00 უტრეხტი-ლივერპული
21:00 სტიაუა-ნაპოლი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| 2. ნაპოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 3. უტრეხტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 4. სტიაუა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-4 | 0 |

### L ჯგუფი

21:00 ცსკა ს-პორტუ
21:00 რაპიდი-ბეშიქთაში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. ბეშიქთაში | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ცსკა ს | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. რაპიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევანი


ლუის ჰოლტბი

# კაპელოს ჰოლტბი გულზე არ ეხატება

**ლუის ჰოლტბი** არ მალავს, რომ **ფაბიო კაპელოსა** და ინგლისის ნაკრებს თავი შესთავაზა, თუმცა როგორც ეტყობა იტალიელი გერმანიის 21-წლამდელთა გუნდის კაპიტანს მოწყალე თვალით არ უყურებს. არადა, ჰოლტბის შეუძლია ითამაშოს როგორც ინგლისის, ასევე გერმანიის ნაკრებში. საქმე ის გახლავთ, რომ მამამისი სამხედროა, რომელიც გერმანიაში მსახურობდა და ვაჟიც იქ შეეძინა. თავად ჰოლტბიმ გასულ უქმეებზე საჯაროდ გამოაცხადა, რომ გერმანიის ნაკრებში უნდა თამაში, მაგრამ სამშაბათს სულ სხვა ინტერვიუ მისცა და დიდი კამათის მიზეზიც გახდა.

რადიო talkSPORT-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე, რას იტყვით, კაპელომ თქვენი ინგლისის ნაკრებში თამაშის საკითხი რომ წამოჭრასო, „მაინცის“ გამთამაშებელმა უპასუხა: *„წინადადებას აშკარად დიდი ინტერესით მოვუსმენ. ამ თემაზე ლაპარაკს წინ ვერაფერი დაუდგება. ჩემი გულის ნახევარი ინგლისს ეკუთვნი, ნახევარი კი გერმანიას. მე ორივე ქვეყანა მიყვარს და როგორც ერთის, ასევე მეორის შემადგენლობაში თამაში დიდ პატივად მიმაჩნია. უდიდეს პატივს ვცემ ისეთ დიდ ადამიანს როგორიც ფაბიო კაპელოა. ის ხომ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა“.*

ჰოლტბის სიტყვები ინგლისურმა პრესამ დიჯერა. „დეილი მეილმა“, მაგალითად, დაწერა, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა მართალიც იყოს, მაგრამ, იმავდროულად, ყურადღება ფეხბურთის ასოციაციის რეაქციაზე გაამახვილა. ჰოლტბის ნათქვამზე ლონდონში ყურიც არ შეიბერტყეს.

ვერ გეტყვით, ასე ძალიან საკითხი პრესამ გაამწვავა თუ ისედაც მწვავედ იდგა, მაგრამ დაიწერა, რომ შესაძლოა ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდეს: თუ გერმანიის ნაკრები ჰოლტბის 8 ოქტომბერს თურქეთთან სათამაშოდ გამოიძახებს და ფეხბურთელი დათანხმდება, მაშინ კაპელოსთვის თითზე კბენანი უკვე გვიან იქნება. ინგლისს ხომ 12 ოქტომბრამდე არ აქვს თამაში.

აქ ორი საკითხია: ერთი ის, რომ ეს ფეხბურთელი **ოუენ ჰარგრივზისგან** განსხვავებით (რომელიც ასევე გერმანულ-ინგლისური გავლენის ფეხბურთელია) გერმანული სკოლის აღზრდილია და ყველა ასაკობრივი დონე და ნაკრები სწორედ ამ ქვეყანაში აქვს გავლილი და მეორე, კაპელომ და მისმა შტაბმა ჰოლტბის თამაშის ჩანაწერები ნახეს და...

ამბობენ, რომ შეიძლება კიდევ ერთმა მომენტმა წამოყოს თავი: მიუხედავად იმისა, თუ რა თქვა სამშაბათს, ჰოლტბი უფრო გერმანელია, ვიდრე ინგლისელი და ის ამას თავადაც მალე მიხვდება. შესაბამისად, მისი ინგლისის ნაკრებში გამოძახება შეცდომა იქნება.

ახლა კი იმ ინტერვიუს დავუბრუნდეთ, რომელშიც ფეხბურთელი დედულეთს ეფიცებოდა სიყვარულს, თუმცა უკან დასახევ გზასაც იტოვებდა:

*„ვინაიდან გერმანიის დიდ ნაკრებში ჯერ არ მითამაშია, საკითხი კვლავაც ღიაა, მაგრამ მე ამ გუნდის მაისურის მორგება ძალიან მინდა. იმედი მაქვს, რომ მწვრთნელი უახლოს შეკრებაზე გამომიძახებს. თუ უახლოესზე არა, რომელიმე მატჩში მაინც მივიღებ მონაწილეობას, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ფეხბურთია, ფეხბურთში კი ყველაფერი ხდება. მე კარგად მესმის, რომ აქ ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლაზე არ არის ლაპარაკი. აქ საქმე ორ ქვეყანას შორის არჩევანზეა, ეს კი ერთხელ ხდება და სამუდამოდ. ნაკრებში რომ გიძახებენ სიამაყით ივსები და მადლობელი რჩები ქვეყნისა, რომელმაც ასეთი დიდი პატივი გცა. ჩემთვის, ჯერჯერობით, ასეთი წინადადებით არავის მოუმართავს. ჩემი სამშობლო გერმანიაა, მე აქ გავიზარდე, თუმცა მამის ხათრით ბავშვობიდან ინგლისის ნაკრების ქომაგიც ვარ“.*

გამოხმაურება


ჯონ ტერის თქმით, ჩელსიმ მარსელთან ძალები შეინახა

# ჩელსიმ გაზს ფეხი აუშვა...

**ჯონ ტერიმ** თქვა, რომ „ჩელსიმ“ „მარსელთან“ შეხვედრაში „გაზს“ ფეხი აუშვა, რადგან კვირას პრემიერლიგაში „არსენალთან“ ელის შეხვედრა და ფეხბურთელებს ძალების შენახვა სჭირდებოდათ. შეგახსენებთ, რომ ტერიმ, რომელსაც გოლი ექვსი თვის განმავლობაში აღარ გაეტანა ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის შეხვედრაში შეხვედრის დასაწყისშივე მიაღწია მიზანს - მე-7 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სტუმართა ბადეში შეაძვრინა.

*„სიამოვნებით გავიტანდით მესამე გოლს, მაგრამ ძალ-ღონის შენახვა გვმართებდა. ჩვენთვის უჩვეულოა, როდესაც თავიდან აღებულ ტემპსა და რიტმს ვკარგავთ, მაგრამ ამჯერად სწორედ ასე მოვიქეცით“.*

კაპიტნის ნათქვამს „ლურჯების“ მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** დაამატა: *„ჩვენ ამ სეზონში ნანვნევი ორი მარცხის („ქარლინგის“ თასსა და პრემიერლიგაში „მანჩესტერ სიტისთან“) ანალიზი გავაკეთეთ და ახლა ეს ნაგებები უკვე დავიწყებულია. „მარსელთან“ პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი უფრო გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც ვუტევდით“.*

კიდევ, იტალიელმა მწვრთნელმა ძალიან შეაქო **ნიკოლა ანელკა**, რომელმაც პირველ ტაიმში მეტისმეტად მშვიდად დაარტყა პენალტი - სტაჟიან ქართველ გულშემატკივარს, ალბათ, შორეულად **რევაზ ჩელებაძის** დარტყმულები გაახსენდებოდა. *„არასდროს მინახავს, ნიკოს პენალტის დარტყმის წინ ენერვიულოს, - თქვა ანჩელოტიმ. - ის ყოველთვის მშვიდადაა, დიდებული ხასიათის ადამიანია“.*

და კიდევ, 19 წლის **გაელ კაკუტამ** ამ დღეს დასავლეთლონდონელთა შემადგენლობაში სულ მეორე მატჩი ითამაშა. ანჩელოტიმ თქვა: *„მან გუნდური თვალსაზრისით ძალიან კარგად ითამაშა, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მინდა მივულოცო მას“.*

ტრავმა

# ფერგიუსონმა რუნის ტრავმა მოუგონა?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა უეინ რუნის** სამკვირიანი უქმობა გამოუწერა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრემიერლიგის ვარსკვლავი მონაწილეობას ვერც ინგლისის ნაკრების შესარჩევ შეხვედრაში მიიღებს - ინგლისელებს უახლოესი თამაში 12 ოქტომბერს ჩერნოგორიასთან აქვს.

ფერგიუსონი ამბობს, რომ რუნიმ კვირას, „ბოლტონთან“ ფრედ ნათამაშებ შეხვედრაში კოჭი იტკინა და მისი დასვენების მიზეზიც ეს არის. ამრიგად, თავდამსხმელი ევრო 2012-ის შესარჩევი თამაშის გარდა გამოტოვებს პრემიერლიგის შეხვედრებს „სანდერლენდსა“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“.

როგორც ხედავთ, ცბიერმა შოტლანდიელმა რუნის კოჭის ტკივილისთვის ძალიან მოხერხებული დრო „შეურჩია“: ერთი თამაში ნაკრებისთვის „მოაპარინა“, ხოლო სანაკრებო შეხვედრამდე და მის მერე „იუნაიტედს“ ისეთი მეტოქეები ჰყავს, რომლებთანაც გუნდმა წესით რუნის გარეშეც უნდა მოიგოს. ასე და ამგვარად, 24 წლის ვარსკვლავს კარგი შვებულება გამოუვა, რომლის დროსაც საშუალება მიეცემა აწეწილი ოჯახური საქმეები გამოასწოროს. მოგეხსენებათ, სექტემბრის თვე რუნის ცხოვრებაში ძალიან მძიმე გამოდგა - გაზეთებმა გამოუქექეს, რომ ადრე ის ფეხმძიმე ცოლს მეძავებთან ღალატობდა და დიდი სექს-სკანდალიც ატყდა.

ფერგიუსონმა თქვა: *„უეინი ორ ან სამ კვირას გამოტოვებს. ის ჯანმაგარი ბიჭია და ყოველთვის სწრაფად ერევა ხოლმე ტრავმას. გამოჯანმრთელების პროცესი არასდროს უჯანჯლდება“.*

როგორც ჩანს, რუნის კოჭის „მოხერხებულმა“ ტრავმამ ინგლისელ ჟურნალისტებს ეჭვი აღუძრა და მათ ფერგიუსონს საგანგებოდ სთხოვეს, ამ თემაზე უფრო დაწვრილებით ელაპარაკა, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღეს:

*„ვერ გავიგე, რას მთხოვთ? გინდათ, რომ მისი ყოველი მყესი ცალ-ცალკე აღგიწეროთ?“*

ფერგიუსონს რუნის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც ჰკითხეს. აინტერესებდათ, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ფეხბურთელი ხომ არ გატეხა და ხომ არ დაეტყო ეს ყველაფერი მის ბრძოლისუნარიანობას. ერთი სიტყვით, მწვრთნელისგან უნდოდათ შეეტყოთ რუნის შესახებ ყველაფერი, მისი მდგომარეობის ამბავი როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. შოტლანდიელმა ამ კითხვაზეც თავისებურად უპასუხა:

*„არავის სურს დაშავებული იყოს. უეინი სიამოვნებით ივლიდა ვარჯიშებზე და ითამაშებდა იმ შეხვედრებში, რომლებიც ახლა უნდა გამოტოვოს“.*



ლივერპული

# პეპე რეინა: იცით, ვის ვეთამაშეთ?!

„ლევერპულის“ ესპანელმა მეკარე **პეპე რეინამ** მერსისაიდელ ფანებს სთხოვა, ახალი მწვრთნელის **როი ჰოჯსონის** მიმართ მოთმინება გამოიჩინონ. ჩვენი გუნდი ძლიერად შეიძლება მომავალ სეზონამდე ვერც ათამაშდესო, თქვა 28 წლის გოლკიპერმა.

თავად რეინა მიმდინარე ჩემპიონატში ჩინებულ ფორმაშია, თუმცა გუნდი მისგან განსხვავებით ვერ ყოჩაღობს. რეინა ამბობს, რომ მწვრთნელის შეცვლის, მღელვარე და გაუგებარი სატრანსფერო ზაფხულის შემდეგ შემდეგ წარმატების ფორმულის პოვნა იოლი საქმე ვერც იქნებოდა. „წითლებს“ სეზონის სტარტი გვარიანად რთული ჰქონდათ.

მეკარის თქმით, თამაშის ნირის შესაცვლელად „ლივერპულს“ შესაძლოა კიდევ ექვსი თვე დასჭირდეს. ის მბობს:

*„როდესაც ამდენი ცვლილების შემდეგ, ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ახალი გეზი გიჭირავს, შედეგს უცბად ვერც მიიღებ. სანამ მდგომარეობა თვალსაჩინოდ გამოსწორდება შესაძლოა სამი ან სულაც ექვსი თვე გავიდეს. ერთ დღეში ნამდვილად ვერაფერს შეცვლი. დღეს ჩვენ ყველანი ახლებურად მუშაობას ვეჩვევით.*

*ყოველ მომდევნო დღეს საკუთარ თავს ვამჩნევ, რომ ჰოჯსონის მოთხოვნებსა და იდეებს უფრო მეტად ვუღებ ალღოს. ასევე არიან ჩემი თანაგუნდელებიც. ჩვენ ყველას მოთმინება გვმართებს“.*

კიდევ, რეინამ ხაზი გაუსვა, რომ დღემდე ჩატარებულ ექვს შეხვედრაში შედიოდა სტუმრობები „მანჩესტერ სიტისთან“, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „ბირმინგემთან“, რომელიც ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. „ლევერპულმა“ შინ „არსენალთან“ თამაშიც მოასწრო.

*„ექვსი თამაშიდან ექვსი ქულა ნამდვილად არ არის ის, რასაც ჩვენ ვგეგმავდით. მეორე მხრივ, ის ხალხი ვინც გვაკრიტიკებს, ეტყობა, კალენდარში არ იყურება და არ აკვირდება როგორ გუნდებს შევხვდით აქამდე. ჩვენ ნამდვილად რთული სტარტი გვქონდა. ჯერ იყო და „არსენალს“ ვუმასპინძლეთ, შემდეგ კი სტუმრად ვითამაშეთ „მანჩესტერ იუნაიტედთან“, „მანჩესტერ სიტისთან“ და „ბირმინგემთან“.*

*განა ბევრი გუნდი ჩავა ისტლენდზე, „ოლდ ტრეფორდსა“ თუ „სენტ ენდრიუზე“ და იქიდან სამ ქულას წამოიღებს? ეს გუნდები ხომ შინ ჩინებულად თამაშობენ“.*

რეინას ოპტიმიზმს მისი თანაგუნდელი **მარტინ შკრტელიც** იზიარებს. 25 წლის სლოვაკი მცველი ამბობს, რომ ჰოჯსონის იდეების შეთვისებას და მოედანზე განხორციელებას მართლაც დრო სჭირდება.

*„ჩვენი მიზანი ტოპოთხეულში მოხვედრაა, რაც, რასაკვირველია, ძნელია. მეორე მხრივ, თუ თამაშს გავაუმჯობესებთ და ტურიდან ტურამდე გავძლიერდებით, გამორიცხული არაფერია. ჩვენ ყველას დრო გვჭირდება, მწვრთნელსაც და მოთამაშეებსაც. თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად სწორედ დრო არის საჭირო. მე მიყვარს ეს ქალაქი, ეს კლუბი და სტადიონი. მინდა მერსისაიდელ ფანებს რაც შეიძლება მეტი ჯილდო მოვუტანოთ“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**


პეპე რეინა

ძიუდო. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

# მსოფლიო გარიყვით გვემუქრება

ზუსტად ერთ თვეში - 30-31 ოქტომბერს თურქულ ანტალიაში ძიუდოისტთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც, სავარაუდოდ, ჩვენი ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ადრინდელმა ხელმძღვანელობამა ტურნირი კალენდარში შეიტანა, ფედერაციის სათავეში მომხდარი საკადრო ცვლილებების შემდეგ მოსული ახალი უფროსობაც იმავეს იმედოვნებდა, ამასობაში კი თურქეთის ძიუდოს ფედერაციის საიტმა მონაწილე გუნდების სია გამოაქვეყნა, სადაც საქართველო არათუ ძირითად შემადგენლობაში, სათადარიგოებშიც არ არის. ამაში გასაკვირიც არაფერია - შეჯიბრების მონაწილეებს პირადი პირველობის შედეგების მიხედვით შედგენილი რეიტინგით არჩევენ და არა გუნდურისა, როგორც ადრინდელი ხელმძღვანელობა გვეუბნებოდა. თანაც ბოლო ორი სეზონის შედეგებს ითვალისწინებენ, ჩვენ კი ზუსტად ამ წლებში ქართულ ძიუდოში შექმნილი არეულობების გამო არაფერი მოგვიგია. ამიტომ გასაკვირიც არაა, მსოფლიოს გუნდურ პირველობაში თუ არ მიგვიწვიეს. არადა, საქართველო ამ ტურნირის მოქმედი ჩემპიონია – შარშანწინ, ნოემბერში ტოკიოში გამართულ პირველობაზე მიყოლებით დაამარცხა კორეა, ბრაზილია და უზბეკეთი.

წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ეგვიპტემ, კორეამ, იაპონიამ, მონღოლეთმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, ამერიკამ და თურქეთმა (ამათ, როგორც მასპინძლებმა) მოიპოვეს, სათადარიგოებად კი აზერბაიჯანი, ალჟირი, ყაზახეთი და ბრაზილიაა დასახელებული. ამის მიუხედავად, საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში დაგვაიმედეს, რომ ტურნირში საქართველოს ჩართვაზე საერთაშორისო ფედერაციასთან აქტიურად მუშაობენ და პრობლემას ლამის მოგვარებულად მიიჩნევენ. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო - თუ მართლაც მოხერხდება, კარგი საქმე იქნება. ჯერ ერთი, ბიჭები საშეჯიბრო პრაქტიკასაც მიიღებენ, მეორეც - ნაკრების ახალდანიშნულ თავკაც **სოსო ლიპარტელიანს** შეგირდებზე დაკვირვების კიდევ ერთი შანსი მიეცემა, თუმცა ის ნაკრების კანდიდატებს მანამდე, ორი კვირით ადრე - 15-17 ოქტომბერს როტერდამის „დიდ პრიზზეც" გამოსცდის. ბარემ აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე შეჯიბრებები მხოლოდ ხუთ - 66, 73, 81, 90 და +90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაიმართება, გუნდში კი ორი სათადარიგო მონაწილის დაყენება შეიძლება.

ოქტომბერში ქართულ ძიუდოს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელოდება - 21-24-ში მაროკოული აგადირი ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, ამ ასაკის ნაკრებსაც ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - **გიორგი გუგავა,** რომელმაც ეროვნულში გადასული ლიპარტელიანი შეცვალა. უფრო სწორად, გუგავაა ლიპარტელიანის კანდიდატურა. ახალგაზრდულ ნაკრებში გუგავა მის დამხმარედ მუშაობდა, ხოლო როცა ლიპარტელიანმა ეროვნულში გადაინაცვლა, თავის ძველ პოსტზე ძველი მეგობარი და ყოფილი თანაშემწე წარადგინა. ამით ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყოველგვარი მოსალოდნელი რყევა თავიდან აიცილა - გუგავა ისედაც კარგად იცნობს გუნდს და იცის მისი ავანჩავანი.

ახალგაზრდები მსოფლიოს პირველობისთვის ინდივიდუალურად, საკუთარ მწვრთნელებთან ემზადებიან, 4 ოქტომბრიდან კი შეკრებას გეგმავენ. ჯერ ბოლომდე არაა გადაწყვეტილი, სად ჩაატარებენ, სავარაუდოდ, უფრო დუშეთში. უფროსებისა არ იყოს, მსოფლიოს პირველობაზე ახალგაზრდებშიც წონაში ქვეყნიდან ორ-ორი მონაწილის დაყენებაა შესაძლებელი, თუმცა, რამდენი კაცით წავლენ ჩვენები, ეს დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ამიტომ გუგავა გუნდის შემადგენლობას ჯერ ვერ ასახელებს, მაგრამ ევროპაზე ნაჭიდავები გუნდის გადახალისებას კი აპირებს. ოღონდ მაშინდელი მედალოსნები არ შეიცვლებიან. შეგახსენებთ, რომ 17-19 სექტემბერს ბულგარულ სამოკოვოში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე **ოთარ კაიდარაშვილი** (55) და **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) ჩემპიონები გახდნენ, **გიორგი ნოზაძემ** (90) კი ვერცხლი მოიპოვა. რაც შეეხება მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატს, იქ **არჩილ შინჯიკაშვილი** (90) მეორე იყო, **ლაშა ზურაბიანი** (73) - მესამე.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# ბიბილაშვილი დაბრუნდა

**ამას წინათ საქართველოს სამბისტთა ჩემპიონატზე 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბევრისთვის გასაკვირად ჩემპიონი 31 წლის გორელი მოჭიდავე ნიკო ბიბილაშვილი გახდა. გასაოცარი ის იყო, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონს ბოლო ხუთი წელია ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია. ვარჯიში ორიოდ თვის წინ განაახლა და...**

— ჯერ ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებზე გამოვედი. ივლისსა და აგვისტოში შიდა ქართლის სხვადასხვა სოფელში ოთხჯერ გავედი ნახერხმოყრილ სარბიელზე და ოთხჯერვე პირველობა მოვიპოვე. არადა, საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეებთან მომიხდა შებრძოლება.. მაშინ დავრწმუნდი, რომ საქართველოს ჩემპიონატზე გამოსვლაც შემეძლო.

**— გამარჯვების იმედი თუ გქონდა?**

— მედლის იმედი ნამდვილად მქონდა. სასიამოვნოა, რომ ეს მედალი ოქროსი აღმოჩნდა. სხვათა შორის, ესეც კარგი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ ძლიერია სოფლად ჩვენი ეროვნული ჭიდაობის შეჯიბრებები!

**— რომელ შეხვედრებს გამოარჩევ?**

— განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ნახევარფინალი, სადაც საქართველოსა და მსოფლიოს ჩემპიონს მირიან პავლიაშვილს უაღრესად დაძაბულ პაექრობაში ვძლიე. ფინალური შეხვედრა კი თელაველ ვალერი იმერლიშვილს ქულების დიდი სხვაობით მოვუგე.

**— თუმცა მოახლოებულ სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც არ მოგიწევს გამოსვლა...**

— დიახ, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, მსოფლიოზე კვლავაც პავლიაშვილი იჭიდავებს. მე კი გაისად ევროპის ჩემპიონატზე შემეძლება გამოსვლა.

**— გამოდის, რომ დროა საჭირო ოპტიმალური ფორმის აღსადგენად...**

— რა თქმა უნდა. როდესაც ასეთი დიდი პაუზაა ოფიციალურ შეჯიბრებებს შორის, ოპტიმალური ფორმის ორსამ თვეში აღდგენის იმედი ილუზია იქნებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქტიურად დავიწყე ვარჯიში, 12 კილო დავიკელი. ხუთსაც დავიკლებ, ენერგიასაც ჩვეულად აღვიდგენ და მომავალ შეჯიბრებებს უფრო თავდაჯერებული შევხვდები.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭადრაკი

# პრეზიდენტად ისევ ილუმჟინოვი აირჩიეს

ხანტი-მანსიისკში, სადაც მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მიმდინარეობს, გუშინ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ფიდეს კონგრესზე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებმა. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გენერალურ ასამბლეაზე დიდი შეხლა-შემოხლაც ყოფილა. ბოლოს მაინც გაიმართა არჩევნები. ორგანიზაციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა **კირსან ილუმჟინოვმა** მეტოქეს — მე-12 მსოფლიოს ჩემპიონ **ანატოლი კარპოვს** აჯობა 95 ხმით 55-ის წინააღმდეგ (13 ბიულეტენი გაუქმდა) და პოსტი კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა. არჩევნების დამთავრებისთანავე ილუმჟინოვმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა — თავის ოპონენტს ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა შესთავაზა. კარპოვმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.



კირსან ილუმჟინოვი

ახლა კი თვით გუშინდელი ორთაბრძოლების შესახებ. მე-8 ტურის შედეგები ჩვენთვის სასიხარულოც იყო და სამწუხაროც. ისევ გაგვაოცეს ქართველმა დიდოსტატმა ვაჟებმა. გუშინ მათ დაძაბულ პაექრობაში ბელარუსის ნაკრები დაჯაბნეს 2,5:1,5 (**ბაადურ ჯობავა-სერგეი ჟიგალკო 1:0, ვიტალი ტეტერევი-მერაბ გაგუნაშვილი 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი-ევგენი პოდოლჩენკო 1:0, კირილ სტუპაკი-თამაზ გელაშვილი** 0,5:0,5). ასეთივე ანგარიშით სომხებმა პოლონელებს მოუგეს, ფრანგებმა — რუსეთის მეორე ნაკრებს, დაზავდნენ (2:2) რუსეთი (1)-უკრაინა, უნგრეთი-აზერბაიჯანი, აშშ-ჩინეთი, ესტონეთი-რუსეთი (3), სერბეთი-სლოვაკეთი, კუბამ 3:1 სძლია ირანს, ისრაელმა-ჰოლანდიას.

რვა ტურის შემდეგ 14 ქულით უკრაინელები ლიდერობენ. მათ თითო ქულით ჩამორჩება 6 გუნდი, მათ შორის — საქართველო.

დღეს მე-9 ტურში ჩვენი ბიჭები (13/23,5) თეთრებით ფრანგებს (13/20, საშუალო რეიტინგი- X, **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი**-2721, **ლორან ფრესინე**-2718, **ვლადისლავ ტკაჩიევი**-2632, **რომან ედუარდი**-2636, **სებასტიან ფელერი**-2649) დაუპირისპირდებიან. მეწინავეებში დანარჩენები ასე დაწყვილდნენ: აზერბაიჯანი (13/22,5)-უკრაინა (14/23), სომხეთი (13/21)-რუსეთი-1 (13/21), ისრაელი (12/12,5)-უნგრეთი (13/19,5), კუბა (12/21)-ჩინეთი (12/22), ბულგარეთი (11/21,5)-აშშ (12/21)...

ქალებში მე-8 ტურის წილისყრის გამოქვეყნების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ქართველი დიდოსტატებიც და მათი ქომაგებიც შვებით ამოისუნთქავდნენ, რადგან სერბეთი ის გუნდი არ არის, რომლის ძლევაც ჩვენებს არ შეეძლოთ, თითოეულ დაფაზე ხომ ქართველების სარეიტინგო მაჩვენებლები და, საერთოდ, შედეგებიც ბევრად აღემატება მეტოქისას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი თურმე ფუჭი ყოფილა: ექსიუგებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს და 2,5:1,5 აჯობეს. **ნანა ძაგნიძე ნატაშა ბოიკოვიჩთან** დამარცხდა, **სალომე მელიას ირინა ჩელუშკინამ** დაჯაბნა, **სოფიო ხუხაშვილი ანჟელიკა სტოიანოვიჩს** დაუზავდა, **ბელა ხოტენაშვილმა** კი სძლია **იოვანა ერიჩს**, მაგრამ გუნდი წაგებისგან ამით ვერ იხსნა.

ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ინდოეთი-რუსეთი (1) 0,5:3,5, უნგრეთი-ბულგარეთი 2:2, რუსეთი (2)-აშშ 3:1, ჩინეთი-ბელარუსი 3,5:0,5, გერმანია-უკრაინა (1:3, რუსეთი (3)-კუბა 0,5:3,5, სლოვაკეთი-საბერძნეთი 2:2, ხორვატია-პერუ 2,5:1,5, რუმინეთი-ირანი 3:1, სლოვენია-პოლონეთი 1,5:2,5.**

8 ტურის შემდეგ ქალებში 16 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს რუსეთის პირველი ნაკრები, რომელიც, ნაკლებსარწმუნოა, რომ ოქროს მედლებს ვინმეს დაუთმობს. 13-13 ქულით მეორე-მესამე ადგილებს სერბეთი და რუსეთის მეორე ნაკრები ინაწილებენ. 8 გუნდს 12-12 ქულა აქვს. მე-9 ტურში ითამაშებენ: **საქართველო (12/22,5)-რუსეთი-2 (13/20,5, საშუალო რეიტინგი — V, ნატალია პოგონინა-2491, ოლგა გირია-2414, ანასტასია სავინა-2404, ანასტასია ბოდნარუკი -2399, ალინა კაშლინსკაია-2358), რუსეთი-1 (16/25)-სერბეთი (13/23), უნგრეთი (12/20)-ჩინეთი (12/22,5), უკრაინა (12/22)-ხორვატია (12/19), კუბა (12/23,5)-ინდოეთი (12/21), ბულგარეთი (12/18,5)-რუმინეთი (11/21,5), სლოვაკეთი (11/21,5)- სომხეთი (11/21), პოლონეთი (11/20,5)-უზბეკეთი (11/22), აშშ (11/20)-საბერძნეთი (11/20,5), ლატვია (11/19,5)-ყაზახეთი (10/21)...**

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# ვინ ჩაიძირება ოლიმპიკის აუზში

## პოსტსაბჭოურ სივრცეში ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება 10 წელიწადია, არსად გამართულა

წლეულს ოქტომბერში სტარტს აიღებს წყალბურთელ ვაჟთა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. გადამწყვეტ ეტაპს ეინდჰოვენი (ჰოლანდია) უმასპინძლებს. ფინალში ექვსი გუნდია დაშვებული — მასპინძელთა და 2010 წლის ევროპის პირველობის I-V ადგილებზე გასული ხორვატიის, იტალიის, სერბეთის, უნგრეთისა და ჩერნოგორიისას. 20 ნაკრები კი 6 ჯგუფში განაწილდა და შესარჩევი ეტაპიდან დაიწყებს ფინალის 6 საგზურისთვის ბრძოლას. საქართველოს ნაკრები E ჯგუფში მოხვდა დიდ ბრიტანეთთან და საბერძნეთთან ერთად. პირველი ტურის შეხვედრა 30 ოქტომბერს თბილისში გაიმართება — საქართველო ინგლისელებს უმასპინძლებს, 20 ნოემბერს ბრიტანელები ბერძნებს მიიღებენ. დანარჩენი შეხვედრები 2011 წელს გაიმართება: 30 მარტი. **საქართველო-საბერძნეთი,** 11 მაისი. **საბერძნეთი-საქართველო,** 18 ივნისი. **საბერძნეთი-დიდი ბრიტანეთი,** 2 ივლისი. **დიდი ბრიტანეთი-საქართველო.** ორი საუკეთესო პლეი ოფში ითამაშებს.

ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად ქართველ წყალბურთელებს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ: ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გადაწყვეტილებით, წყალბურთში ლენტროფის გათამაშების პირველი რაუნდის ერთ-ერთი ჯგუფური ტურნირი 7-10 ოქტომბერს თბილისში გაიმართება. პაექრობებს საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი" უმასპინძლებს, რომლის საზეიმო გახსნასაც ევროპის წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი **ნორი კიურხენიც** ესწრებოდა. ლუქსემბურგელ სტუმარს ძალიან მოეწონა ჩვენი აუზი და ლენტროფის A ჯგუფის შეხვედრების აქ დანიშვნა ამანაც განაპირობა. არადა, ბოლო 10 წელიწადია, პოსტსაბჭოურ სივრცეში ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება არსად გამართულა.

ცხადია, პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. თუნდაც იმიტომ, რომ ევროპის საკლუბო ტურნირზე ქართველი წყალბურთელები პირველად გადიან.

ქვეყნის სპორტულ ღირსებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის წყალბურთელთა კლუბების გაერთიანებული გუნდი „ლიგამუსი-თბილისი" (მწვრთნელები: **ზვიად დავითიანი, ნიკა ასათიანი** და **ვლადიმერ ისელიძე**) დაიცავს.

— წყალბურთში ლენტროფის თასის გათამაშება სტატუსით ფეხბურთში ევროპის ლიგას უახლოვდება, — გვითხრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ყოფილმა წყალბურთელმა **სერგო რატიანმა.** — კონტინენტის უძლიერეს კლუბებთან მარტოს გამკლავება, თუნდაც გამოუცდელობის გამო, ძალიან გაგვიჭირდებოდა. ამიტომაც თბილისის მერიასთან მემორანდუმი გავაფორმეთ და ჩვენი გუნდები გავაერთიანეთ. ასპარეზობის საორგანიზაციო ხარჯებსაც თანაბრად გავიყოფთ. ლენტროფისთვის მზადება საქართველოს ნაკრებსაც წაადგება, რადგან ჩვენი გაერთიანებული გუნდი სწორედ ეროვნული ნაკრების წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული. კონტრაქტები გავუფორმეთ ასევე გაქართველებულ ხორვატ სპორტსმენებს — მეკარე **ივან სტრუიჩს,** მცველ **იოვან პოპოვიჩსა** და თავდამსხმელ **მარკო კორდიჩს,** რომლებიც გამოცდილი ოსტატები არიან და ჩვენთვის სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. „ლიგამუსი-თბილისი", შესაძლოა, კიდევ ერთი სახელოვანი წყალბურთელით გავაძლიეროთ — ეს გახლავთ **რევაზ ჩომახიძე,** რომელთანაც მოლაპარაკებას ამ დღეებში დავამთავრებთ.



თასის გათამაშების პირველ ეტაპზე თბილისში ექვსი გუნდი მოიყრის თავს: „ლიგამუსი-თბილისი", ბუდაპეშტის „ჰონვედი", საფრანგეთის „ოლიმპიკი", იტალიის „პოსილიპო", თურქეთის ენკა და ისრაელის ასა. სტუმართა შემადგენლობაში ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულებსა და პრიზიორებსაც ვიხილავთ. ამდენად, დედაქალაქელებს საინტერესო პაექრობების ნახვა მოუწევთ. მომდევნო ეტაპზე 4 გუნდი გავა. ჩვენი მიზანია, საუკეთესოთა კვარტეტში მოვხვდეთ...

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ B (ჩერნოგორია, კატარო), C (გერმანია, ესლინგერი) და D (სლოვენია, კოპერი) ჯგუფების შეხვედრებიც 7-10 ოქტომბერს გაიმართება. ოთხივე ჯგუფის 16 რჩეული გუნდი მეორე ეტაპის ორთაბრძოლებს 22-26 ოქტომბერს გამართავს.

ახლა კი ლენტროფის გათამაშების A ჯგუფის პირველი რაუნდის კალენდარსაც გაგაცნობთ:

**7 ოქტომბერი.** „ჰონვედი" (ბუდაპეშტი)-„ოლიმპიკი" (ნიცა), „პოსილიპო" (ნეაპოლი)-ენკა (სტამბოლი), „ლიგამუსი-თბილისი" -ასა (თელ ავივი).

**8 ოქტომბერი.** „პოსილიპო"-„ოლიმპიკი", „ჰონვედი"-ასა, „ლიგამუსი-თბილისი"-ენკა; „პოსილიპო"-ასა, ენკა-„ოლიმპიკი", „ლიგამუსი-თბილისი"-„ჰონვედი".

**9 ოქტომბერი.** ენკა-ასა, „ჰონვედი"-„პოსილიპო", „ოლიმპიკი"-„ლიგამუსი-თბილისი".

**10 ოქტომბერი.** „ჰონვედი"-ენკა, „ოლიმპიკი"-ასა, „ლიგამუსი-თბილისი"-„პოსილიპო".

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# ზაზამაც დაიწყო

სხვა გუნდების მსგავსად, NBA-ს ახალი სეზონისთვის მზადებას „ატლანტა ჰოქსიც" შეუდგა. **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელები ჯერ ჟურნალისტებს შეხვდნენ, მეორე დღეს კი მოედანზე გავიდნენ და ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაირაზმნენ.

შეგახსენებთ, რომ 2009-10 წლების სეზონის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა მთავარი მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი**. იგი მისივე ასისტენტმა **ლარი დრიუმ** შეცვალა. ვუდსონი გასულ სეზონში ზაზა ფაჩულიას კი ენდობოდა, მაგრამ საშუალოდ 14 წუთს ათამაშებდა. ზაზას ლარი დრიუს იმედი აქვს:

*- ეს სპეციალისტი მანამდე სათადარიგოებთან მუშაობდა. შესაბამისად, კარგად იცის ჩვენი შესაძლებლობები. იმედი მაქვს, ლარი დრიუ ყველას სათანადო ფუნქციას მიუჩენს და გუნდიც მეტს მიაღწევს.*

პირველი ვარჯიშის შემდეგ ბატონი დრიუ კმაყოფილი ჩანდა:

*- კალათბურთელები შეკრებაზე მომზადებულები გამოცხადდნენ. ეს საქმეს გაგვიადვილებს, ფორმაში შედარებით მალე შევალთ. ახლა მძიმე ვარჯიშები გვაქვს და ვიმედოვნებთ, რომ ოფიციალურ შეხვედრებს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდებით. ყველა მონდომებულია.*

მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბრისას პლეი ოფიც ახსენა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავად ლარი დრიუსაც მოეხსენება: მაიკ ვუდსონი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ პლეი ოფის მეორე ეტაპი ვერ გადალახა. დრიუსგან ხელმძღვანელობა არანაკლებ წარმატებას ელის...

გასულ სეზონში „ატლანტა ჰოქსს" ორი კაპიტანი ჰყავდა: **ჯო ჯონსონი** და **მაიკ ბიბი**. ახალმა მწვრთნელმა კაპიტნობა სამ კალათბურთელს ჩააბარა - ჯო ჯონსონს, **ელ ჰორფორდს** და **ჯოშ სმიტს**.

ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელები საგამოფენო მატჩებს 7 ოქტომბერს დაიწყებენ - „მემფის გრიზლისს" დაუპირისპირდებიან. საკონტროლო შეხვედრების განრიგს ბოლოს შემოგთავაზებთ, მანამდე კი მოგახსენებთ, რომ ჯორჯიელები NBA-ს მორიგ სეზონს 27 ოქტომბერს გახსნიან. სადებიუტო მატჩში „ჰოქსი" „მემფისს" ესტუმრება.

დაპირებისამებრ, საგამოფენო მატჩების განრიგს გაგაცნობთ:



**7 ოქტომბერი**
ატლანტა-მემფისი

**11 ოქტომბერი**
დეტროიტი-ატლანტა

**12 ოქტომბერი**
ვაშინგტონი-ატლანტა

**16 ოქტომბერი**
ნიუ ორლეანი-ატლანტა

**18 ოქტომბერი**
ატლანტა-ორლანდო

**21 ოქტომბერი**
ატლანტა-მაიამი

**22 ოქტომბერი**
**შარლოტი-ატლანტა**

ვაჟა სიმონიშვილი

● ლეგიონერები



ლევან შენგელია

# შენგელია როდ აილენდში ვარჯიშს შეუდგა

ამ ზაფხულს საქართველოს ნაკრებში ორი **შენგელია** ვარჯიშობდა - **თორნიკე** და **ლევანი**. გუშინ გაცნობეთ, რომ თორნიკე შენგელიამ ბელგიურ „პეპინსტერთან" ერთად რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ლევანი კი თითქმის ერთი თვეა, ამერიკაშია და როდ აილენდის უნივერსიტეტთან ერთად კოლეჯების ლიგისთვის (NCAA) ემზადება.

იგი ამ სასწავლებელში ივნისში ჩაირიცხა, მას მერე საქართველოში დაბრუნდა, ეროვნულ გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, ხოლო სექტემბრის დასაწყისში ამერიკას მიაშურა.

*- „როდ აილენდი" სერიოზული გუნდია. ახალი სეზონის წინ ისეთი შემადგენლობა შეიკრიბა, რომ მწვრთნელს წარმატების დიდი იმედი აქვს. ყველა პოზიციაზე საკმარისი კონკურენციაა, რაც გუნდის სიძლიერეს უსვამს ხაზს. თუმცა მხოლოდ ვარჯიშებით თამამად ლაპარაკი ძნელია, წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გუნდის მომზადებასა და შეთამაშებაზე,* - გვითხრა ლევანმა.

იგი გუნდში არსებული სიტუაციით კმაყოფილია და მომავალი სეზონისთვის აქტიურად ემზადება:

*- ვარჯიშების მიხედვით ძნელია მწვრთნელის ჩანაფიქრის დადგენა, თუმცა, სავარაუდოდ, მატჩებისას მძიმე ფორვარდის პოზიციაზე მათამაშებს. შეიძლება, ზოგჯერ ცენტრადაც გამამწესოს. დანარჩენი ოფიციალურ შეხვედრებში გამოჩნდება.*

კოლეჯების ლიგა ნოემბრის მეორე ნახევარში დაიწყება. შენგელიას „როდ აილენდი" „ატლანტიკ 10"-ის კონფერენციაში იასპარეზებს.

ვაჟა სიმონიშვილი

# გამყრელიძე ქომაგებში

ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე ადრე ჩემპიონატს **ლაშა გამყრელიძე** იწყებს. ბუნდესლიგა 1-ელ ოქტომბერს „ბრემერჰავენი"-„დიუსელდორფის" მატჩით გაიხსნება, ლაშას „გისენი" კი კვირას, 3 ოქტომბერს ბონის „ტელეკომს" უმასპინძლებს.

გისენელებმა საკონტროლო შეხვედრები სამიოდე დღის წინ მოამთავრეს და გერმანიის ჩემპიონატისთვის საკუთარ არენაზე ემზადებიან. ახალი სეზონის გახსნამდე კლუბის უფროსობამ სოლიდური პრეზენტაცია მოაწყო. „გისენის" კალათბურთელები ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს სავაჭრო ცენტრში შეხვდნენ.

*- კარს მომდგარი ჩემპიონატის წინ გუნდის ქომაგების წინაშე წარვდექით. მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ და ავტოგრაფები ჩამოვარიგეთ. საინტერესო ღონისძიება გამოვიდა,* - გვითხრა ლაშამ.

პრეზენტაციის ფოტოგალერეადან ერთ სურათს ამავე გვერდზე იხილავთ. რაც შეეხება გუნდის მომზადებას, ლაშა იმედიანადაა:

*- მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერი იყო. ახალ სეზონს სათანადო კონდიციებში ვხვდებით და ვიმედოვნებ, რომ კარგადაც დავიწყებთ. თუმცა სერიოზული მეტოქეები გვყავს...*

ვაჟა სიმონიშვილი



ლაშა გამყრელიძე

● ჩოგბურთი

# ძირითად ბადეს სამი ქართველი დააკლდა

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გუშინ ბათუმის ნავთობტერმინალის თასზე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის პირველი წრის დარჩენილი ორთაბრძოლები გაიმართა. ერთეულთა თანრიგში პირველ ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (189) ორ სეტში იოლად დაამარცხა რუმინელი **აგნეს შატმარი** (502) 6:4, 6:0. მეორე წრეში იგი **სოფია სუსანის** (უნგრეთი, 606) მძლეველ (6:4, 6:3) **პაულა კანიას** (პოლონეთი, 440) დაუპირისპირდება.

უკვე გაუწყეთ, რომ ტურნირის ძირითად ბადეში ასპარეზობა საქართველოს 10-მა წარმომადგენელმა დაიწყო. პირველ დღეს **მაკა ჩახნაშვილმა** (228) **ეკა გორგოძეს** (570) აჯობა სამ სეტში - 4:6, 6:2, 6:4 (**ანა ჯიქიამ ალიონა სოტნიკოვას** წინააღმდეგობა ვერ დაძლია - 4:6,0:6). გუშინ კიდევ ერთი ქართული დუელი ვიხილეთ - მეხუთე ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** (289) **მანანა შაფაქიძეს** (471) სძლია - 6:2,6:2. ალბათ, ყველასთვის მოულოდნელი იყო ავსტრიელი **მელანი კლაფნერის** (248) მარცხი. იმის მიუხედავად, რომ იგი ტურნირზე მესამე ნომერი გახლდათ და ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ბელარუს მეტოქეს - **ალიაქსანდრა სასნოვიჩს** (882) რეიტინგში 634 საფეხურით უსწრებდა, ორთაბრძოლა დათმო (3:6, 6:4, 5:7) და მაყურებლებში გადაინაცვლა.

საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია რუსეთის სახელით მოასპარეზე **ნათელა ძალამიძემ** (745), მაგრამ პირველ წრეში საქართველოს ნაკრების წევრ **სოფიო შაფათავას** (279) გასცდა, არადა, პირველი სეტი 6:2 მოიგო, შემდეგ ორი ხელი წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. ერთეულთა თანრიგის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **დიანა დავითია** (საქართველო)-**ალინე პინეირო** (ბრაზილია) 6:3, 6:3, **რეკა-ლუკა იანი** (უნგრეთი)-**კატარზინა კავა** (პოლონეთი) 6:1, 7:6, **ჟუსტინა ჟეგიოლკა** (პოლონეთი)-**ოფელია პოლოსიანი** (სომხეთი) 6:0, 6:1, **ბარბარე ერისთავი** (საქართველო)-**ვლადისლავ კუზმენკოვა** (ბელარუსი) 0:6, 6:1, 6:3, **ანი ამირაჯიანი** (სომხეთი)-**კაროლინა კასინსკა** (პოლონეთი) 6:1, 6:3, **იულია გლუშკო** (ისრაელი)-**ვიქტორია იემიალიანავა** (ბელარუსი) 6:3, 6:1, **სოფიო ქვაცაბაია** (საქართველო)-**დანიელე ჰარმსენი** (ჰოლანდია) 5:7, 6:2, 6:2.

**წყვილები:** მიქაძე/შაფათავა-ჰარმსენი/ფან დერ მეეტი 7:5, 3:6, 10:3, გლუშკო/გორგოძე-ამირაჯიანი/პოლოსიანი 7:5, 7:6, მარცინკევიჩა/იემიალიანავა-მაჩაიძე/სუჯაშვილი 6:4, 6:1, კანია/სუსანი-დავითაია/კომახიძე 6:1, 6:1, ძალამიძე/კაპშაი-კუზნეცოვა/ზლოჩოვა 6:0,6:0, ჟეგიოლკა/კავა-ჯიქია/რაპოპორტი 2:6, 6:2, 10:4, იანი/კოსინსკა-შაფაქიძე/სოტნიკოვა 6:4, 7:5.

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



სოფიო შაფათავა

# ქართველთა უიღბლო დაბრუნებები

20 წლის **ანა ტატიშვილი** (135) ლას ვეგასის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) მე-5 ნომრადაა განთესილი. მისი პირველი მეტოქე 21 წლის შვეიცარიელი **ამრა სადიკოვიჩია** (480). წყვილთა ბადეში ტატიშვილისა და ამერიკელი **კიმბერლი კაუტსის** (286) წყვილი მე-3 ნომრად განთესეს. I წრეში მათ „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძლებს (**საბრინა კაპანოლო, ამანდა ფინკი**) აჯობეს - 6:1, 6:3.

ფლორიდის შტატში, ამელია აილენდში 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო, სადაც 24 წლის **სალომე დევიძე** გამოჩნდა. ზუსტად ერთი წელიწადია, რაც სალომეს არსად უთამაშია. ერთ დროს საქართველოს პირველი ჩოგნის (მსოფლიო კლასიფიკაციაში 18 წლისა 254-ე იყო) დაბრუნება ვერ აღმოჩნდა იღბლიანი, მან სამ სეტში წააგო საკვალიფიკაციო ბადის პირველი წრის მატჩი 15 წლის ამერიკელ **მია კინგთან** - 3:6, 6:2, 4:6.

კალიფორნიის ქალაქ ირვაინში **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (838) პირველ წრეში **ჯოელ კიელბოვიჩს** (აშშ, 891) მოუგო - 6:2, 6:3. დიდი ხანია, რაც 17 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** არსად გამოჩენილა, არც დიდებში და არც ახალგაზრდებში. ივნისის შემდეგ პირველად მოასპარეზე მეტრეველის დაბრუნება უიღბლო აღმოჩნდა - ეგვიპტეში II კატეგორიის ახალგაზრდულ ტურნირში ქართველი გერმანელ **კევინ კაჩინსკისთან** შეხვედრის დასაწყისშივე დაშავდა და 0:2-ზე ბრძოლა შეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ მეტრეველი ახალგაზრდებში მსოფლიოს 156-ე ჩოგანია.

ნიკოლოზ ნეფარიძე



განცხადება

2010 წლის 11 ოქტომბერს ტარდება საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები. დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სხდომათა დარბაზში 11-დან 12 საათამდე (ი. ჭავჭავაძის გამზირი, 49ა).

ფედერაციის გამგეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტის ქრონიკები

## მკითხველთა თხოვნით



# ბილიარდის სამყარო



გივი კობოსნიძე

**საქართველოში** ბილიარდი შედარებით გვიან შემოვიდა. პირველი მაგიდები ჭავჭავაძეებისა და დადიანების სასახლეებში იდგა. მოგვიანებით რუსეთის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ჩამოატანინა და ლიკანში თავის აგარაკზე დაადგმევინა ბილიარდის მაგიდა, რომელზეც დღესაც თამაშობენ. ჩვენში ეს თამაში ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის 40-50-იან წლებში. იმ დროისთვის მარტო თბილისში 11 ბილიარდის კლუბი იყო. ასეთი კლუბები გაიხსნა თითქმის ყველა დიდ ქალაქში (ბათუმი, ქობულეთი, სოხუმი, გაგრა, ქუთაისი, თელავი, გორი, ტყიბული და სხვ). ჩამოყალიბდა საქართველოს ოსტატ მობილიარდეთა გუნდი. 1947 წელს ჩატარდა პირველი გუნდური შეჯიბრება ქართველ და მოსკოველ ოსტატებს შორის. 1964 წელს გაიმართა საქართველოს პირველობა, რომელშიც 15 სპორსტმენს შორის თბილისელმა **გივი კობოსნიძემ** გაიმარჯვა. დღეისათვის თბილისსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში ბილიარდის უამრავი კლუბია. საქართველოს ბილიარდის ფედერაციას **დავით ალექსიძე** ხელმძღვანელობს.

**ისტორია:** ბილიარდი (ფრანგ. Billar, Bille — ბურთი). სპორტული თამაში საგანგებო მაგიდაზე ძვლის ან პლასტმასის ბურთულებით და გრძელი ჯოხებით (კიი). ბილიარდის წარმომავლობა დაზუსტებით არავინ იცის. „ანახარსის მოგზაურობის" მიხედვით, ძვ. წ. IV საუკუნეში საბერძნეთში უკვე თამაშობდნენ მსგავს თამაშს. II საუკუნეში ირლანდიის მეფე კატკირორის ასევე ჰქონია მსგავსი თავშესაქცევი. ბილიარდის სამშობლოდ ასახელებენ, ჩინეთსა და ეგვიპტეს, მაგრამ დანამდვილებით ცნობილია, რომ თანამედროვე ტიპის ბილიარდი გვიანი შუა საუკუნეების ევროპაში ჩამოყალიბდა. ბილიარდი იხსენიება დაახლოებით 1440 წელს ინგლისურ ენაზე დაწერილ სარაინდო რომანში „იპომედონი". ვარაუდობენ, რომ 1492 წელს ბილიარდის მაგიდა თითქოს უკვე არსებობდა საფრანგეთის მეფის, ლუი IX-ის სასახლეში.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ბილიარდმა საბოლოოდ მიიღო დღევანდელი სახე. ცნობილმა ფრანგმა მობილიარდისტემ, კაპიტანმა მინგომ კიის წვერი გაასწორა (მანამდე ის მოკაუჭებული ყოფილა და ბურთს გვერდიდან ურტყამდნენ) და ტყავი დააწება, რითაც ბილიარდის ისტორიაში რევოლუცია მოახდინა — მას შემდეგ ეს თამაში გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი გახდა.

ბილიარდის ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობებია: კარამბოლი, სნუკერი, პირამიდა და პული.

## თქვენთვის, ერუდიტებო — ვიქტორინა

1. დაასახელეთ ფეხბურთელი, რომელიც თბილისის „დინამოდან" ყველაზე მეტჯერ იყო დასახელებული პირველ ნომრად „33 საუკეთესოს" სიაში.
   - ა – სლავა მეტრეველი
   - ბ – ალექსანდრე ჩივაძე
   - გ – მიხეილ მესხი
2. ყველაზე მეტჯერ რომელმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში?
   - ა – ალექსანდრე ჩივაძემ
   - ბ – თენგიზ სულაქველიძემ
   - გ – მურთაზ ხურცილავამ
3. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებიდან ვინ გაიტანა საიუბილეო მე-2000 გოლი?
   - ა – რამაზ შენგელიამ
   - ბ – გია გურულმა
   - გ – ვახტანგ ქორიძემ
4. რომელ წელს ითამაშა პირველად თბილისის „დინამომ" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში?
   - ა – 1972 წელს
   - ბ – 1973 წელს
   - გ – 1976 წელს
5. საქართველოდან პირველმა თბილისის „დინამომ" 1993 წელს პირველი მატჩი ჩაატარა „თანამეგობრობის თასზე". ვინ იყო მეტოქე?
   - ა – მოლდოვის „ზიმბრუ"
   - ბ – თურქმენეთის „კოპეტდაგი"
   - გ – ტაჯიკეთის „პახტაკორი"

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

## იყო ასეთი შემთხვევა

# შინაც იყო და შინმოუსვლელთა სტენდზეც

მეორე მსოფლიო ომში დაღუპული სპორტსმენების პორტრეტები ფიზკულტურის ინსტიტუტში თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული სპეციალურ სტენდზე.

— ერთ მშვენიერ დღეს ჩემს სამუშაო ოთახში შემოდის ინსტიტუტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული და აღელვებული მეუბნება, **იოსებ კობალავა** ცოცხალია და თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებლადო — იგონებდა პროფესორი **ავთანდილ ციბაძე.**

თურმე კობალავა ომში დაკარგულად ითვლებოდა. ასე იცოდა ოჯახმაც, მაგრამ მერე გამოჩენილა. სხვა რა გზა იყო, ბატონ ავთანდილს იმ სკოლაში დაურეკავს და ბოდიში მოუხდია 30 წლის განმავლობაში გამოტირებული ადამიანისთვის.

— არაფერია. პირიქით, მადლობის მეტი რა მეთქმის! ომში რომ დავღუპულიყავი, აი, თურმე როგორ დამაფასებდა ჩემი ინსტიტუტი — უთქვამს კობალავას.

სურათი, ცხადია, ჩამოხსნეს, სტენდის ხავერდზე კი ომისდროინდელი ნაჭრილობევივით დარჩა ფოტოს მიერ დატოვებული მკრთალი ოთხკუთხედი.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ამოცანა საჭადრაკო კომპოზიციაში გამოქვეყნდა 1893 წელს და მისი ავტორი იყო **ი. ტყეშელაშვილი.**

**პირველმა** საქართველოს სპორტსმენებიდან წყალში ხტომაში ოლიმპიური მედალი მოიპოვა **ლიანა ცოტაძემ.** ეს ჯილდო მან მოსკოვში 1980 წელს გამართულ XXII ოლიმპიურ თამაშებში დაიმსახურა.

**პირველად** საბჭოთა კავშირში საქართველოში დაარსდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი სპორტული განხრით. ეს მოხდა 1948 წელს თბილისში. შემდეგ სამაგალითოდ იქცა მთელ საბჭოთა კავშირსა და გდრ-ში.

## თარიღი — 30 სექტემბერი–6 ოქტომბერი



რევაზ ჩელებაძე

**01.10.1967 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ბუქარესტის „პროგრესულს" უმასპინძლეს თბილისში და 2:2 ითამაშეს. გოლები: **დათუნაშვილი, მეტრეველი.**

**02.10.1955 წ.** დაიბადა **რევაზ ჩელებაძე** — ფეხბურთი.

**02.10.1970 წ.** დაიბადა **ვლადიმერ დგებუაძე** — ძიუდო.

**03.10.1967 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა შვეიცარიაში ტურნეს დროს 4:0 (0:0) მოუგო „ლოზანას". გოლები: **მეტრეველი-2, გ. ნოდია, ბ. სიჭინავა.**

**03.10.1973 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი უეფას თასზე 2:0 დაამარცხა სოფიის „სლავიამ".

**04.10.1945 წ.** დაიბადა **ვიქტორ სანეევი** — მძლეოსნობა (სამხტომი).

**06.10.1956 წ.** ბულგარეთში ტურნეს დროს თბილისის „დინამომ" სოფიაში 3:2 (1:2) დაამარცხა ადგილობრივი „დინამო". გოლები: **ჭკუასელი-2, ღოღობერიძე**



ვიქტორ სანეევი

## ფოტომატიანე

**სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 80 წლის წინათაა გადაღებული თბილისში. იმ პერიოდში საქართველოში ერთ-ერთი სოლიდური სპორტული საზოგადოება იყო „ნაუკა", რომელსაც საუკეთესო გუნდები ჰყავდა სპორტის სათამაშო სახეობებში. 1926 წლიდან საქართველოში დაიწყო ფრენბურთის დანერგვა, თაოსნები იყვნენ... კალათბურთელები. „ნაუკას" ბაზაზე ჩამოყალიბებულ ვაჟ ფრენბურთელთა გუნდის წევრები საქართველოს ნაკრების დასაყრდენს წარმოადგენდნენ. მისი წარმომადგენლები თამაშობდნენ საკავშირო ნაკრებშიც.**



თბილისის „ნაუკას" ფრენბურთელთა გუნდი. 1930 წ.

**გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მამუკა გორგოძესთან

# ოთხი ქართველი მორაგბე ხუმრობა არ არის



მამუკა გორგოძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ყველაზე ქართული ფრანგული გუნდი „მონპელიე" ლიდერობს. ამ კლუბს საკმაოდ მწირი ისტორია აქვს, სულ რაღაც 25 წლისაა და პირველად მოხდა, რომ ელიტური, პირველი დივიზიონის სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. ამაში კი ლომის წილი „მონპელიეში" მოთამაშე ქართველებს **მამუკა გორგოძეს, გოდერძი შველიძეს, გიორგი ჟღენტს** და **გიორგი ჩხაიძეს** მიუძღვით. ჩვენებურთა გუნდმა რვიდან ექვსი შეხვედრა მოიგო, რაც ერთხმად აღიარეს ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოულოდნელობად.

ფრანგულმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" პირველ გვერდზე **გოდერძი შველიძისა** და **ბენჟამინ ტიერის** ფოტო დაბეჭდა: ქართველი შერკინების ბურჯი თანაგუნდელს „პატაკს აბარებს" - „მონპელიე" ლიდერია".




ჩვენმა ფრანგმა კოლეგებმა ფოტოს მიაწერეს:

„ეს ხუმრობა არ გეგონოთ.

პირველად გუნდის ისტორიაში „მონპელიე" საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია. შველიძე და ტიერი ამ ფოტოზე ხუმრობენ, მაგრამ ჩვენ გიდასტურებთ, რომ „მონპელიეს" ლიდერობა ხუმრობა არ არის."

„მონპელიეს" წარმატების საიდუმლოსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელ **მამუკა გორგოძეს** საფრანგეთში დავუკავშირდით.

**- საფრანგეთის ჩემპიონატში „მონპელიეს" წარმატებული სტარტისა და გალიდერების თაობაზე ფრანგულ და არა მხოლოდ ფრანგულ პრესაში ბევრი იწერება. მაინც რა მოხდა, რამ შეცვალა გუნდი ასე კარდინალურად?**

- „მონპელიე" ახალმა მწვრთნელებმა, ერიკ ბეშუმ და ფაბიენ გალტიემ შეცვალეს. მათ რაგბისადმი ახლებური მიდგომა მოიტანეს. სეზონის წინ ფიზიკურად ძალიან კარგად მოგვამზადეს, გალტიემ კი სრულიად განსხვავებული სტილით აგვათამაშა. „მონპელიე" უფრო დინამიკური რაგბის მიმდევარი გახდა.

უწინდელისგან განსხვავებულია ვარჯიშების რეჟიმიც. ვარჯიშს დილის რვის ნახევრიდან ვიწყებთ და ორ საათზე ვამთავრებთ. ფიზიკურ დატვირთვას და ბურთით ვარჯიშს თან ახლავს ნათამაშები მატჩებისა და მომავალი მეტოქის თამაშის ვიდეოანალიზი. ყველაფერს დეტალურად განვიხილავთ, ვაანალიზებთ და შედეგსაც ვიმკით.

**- ფაბიენ გალტიე არა მარტო საფრანგეთში, მსოფლიო რაგბის თემშიც საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნებაა. ის რამდენიმე წელი ფრანგული რაგბის ერთ-ერთ გრანდ „სტად ფრანსეს" წარმატებით წვრთნიდა. როგორც ჩანს, გალტიე მართლაც გამორჩეული პიროვნებაა...**

- დიახ, ასეა, შესანიშნავი სპეციალისტია. სანამ გუნდში მოვიდოდა, ამბობდნენ, ცოტა მძიმე კაციაო, ვარჯიშზე ყვირილი მისთვის ჩვეული ამბავიაო. აგერ უკვე სამი თვეა, ერთად ვმუშაობთ და მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. კარგი ადამიანია, რაგბის თამაშს ოთხიოდ წლის წინათ დაანება თავი და მორაგბეების კარგად ესმის.

**- „მონპელიეს" შემადგენლობას თუ გადავხედავთ, იმდენ მსოფლიო დონის ვარსკვლავს, რამდენიც სხვა გუნდებშია, ვერ ვნახავთ, არადა, თქვენი გუნდი ვარსკვლავებით მოჭედილ გუნდებზე უკეთ თამაშობს...**

- „მონპელიეში" საფრანგეთის ნაკრების მხოლოდ ორი წევრია, მესამეხაზელი ფულენსი უედრაოგო და მგზავი ფრანსუა ტრინ-დუკი. მეორე ხაზში პორტუგალიის ნაკრების წევრიც გვყავს, გონსალო უვა, თუმცა მას თამაში, ფაქტობრივად, არ უწევს. ისე გამოდის, რომ თუ ქართველ მორაგბეებს არ ჩავთვლით ორი ფრანგის გარდა ვარსკვლავი არ გვყავს.

არადა, ყველაზე რთული კალენდარი ჩვენ გვქონდა. შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულს სტარტზევე შევხვდით და ოთხს, „ტულუზს", „მეტრო რასინგს", „პერპინიანსა" და „კასტრს" მოვუგეთ. სტუმრად „ბიარიცის" დამარცხებაც შეგვეძლო, მაგრამ პირველ ტაიმში ვერაფრით დავალაგეთ თამაში. მეორეში სამი ლელო გავუტანეთ და ბოლო წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო გაგვიცუდდა. ისიც რომ გაგვეტანა, ვიგებდით. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის და ვნახოთ, რა მოხდება.

**- მესამეხაზელმა გიორგი ჩხაიძემ რვა თამაშიდან მხოლოდ ერთში ითამაშა. „ბინგო" გუნდის ტრავმირებულთა სიაშიც ვერ ვნახეთ...**

- „ბინგო" ძალიან კარგ ფორმაშია, მაგრამ მწვრთნელებს მორაგბეთა ერთი ჯგუფი ჰყავთ შერჩეული და, რადგან გუნდი წარმატებას აღწევს, ამ ჯგუფს არ ცვლიან. თორემ, გარწმუნებთ, ჩხაიძე მართლაც შესანიშნავ ფორმაშია და იმედია, მალე უფრო ხშირადაც ითამაშებს.

**- სამაგიეროდ თითქმის რეგულარულად თამაშობენ ქართველი პირველხაზელები...**

- დიახ, გიორგი ჟღენტი შესანიშნავად მოერგო გუნდს, თავიდან წონის პრობლემა ჰქონდა, მაგრამ რვა კილოს დაკლება შეძლო და, შეიძლება ითქვას, „მონპელიეს" ძირითადი შერკინების ბურჯია. გოდერძი შველიძეზე კი რა უნდა ვთქვა. ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ქართველი მორაგბეა და საფრანგეთში კარგად იცნობენ, იციან მისი შესაძლებლობები. ისიც რეგულარულად თამაშობს და ბოლო მატჩში „ლა როშელთან" ლელოც გაიტანა.

**- ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი გადაბირება ორ ყველაზე მდიდარ კლუბს, „ტულონსა" და „მეტრო რასინგს" სურს...**

- „მეტრო რასინგზე" ადრე იყო ლაპარაკი. ამჟამად მათგან არანაირი წინადადება არ მიმიღია. რაც შეეხება „ტულონს", სეზონის დამთავრების შემდეგ, ალბათ, ამ გუნდში გადასვლაზე დავთანხმდები.

**- ახლახან ეროვნულ ნაკრებში მწვრთნელთა შტაბი შეიცვალა. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

- ძალიან კარგია, რომ შეიცვალა. ცოტა ადრე რომ შეეცვალათ, უფრო კარგი იქნებოდა. მაგრამ არა უშავს, არც ახლაა გვიან. ახალი მწვრთნელებიდან რიჩი დიქსონისა და ფიზმომზადების მწვრთნელის გერეთ ადამსონის შესახებ მსმენია, რომელსაც კარგად იცნობს ერთადერთი ქართველი სარაგბო მენეჯერი ლევან ლვაბერიძე. ის „გრენობლში" სწორედ იმ პერიოდში თამაშობდა, როცა ფიზმომზადების მწვრთნელად ადამსონი მუშაობდა. ლევანს ნიკოლა ფულკიესთანაც უმუშავია, რომელსაც, როგორც სპეციალისტს, დიდად ვაფასებ. მან 2007 წლის მსოფლიო თასისთვის ბრწყინვალედ მოგვამზადა, მაგრამ ლევანი ამბობს, რომ ადამსონი ბევრად უფრო ძლიერი სპეციალისტია.

იმედი მაქვს, სხვა მწვრთნელებიც მაღალი კვალიფიკაციისა იქნებიან და ნაკრების, მთლიანად ქართულ რაგბის პროგრესში თავის წვლილს შეიტანენ.

ტესტები



კანადის ნაკრები

# ნოემბერში რევანშია ასაღები

საქართველოს ნაკრები ნოემბერში ორ ტესტმატჩს გამართავს. 20-ში „ბორჯღალოსნების" მეტოქე კანადის ეროვნული ნაკრები იქნება. კანადელები ევროპას ნოემბრის დასაწყისში ეწვევიან და ოთხ მატჩს გამართავენ. პირველი თამაში ბრიუსელში 6 ნოემბერს ბელგიის ნაკრებთან ექნებათ. ერთი კვირის თავზე მადრიდში ესპანელებს ეთამაშებიან, მერე თბილისში გვესტუმრებიან და ტურნეს 27 ნოემბერს პორტუგალიასთან მატჩით დაასრულებენ.

*„ბელგიის ნაკრებთან ძირითადად კანადის ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეებს გამოვცდით. მომდევნო თამაშებისთვის კი პროფესიონალი მორაგბეებიც შემოგვიერთდებიან. ყველაზე რთული მატჩი თბილისში, საქართველოს ნაკრებთან გველის. ამ გუნდს პირველად ჩერჩილის თასზე 2009 წელს შევხვდით და 42:10 მოვუგეთ. ვიცი, რომ ქართველები რევანშისთვის ემზადებიან. ძალიან კარგი. ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი, შესანიშნავი გამოცდა იქნება ჩვენი მორაგბეებისთვის"*, - თქვა კანადის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კირან კროულიმ.**

კანადის ნაკრებმა წლეულს სამი შეხვედრა გამართა და სამივე ჩერჩილის თასის გათამაშებაში. „ნეკერჩხლის ფოთლებმა" ორი თამაში მოიგეს, ურუგვაისა და საფრანგეთის A ნაკრებებთან, ხოლო ფინალში ინგლისის A ნაკრებთან წააგეს.

საქართველოს ნაკრებს კანადელებთან ძველი ანგარიში აქვს გასასწორებელი. შარშან ჩერჩილის თასზე ჩვენების წარუმატებლობის შემდეგ კანადის ნაკრებმა მსოფლიო რეიტინგში ჩვენი ადგილი დაიკავა. ეს გუნდი ახალ მსოფლიო კლასიფიკაციაში 69,43 ქულით მე-14 ადგილზეა, საქართველოს ნაკრებს კი 66,38 ქულით მე-17 საფეხური უჭირავს.

კანადის ნაკრების მწვრთნელი კირან კროული ევროპული ტურნესთვის გუნდის შემადგენლობას ოქტომბრის ბოლოს დაასახელებს.

„ბორჯღალოსნების" შემდეგი მეტოქე 27 ნოემბერს აშშ-ის ნაკრები იქნება, რომელიც ევროპაში სამ შეხვედრას გამართავს. 13 ნოემბერს ამერიკელები ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან, ერთი კვირის თავზე კი შოტლანდიის A ნაკრებთან ითამაშებენ.

აშშ-ის ნაკრები მსოფლიო რეიტინგში 67,86 ქულით მე-15 ადგილზეა. „ბორჯღალოსნებმა" შარშან ჩერჩილის თასზე ამ გუნდთანაც წააგეს და, ცხადია, რევანშის აღებას მათთანაც ეცდებიან.

### ნოემბრის ტესტები

30 ოქტომბერი: **იაპონია-სამოა, ახალი ზელანდია-ავსტრალია**

6 ნოემბერი: **იაპონია-რუსეთი, ბელგია-კანადა, ინგლისი-ახალი ზელანდია, უელსი-ავსტრალია, ირლანდია-სამხრეთ აფრიკა**

13 ნოემბერი: **იტალია-არგენტინა, ინგლისი-ავსტრალია, ირლანდია-სამოა, უელსი-სამხრეთ აფრიკა, საფრანგეთი-ფიჯი, ესპანეთი-კანადა, პორტუგალია-აშშ, შოტლანდია-ახალი ზელანდია**

19 ნოემბერი: **უელსი-ფიჯი**

20 ნოემბერი: **იტალია-ავსტრალია, საქართველო-კანადა, შოტლანდია A- აშშ, ინგლისი-სამოა, შოტლანდია-სამხრეთ აფრიკა, ირლანდია-ახალი ზელანდია, საფრანგეთი-არგენტინა**

27 ნოემბერი: **საქართველო-აშშ, იტალია-ფიჯი, ინგლისი-სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია-სამოა, უელსი-ახალი ზელანდია, საფრანგეთი-ავსტრალია, ესპანეთი-ნამიბია, პორტუგალია-კანადა**

28 ნოემბერი: **ირლანდია-არგენტინა**

4 დეკემბერი: **ბარბაროსები-სამხრეთ აფრიკა**

# დე ფილიერსი ნაჯახს გადაურჩა

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელ **პიტერ დე ფილიერსს** წლევანდელ სამი ერის გათამაშებაში „ბოკეს" მარცხი აპატია და თანამდებობაზე დატოვა.

მსოფლიოს ჩემპიონმა სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ბოლო ადგილზე გავიდა. ამასთან დე ფილიერსი რამდენიმე სკანდალშიც გაეხვია. ყველაზე გახმაურებული მსაჯობასთან დაკავშირებული მისი მწვავე გამონათქვამები იყო, რის გამოც SANZAR-მა სპეციალური კომისიაც კი შექმნა. დე ფილიერსი მაშინ დასჯას გადაურჩა.

„ბოკეს" პირველი შავკანიანი მწვრთნელი ამჯერადაც წყლიდან მშრალი გამოვიდა. მან განვლილი სეზონის ანალიზი სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ **ჯეიმზ შტოფბერგს** წარუდგინა, რის შემდეგაც დე ფილიერსს ნოემბრის ტესტებზე ნაკრების ხელმძღვანელობა ისევ ანდეს.

პირველ შეხვედრას „ბოკე" 6 ნოემბერს დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან გამართავს. ამ და მომდევნო მატჩების შედეგებზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, უხელმძღვანელებს თუ არა ეს ახირებული კაცი სამხრეთაფრიკელებს ახალ ზელანდიაში.



პიტერ დე ფილიერსი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

● კალათბურთი. NBA


ტიმი და ტონი

# პარკერს დარჩენა უნდა, დანკანს მეხუთე ტიტული

„სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა** ჟურნალისტებთან საუბრისას ცალსახად აღნიშნა, რომ არ სურს მომავალ წელს „სპურსის" დატოვება.

*„ერთხელ უკვე ვთქვი, რომ სან ანტონიოში დარჩენა მინდა. თუ გუნდის ხელმძღვანელობა ახალ კონტრაქტს არ შემომთავაზებს, ამას გაგებით შევხვდები, თუმცა ჩემი სურვილი გასაგებია - არსად წასვლა არ მინდა",* - ამბობს ფრანგი მცველი.

*„ბევრს ჰგონია, რომ ასეთ განცხადებებს მიმდინარე კონტრაქტის გამო ვაკეთებ, რომელსაც გაისად გასდის ვადა, მაგრამ ასე არ არის. პირველ რიგში, დანკანსა და კიდევ ერთი ტიტულის მოპოვების შანსებზე ვფიქრობ",* - დაამატა პარკერმა, რომელსაც 2011 წლის ზაფხულში უმთავრდება 6-წლიანი კონტრაქტი. ამ ხელშეკრულების მიხედვით ტონის წელიწადში 11 მილიონი დოლარი ეკუთვნის.

ანალიტიკოსთა აზრით, პარკერს მისი სავარაუდო ტრეიდის შესახებ უამრავი ჭორისა და ვარიანტის ფონზე მოუწევს მთელი მომავალი სეზონის ჩატარება, როგორც ეს შარშან არგენტინელი **მანუ ჯინობილის** შემთხვევაში იყო.

■ ■ ■

ამასობაში, „სპურსის" წამყვანი მოთამაშე **ტიმ დანკანი** შესანიშნავ ფორმაში ხვდება ახალ ჩემპიონატს. ფორვარდი ამაღლებული განწყობით იწყებს საწვრთნელ შეკრებას და მზად არის მეხუთე ტიტულისთვის საბრძოლველად. თუმცა „სან ანტონიოს" სამწვრთნელო შტაბი დანკანისთვის სათამაშო დროის შემცირებას აპირებს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ ზაფხულს „სპურსის" რიგები შეავსო ბრაზილიელმა **ტიაგო სპლიტერმა**.

*„ჩემი აქტიურობის შემცირებას შარშანაც ვგეგმავდით, მაგრამ ამან არ გაამართლა. საერთოდ, მზად ვარ შეუცვლელად ვითამაშო, მაგრამ ეს არ იქნება სასარგებლო არც ჩემთვის და არც გუნდისთვის.*

*„სპურსმა" უნდა იპოვოს ბალანსი და დაუბრუნდეს იმ თამაშს, რომლითაც ჩემპიონატებს იგებდა. პირადად მე მანამდე ვაპირებ თამაშს, სანამ „საბურავები არ მომძვრება",* - ამბობს რეგულარული ჩემპიონატის ორგზის საუკეთესო მოთამაშე.

● ამბები

## ლებრონი ლეგენდებზე არ ბრაზობს

„მაიამი ჰიტის" ახალწვეულმა **ლებრონ ჯეიმსმა** განაცხადა, რომ მისი მისამართით ლეგენდარული კალათბურთელების კრიტიკული გამონათქვამები მხოლოდ მოტივაციას უმაღლებს და მოედანზე საბრძოლველად განაწყობს.

*„ყველაფერი წარსულში დარჩა. მთელი ზაფხულის განმავლობაში უამრავი ფრაზა მოვისმინე. გარკვეულ კრიტიკულ მომენტებს ველოდი, რაღაც კი მოულოდნელობა აღმოჩნდა ჩემთვის. რაც უნდა იყოს, გადაწყვეტილება უკვე მივიღე და ცხოვრება გრძელდება. ჩარლზ ბარკლიზე, მეჯიქ ჯონსონსა და მაიკლ ჯორდანზე გაბრაზებული არ ვარ. სწორედ მათ გაუკვალეს კალათბურთში გზა ჩემნაირ კალათბურთელებს",* - განაცხადა ჯეიმსმა.

*„განსაკუთრებით ის მაკვირვებს, რომ ზოგიერთი ადამიანი, ვინც კალათბურთში ვერ ერკვევა, რჩევა-დარიგებებს მაძლევს, არადა, საკუთარ ცხოვრებაში ვერ გაკვეულა. ასეთ მომენტებში მოტივაცია მემატება და უფრო მეტს ვფიქრობ სეზონის მთავარ მიზანზე",* - დაამატა ჯეიმსმა.

## დირკს დალასში უნდა ჩემპიონობა

საწვრთნელი ბანაკის გახსნის წინ, „დალას მავერიქსის" ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება ტეხასური კლუბის მიმართ, რომელსაც 12 წელია ემსახურება.

*„სხვა სპორტული ფორმა არ მომიხდება. ეს მშობლიური ქალაქიდან გაქცევის ტოლფასი იქნებოდა, მე კი ასეთი რამ არ მჩვევია. ცხადია, რომ ჩემი მიზანი საჩემპიონო ბეჭდის მოპოვებაა, მაგრამ ამ ამოცანის მისაღწევად კლუბის შეცვლას არ ვაპირებ",* - ამბობს გერმანელი ფორვარდი.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს დირკმა 4 წლით გააგრძელა კონტრაქტი „მავერიქსთან" და ამის სანაცვლოდ 80 მილიონ დოლარს მიიღებს.

## დიდი ტრეიდი ჩაიშალა

როგორც Yahoo! Sports-ის კორესპონდენტი **ადრიან ვოინაროვსკი** იტყობინება, არ შედგება ოთხმხრივი გაცვლა, რომლის მიხედვითაც „დენვერ ნაგეტსის" ლიდერი **კარმელო ენტონი** „ნიუ ჯერსი ნეტსში" უნდა გადასულიყო.

სანდო წყაროზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ „ნეტსმა" შეწყვიტა ვარსკვლავი ფორვარდის გადაბირების მცდელობა. შეგახსენებთ, რომ „ნიუ ჯერსისა" და „დენვერის" გარდა ტრეიდში „შარლოტსა" და „იუტას" უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

## მაგეტი გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს

არც ისე წარმატებულად მიმდინარეობს „მილუოკი ბაქსის" წამყვანი ფორვარდის **კორი მაგეტის** აღდგენითი კურსი. ამის გამო კალათბურთელი მონაწილეობას ვერ მიიღებს წინასასეზონო მატჩებში. მაგეტიმ ივლისში ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია გადაიტანა.

კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე წერია, რომ „ბაქსის" მწვრთნელები მაინც აპირებენ კორის საწვრთნელი მატჩებში ჩართვას, თუმცა კალათბურთელს მიაჩნია, რომ ვერ შეძლებს თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენას.

*„მოედანზე ზოგიერთი ილეთის ჩვენება უკვე შემიძლია, მაგრამ ისე არა, როგორც ამას ჩემგან ელიან. აღდგენითი კურსი დროში აშკარად გაიწელა",* - იტყობინება მაგეტი, რომელიც შარშან საშუალოდ მატჩში 19.8 ქულასა და 5.3 მოხსნას აგროვებდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# წინ ტიტანების ბრძოლაა

**ჩეხეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი დაუმარცხებელი გუნდი დარჩა - ავსტრალია, აშშ, ესპანეთი და რუსეთი. სწორედ ამ გუნდებმა უნდა გაარკვიონ მეორე ეტაპზე ჯგუფებში პირველი ადგილების ბედი. მანამდე კი ფავორიტებმა მორიგი დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს.**

**E ჯგუფი**

**ავსტრალია-საფრანგეთი 62:52**
**ბელორუსი-აშშ 61:107**
**საბერძნეთი-კანადა 57:52**

საფრანგეთის ნაკრებმა ზედიზედ მეორე მძიმე მატჩი ჩაატარა. წინადლეს ევროპის ჩემპიონებმა ბელარუსების წინააღმდეგობა დაძლიეს, მაგრამ ამჯერად ვერაფერი მოუხერხეს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს. ფრანგებს ფიზიკურად არ გასჭირვებიათ - მათ თითქმის მთელი ავსტრალიის ნაკრები ჩაკეტეს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს სამ კალათბურთელს, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. საფრანგეთს ამ ჩემპიონატში ერთ-ერთი უძლიერესი დაცვა ჰყავს. ამ გუნდის ყველა წევრი ფიზიკურად ძლიერი და ათლეტურია, ისინი კარგად მოქმედებენ ფარქვეშ ბრძოლაში, მაგრამ ავსტრალიის დასამარცხებლად უფრო მეტია საჭირო. პირველი რიგში, გადამწყვეტ მომენტებში ზუსტად სროლა. ფრანგებს ეს არ გამოუვიდათ. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ცუდად ისროდნენ და თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი მხოლოდ 31,8-ს უდრიდა, გარდა ამისა, ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ მიაღწია 10-ქულიან ზღვარს.

და მაინც, ამ შეხვედრას ბრძოლის გარეშე არ ჩაუვლია. დიდი შესვენებისთვის ავსტრალია 9 ქულას იგებდა, მაგრამ საფრანგეთმა შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და მესამე მეოთხედის დასრულებამდე წუთითა და 50 წამით ადრე მხოლოდ ერთ ქულას აგებდა - 43:44. თუმცა დარჩენილ 12 წუთში ევროპელებმა მხოლოდ ცხრა ქულა მოიპოვეს, მათი მეტოქეები კი გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. **ლორენ ჯექსონი, ჰოლი გრიმი** და **პენი ტეილორი** გადამწყვეტ მომენტებში არ ცდებოდნენ და თავიანთ გუნდს ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოაპოვებინეს. ავსტრალიის მიერ მოპოვებული 62 ქულიდან 47 ამ ტრიოს ანგარიშზეა.

ბელარუსის ნაკრებმა მთელი ძალღონე საფრანგეთთან ბრძოლას შეალია და ამერიკასთან უშანსოდ იყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა პირველ ტაიმში დაასრულა საქმე. საწყისი 10 წუთის განმავლობაში **ჩარლზმა, დიუპრიმ, ტაურაზიმ, კეტჩინგსმა** და სხვებმა მეტოქის კალათში 37 ქულა ჩააგდეს (იმავე ბელარუსმა საფრანგეთთან მატჩში მხოლოდ 11 ქულით მეტი დააგროვა). მაგრამ აშშ ამაზე გაჩერებას არ აპირებდა. ეს გუნდი ბოლომდე სერიოზულად მოეკიდა საქმეს, განსაკუთრებით კარგად კი ფარქვეშ ბრძოლა გამოსდიოდა, თან შეტევასაც არ ივიწყებდა. **ჯინო აურიმის** გუნდმა თამაშიდან ტყორცნების 68,3 პროცენტი გამოიყენა, ამასთან, კალათბურთელებმა ერთმანეთს 24 შედეგიანი პასი ჩამოურიგეს. ამერიკისთვის ეს იყო ვარჯიში უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ - მეორე ჯგუფურ ეტაპზე ტიტანთა ბრძოლა შედგება: აშშ-ავსტრალია.

კანადამ მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჩრდილოამერიკელებმა საბერძნეთის დამარცხება ვერ შეძლეს. კანადას სულ ცოტა არ ეყო ამ მნიშვნელოვანი მატჩის მოსაგებად. მეოთხე მეოთხედში 18:9 გაქცევის შემდეგ, ამ გუნდმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა - 52:53. სათამაშო იყო კიდევ 33 წამი, მაგრამ კანადის დაცვამ ვერ ივარგა და ბერძენმა **პელაგეა პაპამიხაილმა** საშუალო მანძილიდან ზუსტი ტყორცნით გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.


ლორენ ჯექსონი

**F ჯგუფი**

**ბრაზილია-იაპონია 93:91 (ო)**
**ესპანეთი-ჩეხეთი 77:57**
**რუსეთი-ს. კორეა 81:48**

ბრაზილიისა და იაპონიის დაპირისპირება ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გამოდგა. ბრაზილია მესამე მეოთხედში ათი ქულით აგებდა და ძალების უდიდესი დაძაბვის ხარჯზე შეძლო მეტოქის დაწევა. იაპონია მაინც ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. აზიელები სამ ქულას იგებდნენ, მაგრამ **გუსტავო** ვერ შეაკავეს, რომელმაც ბოლო წამზე სამქულიანი ჩააგდო. დაინიშნა დამატებითი დრო, სადაც **კასტრო-მარკესი** აქტიურობდა. მან ჯერ ურთულესი ტყორცნით გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ წინ გაიყვანა თავისი გუნდი - 92:91. ახლა მდევრის როლში იაპონია აღმოჩნდა, რომელსაც ბოლო შეტევის უფლება ჰქონდა, მაგრამ აქ თავი გამოიჩინა ორმაგი დუბლის ავტორმა **ერიკა დე სოუზამ** - მან საჭირო მომენტში დაფარება შეასრულა და თავის 32 ქულას და 18 მოხსნას მესამე ბლოკშოტი დაუმატა.

ჩეხ გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი ამჯერად მაინც შეძლებდა კარგი თამაშის ჩვენებას და ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტის - ესპანეთის დამარცხებას. მათი იმედები არ გამართლდა. ბოლო მეოთხედის წინ პირენეელები 60:53-ს იგებდნენ, რაც შეხვედრას გარკვეულ ინტრიგას უნარჩუნებდა, მაგრამ ბოლო 10-წუთეული მასპინძლებისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა. მატჩის დასკვნით მეოთხედში ჩეხეთმა მხოლოდ 4 ქულით შეავსო თავისი მონაგარი. ვეტერან **ამაია ვალდემოროს** შედეგიანობის ფონზე (25 ქულა), ეს კატასტროფული მაჩვენებელი იყო.

რუსეთის ნაკრებმა 33 ქულით დაამარცხა სამხრეთ კორეა, მაგრამ ამ უპირატესობას მხოლოდ მეორე ტაიმში მიაღწია. პირველ ნახევარში კი აზიელებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და დიდ შესვენებაზე ერთქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ. მაგრამ კორეამ დარჩენილ დროში მხოლოდ 20 ქულა დააგროვა, რუსეთმა - 52 და შედეგიც ლოგიკური მივიღეთ. ამ ჯგუფში პირველი ადგილის ბედს ესპანეთისა და რუსეთის დაპირისპირება გაარკვევს.

● კრივი

# მენის ნაცვლად ჰანი?

პირველ საშუალო წონაში WBA-ის ჩემპიონმა **ამირ ჰანმა**, შესაძლოა, ფილიპინელი **მენი პაკიაო** შეცვალოს ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან** ბრძოლაში.

შეგახსენებთ, რომ ჰანი 11 დეკემბერს ლას ვეგასში შეხვდება **მარკოს მაიდანას**. ამის შემდეგ მას ელის ორთაბრძოლა **ტიმ ბრედლისა** და **დევონ ალექსანდერს** შორის გამარჯვებულთან. შემდეგ იწყება ყველაზე საინტერესო: თუ მხარეები მოლაპარაკებას შეძლებენ, მომავალი წლის შემოდგომაზე ამირი პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ ამერიკელ მეივეზერს შეხვდება.

და მაინც, პრომოუტერული კომპანია Golden Boy-ის წარმომადგენელ **რიჩარდ შეფერის** განცხადებით, მეივეზერისა და პაკიაოს ჩხუბია პრიორიტეტული, მაგრამ თუ მოლაპარაკებები ჩაიშლება, ფილიპინელს სწორედ ჰანი შეცვლის.

უნდა დავამატოთ, რომ პაკიაო და ჰანი კარგი მეგობრები არიან და ერთი მწვრთნელი ჰყავთ - ცნობილი სპეციალისტი **ფრედი როუჩი**.


ამირ ჰანი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფორმულა 1

# იტალია ალონსოზე ლოცულობს


ალონსო სინგაპურის პოდიუმზე

ზედიზედ ორმა გამარჯვებამ, რომელიც ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** მონცასა და სინგაპურში მოიპოვა, შესამჩნევად აამაღლა „ფერარისა" და მისი გულშემატკივრების ოპტიმიზმი. ამ წარმატებას იტალიური პრესაც გამოეხმაურა: ავტორიტეტულ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც სეზონის დარჩენილ რბოლებში ალონსოს შანსებია შეფასებული.

„ნომინალურად, „რედ ბულსა" და „მაკლარენს" უფრო მეტი შანსი აქვთ, - წერს იტალიური გამოცემა. - მაგრამ „ფერარის" პილოტი ოპტიმიზმს ინარჩუნებს: „ჩვენი მანქანა ნებისმიერ ტრასაზე სწრაფია, ამიტომაც არ გვაშინებს დარჩენილი ეტაპები".

კონცერნ „ფიატის" აღმასრულებელმა დირექტორმა **სერჯო მარკინონემ** კვირას განაცხადა, რომ ყოველდღე ილოცებს „ფერარის" გამარჯვებისთვის. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამის იმედად ყოფნა არ შეიძლება, თუმცა სინგაპურში აშკარად გამოჩნდა, რომ „სკუდერიამ" ყველა შესაძლო რესურსი აამოქმედა მიმდინარე ჩემპიონატის მოსაგებად.

სეზონამდე ოთხი გრან-პრით ადრე **მარკ უებერი** ალონსოს 11 ქულით უსწრებს: შეძლებს თუ არა „ფერარი" გამარჯვებას? ორ სრულიად განსხვავებულ ტრასაზე - მონცასა და სინგაპურში გუნდმა დაამტკიცა, რომ ის მართლაც კონკურენტუნარიანია და არ აპირებს დარჩენილ რბოლებში სტატისტის როლში ყოფნას.

ამოცანა ძალიან რთულია, რადგან დარჩენილი ოთხი ტრასა უფრო „რედ ბულისა" და „მაკლარენის" ბოლიდებისთვის არის მოსახერხებელი. და მაინც, „წითლებმა" იდეალური პიტსტოპებისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ოსტატობის წყალობით ძლიერად უნდა ჩაატარონ სეზონის ფინალური ნაწილი...

### სუზუკა

იაპონიის ტრასა მაღალი საშუალო სიჩქარით გამოირჩევა, ძალიან სწრაფი და ტექნიკურია - შესაბამისად, ფავორიტად „რედ ბულის" პილოტები უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათ ბოლიდებს ძალიან ეფექტური აეროდინამიკა აქვთ.

სუზუკაზე „მაკლარენიც" ყოველთვის კარგად გამოდის, განსაკუთრებით **ლუის ჰემილტონი**. მაგრამ მონცასა და სინგაპურში აშკარა იყო, რომ „ფერარიმ" იპოვა სწორი ბალანსი მოჭიდების ძალასა და მაქსიმალურ სისწრაფეს შორის. მაგრამ თუ სუზუკაზე ალონსოს არ გაუმართლებს, ქულების გარკვეული რაოდენობის მოპოვებას მაინც შეძლებს.

### კორეა

სუზუკას სამხრეთ კორეაში რბოლა მოსდევს, თუ, რა თქმა უნდა, კორეელები მოასწრებენ ტრასის მშენებლობის დასრულებას. ახალ ავტოდრომზე ორი ძალიან გრძელი სწორი მონაკვეთია, საშუალო სექტორი კი დატვირთულია მოსახვევებით და იქ საჭიროა სწორი ტექნიკური მახასიათებლების შერჩევა, რომელიც ასფალტთან საბურავების მოჭიდებას უზრუნველყოფს.

სავარაუდოდ, „რედ ბული" აქაც ფავორიტი იქნება. მაგრამ ტრასა ყველასთვის ახალი იქნება, არავის აქვს იქ გამოსვლის გამოცდილება და ესეც გასათვალისწინებელი ფაქტორია.

### ინტერლაგუში

ბოლო წლებში „ფერარი" ბრაზილიურ ტრასაზე წარმატებებს აღწევდა, მაგრამ წაგებებიც ჰქონდა. გუნდმა იცის, რა არის საჭირო ინტერლაგუშში გამარჯვების მოსაპოვებლად, თუმცა წინა ორ სეზონში აქ „რედ ბულისა" და „მაკლარენის" პილოტები დომინირებდნენ.

ალონსოს შეუძლია თანაგუნდელ **ფელიპე მასასგან** ჰქონდეს დახმარების იმედი. გარდა ამისა, „ფერარის" შეიძლება წაადგეს ბრაზილიური ამინდის სიურპრიზები. ეს რბოლა ხშირად გვთავაზობს სხვადასხვაგვარ სიურპრიზს და მხოლოდ ფერნანდოს დონის პროფესიონალმა შეიძლება ამ ყველაფრისგან დამატებითი უპირატესობა მოიპოვოს.

### აბუ დაბი

თუ სეზონის ფინალური რბოლისთვის სიტუაცია კვლავაც გაურკვეველი იქნა, ტიტულის ბედი აბუ დაბიში გადაწყდება. ეტაპის სტარტი დღის შუქზეა დაგეგმილი, ფინიში - ხელოვნური განათების ქვეშ, ეს კი ალონსოს ძალიან მოსწონს. აქ პილოტებს ასევე მუდმივად უწევთ დამუხრუჭება და აჩქარება, რაც „მაკლარენისა" და „რედ ბულის" სტიქიაა. თუმცა მონცასა და სინგაპურის ეტაპების წინაც ამას ამბობდნენ..."

# ჰემილტონი: აგრესიულ სტილს შევინარჩუნებ

„მაკლარენის" პილოტმა ლუის ჰემილტონმა ვერ მიაღწია მონცასა და სინგაპურის ფინიშამდე და მისი მდგომარეობა ჩემპიონატში შესამჩნევად გართულდა. თუმცა ბრიტანელი ჯერ ინარჩუნებს ადგილს გენერალური კლასიფიკაციის პირველ სამეულში. ავსტრიულ გაზეთ Salzburger Nachrichten-თვის მიცემულ ინტერვიუში ლუისი აცხადებს, რომ დარჩენილ რბოლებში სიამოვნებას მიიღებს.

**- ზედიზედ მეორე ეტაპი ჩააგდეთ: როგორ აისახება ეს თქვენს შანსებზე ტიტულისთვის ბრძოლაში?**

- ვცვლი ჩემს მიდგომას რბოლების მიმართ: უკვე აღარ ვფიქრობ ჩემპიონატში გამარჯვებაზე, უბრალოდ შევეცდები შემდეგი რბოლის მოგებას. მთავარია, დარჩენილი ეტაპებისგან მაქსიმალური სიამოვნება მივიღო. მარკ უებერთან 20 ქულას ვაგებ - ეს სერიოზული ჩამორჩენაა, მაგრამ მისი გაბათილება მაინც შესაძლებელია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**- მიგაჩნიათ, რომ სინგაპურში მომხდარ ავარიაში უებერი იყო დამნაშავე?**

- ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. მარკი წრეზე ჩამორჩენილებმა შეაფერხეს და ამით გასწრების შანსი მომეცა. მას საკმარისი ადგილი დავუტოვე, მოსახვევში შევედი, რის შემდეგაც დარტყმა ვიგრძენი. მისი მანქანა ჩემ უკან იყო „ბრმა" სექტორში, მე კი გარე რადიუსით ვმოძრაობდი. ჩვენ საბურავებით შევეხეთ ერთმანეთს - ეს იყო და ეს. ჩემი აზრით, ეს ჩვეულებრივი სარბოლო ინციდენტი გახლდათ.

**- ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ ძველებურად აგრესიული მანერით ატარებთ ბოლიდს...**

- ამ ცოტა ხნის წინ ჩემი ძველი გამოსვლების ვიდეოჩანაწერებს ვუყურე და გადავწყვიტე, მომავალშიც შევინარჩუნო ეს სტილი. ნებისმიერი გრან-პრის მსვლელობისას თითოეული შანსის გამოყენებას ვცდილობ. ასე იქნება მომავალშიც.


ლუის ჰემილტონი

**- ეს თქვენთვის მეოთხე სეზონია ფორმულა 1-ში. როგორ შეაფასებთ განვლილ ჩემპიონატებს?**

- სადებიუტო სეზონში რბოლებს ვიგებდი და ახლოს ვიყავი ტიტულთან. მეორეში - მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. როგორც ამბობენ, მესამე წელს ხასიათის სიმტკიცე გამოვიმუშავე. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ ყოველ წელს გამარჯვების პრეტენდენტთა რიცხვში ვერ ვიქნები.

ალბათ, ყველაზე რთული 2009 წელი იყო, რადგან საუკეთესო მანქანა არ მყავდა და თან გუნდური მოთამაშის თვისებებს ვსწავლობდი. წლევანდელი ჩემპიონატი კი უპრეცედენტოდ დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს და ასეთ სიტუაციაში თითქმის შეუძლებელია შეცდომის თავიდან აცილება...

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი — კონფერენცი**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-კემბრიჯი | 3:0 |
| ძროული-ტამუორტი | 3:1 |
| ისტბურნი-რაშდენი | 0:2 |

**გერმანია — რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| კოტბუსი A-ჰანოვერი A | 1:0 |
| თურძიემსფორი-ჰერტა A | 0:2 |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| რიინსბურგსი-დორნი | 2:2 დ.დ. 4:2 |

**დანიის თასი**

| | |
|---|---|
| ჰიკ-ფრედერისია | 1:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გაის-ჰაკენი | 2:1 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-მარიბორი | 0:1 |

**სლოვენიის თასი**

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-პრიმორიე | 2:2 დ.დ. 3:2 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| ბარი-ბუდუჩნოსტი | 0:0 |
| დეციჩი-რუდარი | 1:0 |
| ლოვჩენი-ზეტა | 0:2 |
| მლადოსტი-მოგრენი | 2:2 |
| პეტროვაცი-მორნარი | 1:1 |
| სუტიესკა-გრბალი | 1:2 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ხიმნასია | 2:0 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ესპოლი-დეპ. მაკარა | 1:1 |

**იაპონიის თასი — 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ივატა-კავასაკი | 0:1 |
| ჰიროშიმა-შიმიცუ | 2:1 |

**ევრო 2011 — UNDER 17**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-ისრაელი | 4:1 |
| ბულგარეთი-ხორვატია | 1:2 |

### კალათბურთი

**მს. ჩემპიონატი — ქალები**

| | |
|---|---|
| საბერძნეთი-ბელარუსი | 70:74 |
| იაპონია-ს. კორეა | 64:65 |
| საფრანგეთი-კანადა | 49:47 |
| ჩეხეთი-ბრაზილია | 84:70 |
| რუსეთი-ესპანეთი | 76:67 |
| აშშ-ავსტრალია | 83:75 |

**ევროთასი — კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| აკადემიკი-არისი | 74:78 |
| გალათასარაი-სპარტაკი (ს-პ) | 69:58 |
| სკაილაინერსი-ბეშიქთაში | 61:68 |
| ზაგრები-გრან კანარია | 71:69 |
| ცედევიტა-დინამო (მ) | 97:61 |
| ორლეანი-აზოვმაში | 80:76 |

**ევროჩელენჯი — კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| ნ. ნოვგოროდი-ენისეი | 92:92 |
| ბოსნა-ნანსი | 74:91 |
| ხიმიკი-პლოეშტი | 90:83 |
| შოლნოკი-კერავნოსი | 75:52 |
| ენკომი-ერტლანდი | 69:61 |
| ბენფიკა-ფერო | 105:105 |
| სტიაუა-კიევი | 77:59 |
| ჰელიოსი-პროსტეევი | 62:70 |
| ლუგანო-ტრიუმფი | 85:91 |
| ლეიდენი-პინარი | 65:87 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სიბირი | 1:3 |
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 3:1 |
| ბარისი-დინამო (რ) | 1:5 |
| იუგრა-დინამო (მნ) | 7:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ნიტრა-სლოვაკეთი (U20) | 6:0 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 2:2 დ.დ. 1:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ზლინი | 1:3 |
| ლიბერეცი-სლავია | 1:4 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბანგკოკი**

| | |
|---|---|
| სერა-გარსია ლოპესი | 5:7, 7:6, 5:7 |
| მელცერი-სელა | 6:3, 6:4 |
| ბეკერი-ზვერევი | 6:1, 6:4 |
| გულბისი-შუტლერი | 7:6, 6:7, 6:4 |
| დე ბაკერი-ბრანდსი | 6:7, 6:1, 6:7 |

**ATP. კუალა ლუმპური**

| | |
|---|---|
| ისტომინი-ილჰანი | 2:6, 6:3, 6:4 |
| იუჟნი-დოლგოპოლოვი | 6:1, 5:7, 7:5 |
| ფერერი-ტომიჩი | 6:3, 6:4 |
| როჟე ვასელენი-ჩერმაკი | 6:0, 6:4 |
| სტახოვსკი-რაონიჩი | 7:6, 6:7, 3:6 |
| ბაღდატისი-ხირალდო | 7:5, 7:5 |
| ანდრეევი-დავიდენკო | 7:6, 6:7, 6:4 |

**WTA. ტოკიო**

| | |
|---|---|
| ზვონარევა-ვინჩი | 6:4, 6:0 |
| აზარენკა-ბარტოლი | 6:2, 1:0 უარი |
| დემენტიევა-პენეტა | 6:4, 6:2 |
| გორჯესი-ვანდევეგე | 3:6, 0:6 |
| სკიავონე-დატე | 6:3, 6:3 |
| ა. რადვანსკა-პეტკოვიჩი | 6:3, 6:3 |
| ვოზნიაცკი-პავლიუჩენკოვა | 6:1, 6:2 |
| იანკოვიჩი-კანეპი | 4:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**30 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:35** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რუბინი-ბარსელონა.
**08:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შალკე-ბენფიკა.
**10:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ჰაპოელი-ლიონი.
**14:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:15** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტოტენჰემი-ტვენტე.
**16:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:10** ახალი ამბები.
**16:25** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-მანჩესტერ იუნ.
**18:45** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
**19:50** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**20:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ზენიტი-აეკ (LIVE).
**22:55** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერ სიტი-იუვენტუსი (LIVE).
**01:00** ახალი ამბები.
**01:10** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ატლეტიკო-ლევერკუზენი.
**03:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. უტრეხტი-ლივერპული.
**04:45** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვილიარეალი-ბრიუგე.

## ამბები

**ჩოგბურთი**

### ნიუ ჰევენი ტურნირს კარგავს

ნიუ ჰევენის ტურნირის ორგანიზატორები ახალი სპონსორის ძიებაში არიან. ეს შეჯიბრი ATP-ისა და WTA-ის კალენდრებში ამერიკის ღია პირველობის წინ დგას. ცოტა ხნის წინ, ტურნირის გენერალურმა სპონსორმა, კომპანია Pilot-მა უარი თქვა თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

*„მონდომებით ვეძებთ ახალ პარტნიორს. ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ ნიუ-ჰევენში WTA-სა და ATP-ის ტურნირები. შეჯიბრის ბედი ოქტომბერში გადაწყდება"*, - ამბობს ტურნირის დირექტორი **ენ ვორჩესტერი**.

**ავტოსპორტი**

### რას აპირებს რალფ შუმახერი?

„მერსედესის" პილოტი რალფ შუმახერი, რომელიც DTM-ის სერიაში გამოდის, ჯერ კიდევ ფიქრობს 2011 წლის სეზონისთვის კონტრაქტის გაფორმებაზე. გერმანელმა პილოტმა გუნდთან ერთად უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

*„საერთო ჯამში, DTM-ში თავს კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ ახლა ლოდინი მიწევს. სეზონის დასრულების შემდეგ „მერსედესთან" ერთად მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას"*, - აცხადებს უმცროსი შუმახერი.

### კორეა მოასწრებს

ფორმულა 1-ის ტრასების არქიტექტორი **ჰერმან ტილკე** დარწმუნებულია, რომ კორეის გრან-პრის ჩატარებას არაფერი ემუქრება. იმ დროს, როცა „სამეფო რბოლების" ორგანიზატორები შეშფოთებულნი არიან მშენებლობის ტემპებით, გერმანელს ეჭვი არ ეპარება, რომ ყველა სამუშაო დაგეგმილ ვადაში დასრულდება და კორეის გრან-პრი ფორმულა 1-ის გუნდებს სათანადოდ უმასპინძლებს.

გასულ უქმეებზე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** ნებისმიერ შემთხვევაში აპირებს ამ რბოლის ჩატარებას. მისი გეგმის მიხედვით, ტრეკის ის ობიექტები, რომელთა დასრულება ვერ მოესწრება, უბრალოდ მაუდის ნაჭრებით დაიფარება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ტაი-ბრეიკიც არ ყოფილა

ტოკიოს ტურნირი შაბათს სრულდება, ამიტომაც სამშაბათიდან მოყოლებული, ჩოგბურთელებს პრაქტიკულად ყოველდღე უწევთ კორტზე გასვლა. ამის მიზეზი ორშაბათს წამოსული წვიმა იყო, რომელმაც ტურნირის გრაფიკი არია, მაგრამ გუშინ იაპონიის დედაქალაქში გამოიდარა და მერვედფინალური ეტაპი ნორმალურ პირობებში ჩატარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელი მატჩები ორ სეტში დასრულდა, უფრო მეტიც - არც ერთ შეხვედრაში ერთი ტაიბრეიკიც კი არ უთამაშიათ. ფორმალურ გამონაკლისად **ვიქტორია აზარენკასა** და **მარიონ ბარტოლის** მატჩი უნდა მივიჩნიოთ, სადაც მხოლოდ ერთი პარტიის ჩატარება მოხერხდა, რის შემდეგაც ფრანგმა ვირუსული დაავადების გამო თქვა უარი ბრძოლის გაგრძელებაზე. დღეს მეოთხედფინალში ბელარუსი ტურნირის მთავარ მოულოდნელობას - **კოკო ვანდევეგეს** შეხვდება. ახალგაზრდა ამერიკელი საკმაოდ იოლად გაუსწორდა **დინარა საფინასა** და **სამანტა სტოსურის** მძლეველს, გერმანელ **იულია გორგესს** - 6:3, 6:0. კოკოსთვის ეს მეორე მეოთხედფინალია კარიერაში. პირველ ჯერზე მან სან დიეგოში **სვეტლანა კუზნეცოვასთან** წააგო.

ტოკიოში გამოსვლა დაასრულა ადგილობრივი პუბლიკის კერპმა **კიმიკო დატემ**. ერთი დღით ადრე, იაპონელმა თავისი მე-40 დაბადების დღე **დანიელა ჰანტუხოვას** დამარცხებით აღნიშნა, მაგრამ ამჯერად ვერაფერი მოუხერხა როლან გაროსის ჩემპიონ **ფრანჩესკა სკიავონეს**. იტალიელმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით მოიგო - 6:3, 6:3. მატჩის შემდეგ ფრანჩესკა ბადესთან შეყოვნდა და მოგვიანებით ახსნა ამის მიზეზი: *„მე ვუთხარი, რომ ჩემთვის დიდი პატივი იყო მის წინააღმდეგ თამაში. თვალს ვადევნებდი მის კარიერას და ვიცი, რომ არამარტო კარგი ჩოგბურთელი, არამედ შესანიშნავი ადამიანია“.*

ნახევარფინალში გასასვლელად სკიავონე **კაია კანეპის** შეხვდება. ესტონელმა დღის ბოლო მატჩში ბრძოლას გამოთიშა შარშანდელი ფინალისტი **ელენა იანკოვიჩი**. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ, კანეპიმ სერბს ამერიკის ღია პირველობაზეც მოუგო. იანკოვიჩს გუშინ რევანშის აღება უნდოდა, მაგრამ ორივე პარტიის ბოლოს უპატიებელი შეცდომები დაუშვა - 4:6, 4:6.

გუშინდელი გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო **კაროლინ ვოზნიაცკისთვის**. საქმე ისაა, რომ რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვას** დამარცხებით დანიელმა პირველმა გაინაღდა დოჰაში წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობა. რაც შეეხება თავად შეხვედრას, ბრძოლა მხოლოდ რამდენიმე გეიმში იყო. რუსი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა და კაროლინს მხოლოდ ის სჭირდებოდა, რომ ბურთი თამაშში შეენარჩუნებინა - მის გასაკეთებელ საქმეს პავლიუჩენკოვა აკეთებდა. პირველ პარტიაში დანიელმა მხოლოდ სამი უნებლიე შეცდომა დაუშვა, ანასტასიამ - 16.

მეორე პარტია თითქმის იმავე სცენარით წარიმართა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პავლიუჩენკოვამ ამჯერად ორმაგ შეცდომებს მოუხშირა (სულ შვიდი დაუგროვდა). ამის გამო რუსი საკუთარი გეიმებს 40:0-სა და 30:0-ის შემდეგ აგებდა. საბოლოოდ, მეტოქის პირველი მოწოდება მაშინ მოიგო, როცა ვოზნიაცკის თადარიგში ორი ბრეიკი ჰქონდა. საბოლოოდ, 6:2, 6:1 და ვოზნიაცკი მეოთხედფინალში **აგნიეშკა რადვანსკას** შეხვდება.

კიდევ ერთ მეოთხედფინალში რუსული დერბი გაიმართება - **ელენა დემენტიევა ვერა ზვონარევას** წინააღმდეგ. ორივემ იტალიელ მეტოქეებს სძლია. დემენტიევა კარიერაში პირველად ხვდებოდა **ფლავია პენეტას**. შეხვედრის დასაწყისი იტალიელისა იყო, მაგრამ ელენამ თამაში დაალაგა და ბოლო 14 გეიმიდან 11 თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4, 6:2.

თითქმის იგივე სცენარი ჰქონდა ზვონარევასა და **რობერტა ვინჩის** შეხვედრას. პირველ პარტიაში რობერტამ თითქმის თანაბრად იბრძოლა, მეორეში კი გეიმის აღებაც ვერ შეძლო - 6:4, 6:0. ამ მოგებით ზვონარევამ WTA-ის ჩემპიონთა რბოლაში **სერენა უილიამსს** გაასწრო და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო თუ მეოთხედფინალში დემენტიევას დაამარცხებს, WTA-ის ძირითად კლასიფიკაციაში მესამე ადგილს დაისაკუთრებს.

**WTA**

**Toray Pan Pacific Open**

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 000 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:4, 6:0; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 11) 6:2 ბარტოლის უარი; **ელენა დემენტიევა (რუს, 7)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:4, 6:2; **კოკო ვანდევეგე (აშშ)**-იულია გორგესი (გერ) 6:3, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:3, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 6)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:3, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 16) 6:1, 6:2; **კაია კანეპი (ესტ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 3) 6:4, 6:4.

**1/4 ფინალი**

ვოზნიაცკი-ა. რადვანსკა; ვანდევეგე-აზარენკა; სკიავონე-კანეპი; დემენტიევა-ზვონარევა.

# პეტკოვიჩი პარტიას შექმნის




23 წლის გერმანელმა ჩოგბურთელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა** განაცხადა, რომ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში წასვლა აქვს დაგეგმილი. სპორტსმენის თქმით, მან სერიოზულად გადაწყვიტა საკუთარი პარტიის შექმნა და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმა.

*„მინდა პოლიტიკაში ვცადო ბედი. უკვე დავიწყე პოლიტიკური საწყისების შესწავლა. არ ვხუმრობ. ერთადერთი, რაც ყველაზე ძალიან მაკლია - საკუთარი პოლიტიკური პარტიაა. ის 25-40 ადამიანზე იქნება გათვლილი და მემარცხენე ორიენტაცია ექნება“*, - განაცხადა პეტკოვიჩმა Spiegel-თვის მიცემულ ინტერვიუში.

ანდრეას კარიერაში WTA-ის ერთი ტიტული აქვს მოგებული. ამჟამად ის 35-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში. ამ კვირას პეტკოვიჩი ტოკიოს ტურნირში იღებდა მონაწილეობას და რუსი **სვეტლანა კუზნეცოვას** დამარცხებით მერვედფინალს მიაღწია, მაგრამ იქ პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან** წააგო.

# დელ პოტრო ნაგებითაც კმაყოფილია

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, წარუმატებელი გამოდგა ATP-ის ტურში არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტროს** დაბრუნება. სამხრეთამერიკელმა იანვრის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა - ბანგკოკის ტურნირის პირველ წრეში ორ სეტში დამარცხდა ბელგიელ **ოლივიე როხუსთან** - 6:7(7), 4:6.

არგენტინელი სულაც არ განაწყენებულა ამ წაგების გამო: *„მთავარი ამბავი ის იყო, რომ ნაოპერაციები მაჯა აღარ მტკიოდა. შესანიშნავია! ამის გამო სეზონის დარჩენილ ნაწილს ძალიან აქტიურად ჩავატარებ, კერძოდ, 2010 წელს კიდევ 5-6 ტურნირში ვაპირებ მონაწილეობას“*, - აღნიშნა მატჩის შემდეგ დელ პოტრომ, რომლისთვისაც შემდეგი ტურნირი იქნება ჩინეთის ღია პირველობა. ეს შეჯიბრება მომდევნო კვირას პეკინში დაიწყება.

*„როხუსთან საკმაოდ კარგი მატჩი გამოვიდა. ტაი-ბრეიკზე წარმატების რეალური შანსი მივიღე, მაგრამ ბელგიელმა მნიშვნელოვან მომენტებში ძალიან კარგად ითამაშა. ბედნიერი ვარ ტურში დაბრუნებით და იმედია, თანდათან გავაუმჯობესებ თამაშს“*, - დაამატა ხუან მარტინმა.



დელ პოტრო როხუსთან მატჩის შემდეგ

ცურვა

# გაქურდული ვარსკვლავი

ცნობილი ფრანგი მოცურავე, ოლიმპიური ჩემპიონი **ლორ მანოდუ** გასულ უქმეებზე გაქურდეს. ინციდენტი მარსელში, მოცურავის ვილაზე მოხდა. კრიმინალები მანოდუს სახლში გვიან ღამით შევიდნენ. პოლიციის ინფორმაციით, დამნაშავეებს შენობაში შესაღწევად განსაკუთრებული მოხერხებულობა არ დასჭირვებიათ, რადგან შესასვლელი კარი ჩაკეტილი არ იყო.

ქურდებმა წაიღეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ. დილით მანოდუმ აღმოაჩინა, რომ დაკარგული იყო ნოუთბუკი, ფული და ძვირფასეულობა, აგრეთვე უამრავი სხვა პირადი ნივთი და დოკუმენტი. მაგრამ ქურდები მხოლოდ ამას არ დასჯერდნენ და ავტოფარეხიდან ორი მანქანა წაიყვანეს - Audi A3 და Volkswagen Touran. მანოდუს გარდა, იმ ღამეს სახლში იყვნენ მოცურავის მეგობარი, ასევე ცნობილი მოცურავე **ფრედერიკ ბუსკე** და მათი ხუთი თვის გოგონა - **მანონი**.

ლორ მანოდუმ დაახლოებით ერთი წლის წინ დაასრულა კარიერა. 22 წლის სპორტსმენის თქმით, მან ეს ნაბიჯი მოტივაციის ნაკლებობის გამო გადადგა. გარდა ამისა, ფრანგმა მოცურავემ განაცხადა, რომ მას სხვა ინტერესებიც აქვს, რომლისთვისაც მეტი თავისუფალი დრო სჭირდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა






# ყაზახმა სეზონი დაასრულა

ყაზახ ჩოგბურთელ **ევგენი კოროლიოვს** უახლოეს დღეებში ტრავმირებულ მარცხენა იდაყვზე ოპერაცია ელის, რაც იმას ნიშნავს, რომ 22 წლის მოთამაშისთვის წლევანდელი სეზონი დასრულებულია. საერთო ჯამში, კოროლიოვი ოთხი თვე ვერ შეძლებს კორტზე გასვლას. ოპერაცია ნიუ იორკის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარდება.

წარმოშობით რუს ჩოგბურთელს წელს თებერვალში 46-ე პოზიცია ეკავა ATP-ის კლასიფიკაციაში, თუმცა ახლა 91-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

# ჩინეთში კიმიც არ ითამაშებს

ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** განაცხადი გამოიტანა ჩინეთის ღია პირველობიდან, რომელიც მომავალ კვირას პეკინში აილებს სტარტს. მიზეზი ფეხის ტრავმა გახლავთ.

ამერიკის ღია პირველობაზე ტრიუმფის შემდეგ ჩოგბურთელმა ტერფზე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ აღდგენითი პროცესი ისე სწრაფად არ განვითარდა, როგორც ექიმები და სპორტსმენი ვარაუდობდნენ.

*„სამწუხაროა, რომ პეკინის ტურნირზე უარის თქმა მიწევს. ნიუ იორკიდან დაბრუნების შემდეგ მცირე ოპერაციის გადატანა მომიხდა, რომელიც ადრე მქონდა დაგეგმილი. თუმცა ტერფი რთულად ხორცდება და თამაშს ამის გამო ვერ ვახერხებ“*, - წერს კლაისტერსი თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ასევე იტყობინებიან, რომ კიმი მოასწრებს დოჰაში წლის შემაჯამებელი ტურნირისთვის გამოჯანმრთელებას და იქ ითამაშებს - თუ, რა თქმა უნდა, რეიტინგის მიხედვით მოხვდება რვა საუკეთესოს შორის.

უფრო ადრე პეკინში გამოსვლაზე უარი თქვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა**.

